საქართველოს
ახალგაზრდა
იურისტთა
ასოციაცია

საქართველოს პრეზიდენტის 2018 წლის არჩევნების სადამკვირვებლო მისია

წინასაარჩევნო გარემოს, არჩევნების დღისა და არჩევნების შემდგომი პერიოდის მონიტორინგის ანგარიში

1-ლი აგვისტო - 14 დეკემბერი, 2018

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

საქართველოს პრეზიდენტის 2018 წლის არჩევნების სადამკვირვებლო მისია

წინასაარჩევნო გარემოს, არჩევნების დღისა და არჩევნების შემდგომი პერიოდის მონიტორინგის ანგარიში

(1-ლი აგვისტო – 14 დეკემბერი, 2018)

საქართველოს პრეზიდენტის 2018 წლის არჩევნების მონიტორინგის მისიის განხორციელება შესაძლებელი გახდა „ეროვნული წვლილი დემოკრატიისთვის“ (NED), აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID), ბაქოში ნორვეგიის სამეფოს საელჩოს, ბრიტანეთის საელჩოს, ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI), „ღია საზოგადოების ფონდის“ დაფინანსებით. ანგარიშში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას“ და მისი შინაარსი, შესაძლოა, არ გამოხატავდეს დონორი ორგანიზაციების შეხედულებებს.

თბილისი, 2019

ავტორები: **ლელა ტალიური**
მარიამ გოგოსაშვილი (მე-5 თავი)

რედაქტორი: **ხათუნა ყვირალაშვილი**

ტექ. რედაქტორი: **ირაკლი სვანიძე**

გამოცემაზე პასუხისმგებელი: **ვახუშტი მენაბდე**
სულხან სალაძე

საია მადლობას უხდის თანამშრომლებსა და დამკვირვებლებს საიას არჩევნების მონიტორინგის მისიის განხორციელებაში შეტანილი წვლილისთვის.

აიწყო და დაკაბადონდა საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, ასოციაციის წერილობითი ნებართვის გარეშე

© 2019, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

სარჩევი

I. წინასიტყვაობა 4

II. სადამკვირვებლო მისიის მასშტაბი და მეთოდოლოგია 5

III. ძირითადი მიგნებები 7

IV. პოლიტიკური კონტექსტი 10

V. მედიაგარემო 11

VI. სახელმწიფო ორგანოების საქმიანობა 14

- უწყებათაშორისი კომისია 14
- საარჩევნო ადმინისტრაცია 15
- საარჩევნო სუბიექტების რეგისტრაცია 20
- სახელმწიფო აუდიტის სამსახური 21

VII. წინასაარჩევნო პერიოდი 22

- ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება 22
- წინასაარჩევნო აგიტაციის წესების დარღვევის ფაქტები 23
- უკანონო აგიტაცია 24
- მუქარის, ზეწოლისა და ფიზიკური ანგარიშსწორების ფაქტები 25
- წინასაარჩევნო კამპანიის ხელშეშლის ფაქტები 26
- ამომრჩევლის მოსყიდვა 28
- სავარაუდოდ პოლიტიკური ნიშნით სამსახურიდან გათავისუფლება 29

VIII. პირველი ტური 30

IX. მეორე ტური 33

X. შედეგების შეჯამება 35

XI. რეკომენდაციები 38

XII. დანართები 40

I. წინასიტყვაობა

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის (შემდგომში – საია) ერთ-ერთ სტრატეგიულ მიმართულებას დემოკრატიული ინსტიტუტების მხარდაჭერა წარმოადგენს. ორგანიზაცია დაფუძნებიდან (1994 წელი) დღემდე ჩართულია არჩევნების მონიტორინგის პროცესში, სწავლობს, რამდენად თანასწორი, თავისუფალი, სამართლიანი, კონკურენტული და ინკლუზიური პოლიტიკური გარემოა საქართველოში წინასაარჩევნო, არჩევნების დღისა და შემდგომ პერიოდში. ამ პროცესებზე დაკვირვებისას, ორგანიზაციის მიზანს წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობისა და საერთაშორისოდ დადგენილი დემოკრატიული სტანდარტების დაცვა საარჩევნო ადმინისტრაციის წარმომადგენლების, საარჩევნო სუბიექტებისა და საჯარო მოხელეების მხრიდან. საიას საქმიანობა არ შემოიფარგლება მხოლოდ დარღვევების გამოვლენით, არამედ, საარჩევნო ადმინისტრაციასა და სასამართლოში საჩივრების წარდგენის გზით, ორგანიზაცია ცდილობს, ხელი შეუწყოს კანონმდებლობის თანმიმდევრული და სამართლიანი განმარტების დანერგვას, დამრღვევთა წინააღმდეგ სამართლებრივი ზომების გატარებას და პრევენციას. საიას მიაჩნია, რომ არჩევნების მიმდინარეობის თაობაზე საზოგადოებისა და საარჩევნო პროცესებში ჩართული მხარეებისთვის მიუკერძოებელი, კომპეტენტური, დროული ინფორმაციის მიწოდება ხელს შეუწყობს საარჩევნო გარემოს გამჭვირვალობისა და სამართლიანობის ხარისხის გაუმჯობესებას და იმ პროგრესის გაღრმავებას, რომელსაც ქვეყანამ წლების განმავლობაში მიაღწია.

ასოციაციას სწამს რა სამართლიანი, თანასწორი და თავისუფალი არჩევნების პრინციპების უზენაესობის, თავის საქმიანობაში მუდმივად იცავს პარტიულ ნეიტრალიტეტს. წლების განმავლობაში საიამ თავისი საქმიანობით დაამტკიცა დემოკრატიული პრინციპების ერთგულება და სწრაფვა სამართლიანი საარჩევნო გარემოს შესაქმნელად. ამ მიზნით, საიამ 2010 წელს ხელმოწერით აღიარა ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციების გლობალური ქსელის (GNDM) ინიციატივით არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის შემუშავებული სადამკვირვებლო მონიტორინგის გლობალური პრინციპების დეკლარაცია და ქცევის კოდექსი.[1]

წინამდებარე ანგარიში მოიცავს 2018 წლის 1-ლი აგვისტოდან 2018 წლის 14 დეკემბრის ჩათვლით პერიოდს და მასში ყურადღება გამახვილებულია როგორც 2018 წლის 28 ოქტომბრის საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების წინასაარჩევნო პერიოდის, არჩევნების დღისა და შედეგების შეჯამების პროცედურებზე, აგრეთვე, 2018 წლის 28 ნოემბრის საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების მეორე ტურზეც. ასევე, წარმოდგენილია ინფორმაცია წინასაარჩევნო კამპანიის ოფიციალურად დაწყებამდე განვითარებული მოვლენების თაობაზე.

საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების მონიტორინგის მისიის განხორციელება შესაძლებელი გახდა „ეროვნული წვლილი დემოკრატიისთვის“ (NED), აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID), ბაქოში ნორვეგიის სამეფოს საელჩოს, ბრიტანეთის საელჩოს, ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI), „ღია საზოგადოების ფონდის“ დაფინანსებით.

[1] DECLARATION OF GLOBAL PRINCIPLES FOR NON-PARTISAN ELECTIONOBSERVATION AND MONITORINGBY CITIZEN ORGANIZATIONS and CODE OF CONDUCT FOR NON-PARTISAN CITIZEN ELECTION OBSERVERS AND MONITORS. Commemorated April 3, 2012. ხელმისაწვდომია: https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD(2012)018-e, განახლებულია: 15.06.2016.

II. სადამკვირვებლო მისიის მასშტაბი და მეთოდოლოგია

საიამ 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების მონიტორინგი აგვისტო-დეკემბრის პერიოდში განახორციელა. ორგანიზაცია წინასაარჩევნო გარემოს **ცენტრალური** და **8 რეგიონული ოფისის** მეშვეობით, თბილისში, **აჭარაში, გურიაში, სამეგრელო-ზემო სვანეთში, იმერეთში, რაჭა-ლეჩხუმში, შიდა და ქვემო ქართლში, სამცხე-ჯავახეთში, მცხეთა-მთიანეთსა და კახეთში** აკვირდებოდა.

საიას მონიტორების ყურადღების არეალში მოექცა: საარჩევნო ადმინისტრაციების დაკომპლექტების, ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების, ამომრჩეველთა მოსყიდვის, პოლიტიკური პარტიების დაფინანსების, საარჩევნო სუბიექტების ქმედებების შეფასების საკითხები. მონიტორებმა ასევე შეისწავლეს ამომრჩეველთა ნების თავისუფალი ფორმირებისა და გამოხატვის პროცესი, ინკლუზიური საარჩევნო გარემო და მედიის სამუშაო გარემო.

დარღვევების გამოვლენის შემთხვევაში ორგანიზაცია შესაბამის განცხადებას/საჩივარს საარჩევნო ადმინისტრაციაში, თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორის კომისიაში, სახელმწიფო აუდიტის სამსახურსა და სხვა შესაბამის უწყებებში წარადგენდა. სავარაუდო დარღვევების/ფაქტების შესახებ ზოგიერთ ინფორმაციასთან დაკავშირებით საიამ დამატებით გამოითხოვა ინფორმაცია.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია 2018 წლის 28 ოქტომბერს, საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების კენჭისყრის დღეს თბილისსა და 9 რეგიონში – კახეთში, მცხეთა-მთიანეთში, ქვემო ქართლში, შიდა ქართლში, სამცხე-ჯავახეთში, სამეგრელო-ზემო სვანეთში, გურიაში, იმერეთსა და აჭარაში აკვირდებოდა (ჯამში **400 დამკვირვებლის საშუალებით)**.

სტატიკური დამკვირვებლები განთავსებულნი იყვნენ საქართველოს მასშტაბით **250-მდე** საარჩევნო უბანზე. **33 საარჩევნო ოლქში 50 მობილური ჯგუფისა** და **ოლქის 59** დამკვირვებლის მეშვეობით შესაძლებელი გახდა პრობლემატურ უბნებსა და მათ მიმდებარე ტერიტორიებზე მიმდინარე პროცესების მონიტორინგი.

პრეზიდენტის არჩევნების მეორე ტურის კენჭისყრის დღეს, რომელიც 2018 წლის 28 ნოემბერს გაიმართა, ორგანიზაცია თბილისსა და 9 რეგიონში – კახეთში, მცხეთა-მთიანეთში, ქვემო ქართლში, შიდა ქართლში, სამცხე-ჯავახეთში, სამეგრელო-ზემო სვანეთში, გურიაში, იმერეთსა და აჭარაში აკვირდებოდა **(ჯამში 300 დამკვირვებლის მეშვეობით).**

სტატიკური დამკვირვებლები განთავსებული იყვნენ საქართველოს მასშტაბით **170-მდე საარჩევნო უბანში**. მონიტორინგის მისიაში **28** საარჩევნო ოლქში **57** მობილური ჯგუფი მოძრაობდა. პროცესში ასევე ჩართული იყო ოლქის **46** დამკვირვებელი.

საიას სადამკვირვებლო გამოცდილების გათვალისწინებით, ორივე ტურზე ყურადღება განსაკუთრებით გამახვილდა:

- წინა არჩევნების დროს და წინასაარჩევნო პერიოდში გამოკვეთილ პრობლემურ უბნებზე;
- ეროვნული უმცირესობებით და იძულებით გადაადგილებულ პირთა კომპაქტურად დასახლებულ ოლქებზე;
- საუბნო საარჩევნო კომისიების გარე პერიმეტრზე განვითარებულ მოვლენებსა და სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენელთა საქმიანობაზე;
- ინკლუზიურ საარჩევნო გარემოზე, მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების, ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლების მიერ პოლიტიკური/საარჩევნო უფლებების რეალიზების საკითხებზე. პრიორიტეტული იყო ქალი კანდიდატების არჩევნებში მონაწილეობის საკითხი.

არჩევნების დღეს, ორივე ტურის შემთხვევაში, საიაში მუშაობდა **სპეციალური ცხელი ხაზი**, რომლის მეშვეობით მოქალაქეებს შეეძლოთ სამართლებრივი კონსულტაციების მიღება. საია კონსულტაციას უწევდა ასევე ჟურნალისტებს და მედიაორგანიზაციებს საარჩევნო

პროცედურების, კენჭისყრის დღის დარღვევებისა და მათზე რეაგირების გზების შესახებ. ჟურნალისტებს შეეძლოთ, მოეწოდებინათ ინფორმაცია მათ მიერ კენჭისყრის დღეს დაფიქსირებული დარღვევების შესახებ.

არჩევნების დღეს საიამ საარჩევნო-ანალიტიკურ ბაზაში შეაგროვა ინფორმაცია საარჩევნო დარღვევების შესახებ და გააანალიზა ის საქართველოს ყველა რეგიონში წარგზავნილი დამკვირვებლებისა და ანალიტიკოსების მეშვეობით.

საიამ პირველი და მეორე ტურის კენჭისყრის დღეს 4 პრესკონფერენცია, ხოლო არჩევნების დღის მომდევნო დღეს 1 პრესკონფერენცია გამართა არასამთავრობო ორგანიზაციათა მედიაცენტრში. ამ გზით ორგანიზაციამ საზოგადოებას მიაწოდა ინფორმაცია კენჭისყრის დღეს დაფიქსირებული დარღვევების შესახებ.

არჩევნების დღის შემდგომ საია საოლქო საარჩევნო კომისიის საქმიანობას 11 დღის განმავლობაში, კენჭისყრის დღის 20 საათიდან შედეგების ოფიციალურად შეჯამებამდე, აკვირდებოდა. დაკვირვება მიმდინარეობდა 24-საათიან რეჟიმში, როგორც პირველი, ისე მეორე ტურის დროს.

საოლქო საარჩევნო კომისიის საქმიანობის დაკვირვების დროს ყურადღება გამახვილდა:

- საოლქო საარჩევნო კომისიაში საუბნო საარჩევნო კომისიიდან შემოსული დოკუმენტაციის შესაბამისობაზე საარჩევნო კანონმდებლობით განსაზღვრულ ნორმებთან;
- საუბნო საარჩევნო კომისიებიდან მიღებული ოქმების საფუძველზე, საოლქო საარჩევნო კომისიის შემაჯამებელი ოქმების შეჯამების და ცენტრალური საარჩევნო კომისიისთვის გადაცემის პროცედურაზე;
- საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომების საჯაროობის უზრუნველყოფის პროცესზე;
- საოლქო საარჩევნო კომისიის საქმიანობის პროცესში ყველა წევრის სრული ჩართულობის უზრუნველყოფაზე.

საარჩევნო დავების, ასევე, სისხლის სამართლის საქმეების შესახებ საია ცალკე ანგარიშს გამოსცემს, რის გამოც აღნიშნულ ასპექტებს წინამდებარე ანგარიშში არ შეეხება.

III. ძირითადი მიგნებები

წინასაარჩევნო პერიოდში პროცესს არ ჩაუვლია წინასაარჩევნო კამპანიის ხელშეშლის, სიძულვილის ენისა და ქსენოფობიური განცხადებების გარეშე. პირადი შეურაცხყოფის ტირაჟირებისთვის გამოიყენებოდა სოციალური ქსელები (ძირითადად - facebook). არსებობდა გვერდები და დასპონსორებული საინფორმაციო მასალა, რომელიც მიმართული იყო სხვადასხვა პოლიტიკური სუბიექტისკენ. ამ გვერდების დამფინანსებლებისა და დაფინანსების წყაროების შესახებ ინფორმაცია უცნობია.

წინასაარჩევნო პერიოდში დაფიქსირდა ადგილობრივ სადამკვირვებლო ორგანიზაციებზე სიტყვიერი თავდასხმები სახელმწიფო თანამდებობის პირთაგან, რასაც თან ახლდა მადისკრედიტებელი კამპანია სოციალურ ქსელებში.

წინასაარჩევნო პერიოდში კიდევ უფრო პოლარიზებული გახდა მედია. პრობლემური იყო კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები და განმარტებები წინასაარჩევნო პერიოდში მედიის გამოყენების წესთან დაკავშირებით.

ტენდენციად გამოიკვეთა ე.წ. „ტექნიკური კანდიდატების“ დასახელება, რომელთა მიზანი არა არჩევნებში გამარჯვება, არამედ კონკრეტული კანდიდატის მხარდაჭერა და საარჩევნო სუბიექტებისთვის დამატებითი რესურსის (დაფინანსება სახელმწიფო ბიუჯეტიდან და სარეკლამო დრო) მოპოვება იყო. ამით კანონმდებლობა არ დარღვეულა, თუმცა, ცხადი გახდა საპრეზიდენტო კანდიდატის წარდგენის წესის პრობლემურობა.

ხარვეზები დაფიქსირდა მხარდამჭერთა ხელმოწერების შეგროვებისა და სიების გადამოწმების პროცესში. აღნიშნულ ფაქტებთან დაკავშირებით ცესკომ პროკურატურას მიმართა და გამოძიების დაწყება მოითხოვა.

საანგარიშო პერიოდში უწყებათაშორისმა კომისიამ 10 რეკომენდაცია გამოსცა. უწყებათაშორისი კომისიის საქმიანობა ასცდა საკუთარ მანდატს. ამიტომ საიამ 2018 წლის 24 აგვისტოს სხდომის შემდეგ კომისია დატოვა და საქმიანობა მხოლოდ პრემიერ-მინისტრის მანდატის ფარგლებში შექმნილი მსგავსი ფორმატის კომისიაში გააგრძელა.

საარჩევნო ადმინისტრაციის არაერთი აქტივობა საიას მიერ პოზიტიურად შეფასდა. მათ შორის, ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციებისთვის ელექტრონული რეგისტრაციის პროგრამის დანერგვა, მემორანდუმი ადმინისტრაციული რესურსები გამოყენების საკითხებზე, ეთიკის კოდექსის ხელმოწერა ცესკოსა და ადგილობრივ სადამკვირვებლო ორგანიზაციებს შორის, არჩევნებში მონაწილეობის მიზნებისთვის საარჩევნო სუბიექტთა წრის გაფართოება. თუმცა, ამ პერიოდში იყო მნიშვნელოვანი ხარვეზები და გამოწვევები, რომლებმაც საარჩევნო ადმინისტრაციის, როგორც დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი უწყების მიმართ კითხვები გააჩინა. ხარვეზები ძირითადად უკავშირდებოდა საარჩევნო კომისიების პროფესიული წევრებით დაკომპლექტებას და ამ კუთხით სავარაუდო პოლიტიკურ გავლენებსა და ნეპოტიზმს, ასევე – საარჩევნო დავების განხილვას და არჩევნების მეორე ტურის დანიშვნას.

წინასაარჩევნო კამპანიის ინტენსივობის ზრდასთან ერთად, საიას დამკვირვებლებისთვის ცნობილი გახდა ადმინისტრაციული რესურსების გამოყენებისა და ზეწოლა-მუქარის შემთხვევების თაობაზე, რაც თანასწორი საარჩევნო გარემოსთვის დამაზიანებელი იყო.

მმართველი პარტიის მიერ მხარდაჭერილი პრეზიდენტობის დამოუკიდებელი კანდიდატის სალომე ზურაბიშვილის ამომრჩეველთან შეხვედრები ხმაურისა და პროტესტის ფონზე მიმდინარეობდა რეგიონებში. საიას დამკვირვებლებმა საპრეზიდენტო კანდიდატის წინასაარჩევნო შეხვედრების სავარაუდო ხელშეშლის ფაქტები დააფიქსირეს.

საპრეზიდენტო არჩევნების პირველი ტურის წინასაარჩევნო კამპანიის მიმდინარეობისას ფიზიკური დაპირისპირების და ძალადობის ფაქტები თითქმის არ დაფიქსირებულა, თუმცა, მეორე ტურის წინასაარჩევნო პერიოდში ფიზიკური დაპირისპირების არაერთი შემთხვევა

მოხდა. ყველა ფაქტთან დაკავშირებით შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოძიება დაიწყო.

პირველ ტურთან შედარებით, საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურის წინასაარჩევნო პერიოდი კიდევ უფრო მკვეთრი პოლარიზებით და მეტად გამოხატული ნეგატიური კამპანიით ხასიათდებოდა.

მეორე ტურის წინ საპრეზიდენტო კანდიდატებს შორის დებატები არ გამართულა და ამომრჩეველი მოკლებული იყო შესაძლებლობას, მოესმინა კანდიდატთა წინასაარჩევნო პროგრამების თაობაზე გამართული დისკუსიებისა და თემატური მსჯელობებისთვის.

ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები დაქვემდებარებულ პირებს, კანონის მოთხოვნების საწინააღმდეგოდ, მმართველი პარტიის მიერ მხარდაჭერილი დამოუკიდებელი კანდიდატის სასარგებლოდ წინასაარჩევნო კამპანიაში რთავდნენ და მხარდამჭერთა სიების შედგენას ავალებდნენ. საიას დამკვირვებლებმა დააფიქსირეს ასევე საჯარო მოხელეების მიერ სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებული საკომუნიკაციო საშუალებებისა და საინფორმაციო მომსახურების გამოყენების ფაქტები სალომე ზურაბიშვილის სასარგებლოდ.

საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილება 600,000 მოქალაქისთვის ჯამში მილიარდნახევარი ლარის ოდენობის ფინანსური ვალდებულებების „განულების“ შესახებ, თავისი შინაარსით, ამომრჩევლის მოსყიდვას წარმოადგენდა. თუმცა, პროკურატურა მიიჩნევს, რომ ეს ქმედება არ შეიცავდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულის (ამომრჩევლის მოსყიდვა) ნიშნებს.

ცალკეულ შემთხვევებში საიამ პერსონალური მონაცემების დაცვის ინსპექტორს მიმართა და რეაგირება მოითხოვა. ამომრჩევლის ნების სავარაუდო კონტროლს და მისი პერსონალური ინფორმაციის დამუშავებას საარჩევნო სუბიექტების მხარდამჭერები ძირითადად მმართველი პარტიის მიერ მხარდაჭერილი კანდიდატის სასარგებლოდ ახდენდნენ. ასეთ ფაქტებს ადგილი ჰქონდა როგორც წინასაარჩევნო პერიოდში, ისე კენჭისყრის დღეს.

წინასაარჩევნო პერიოდში საიას დამკვირვებლებმა, როგორც ხელისუფლების, ისე ოპოზიციის მხრიდან დააფიქსირეს:

- **ამომრჩევლის სავარაუდო მოსყიდვის 2 ფაქტი;**
- **ფიზიკური დაპირისპირების და ძალადობის 10 ფაქტი;**
- **ჟურნალისტთა საქმიანობის სავარაუდო ხელშეშლის 3 ფაქტი;**
- **სავარაუდო მუქარისა და ზეწოლის 10 ფაქტი;**
- **პოლიტიკური ნიშნით სამსახურიდან სავარაუდო გათავისუფლების 1 ფაქტი;**
- **სავარაუდოდ უკანონო შემოწირულობის 11 ფაქტი;**
- **ადმინისტრაციული რესურსის სავარაუდო გამოყენების 10 ფაქტი;**
- **სავარაუდოდ უკანონო აგიტაციის 8 ფაქტი;**
- **კანდიდატთა წინასაარჩევნო კამპანიის ხელშეშლის ფაქტები;**
- **სააგიტაციო მასალების დაზიანების ფაქტები;**
- **ამომრჩეველთა ნების სავარაუდო კონტროლი და პერსონალური მონაცემების სავარაუდოდ უკანონოდ დამუშავების ფაქტები.**

კენჭისყრის დღე – მთლიანობაში, პირველი ტურის კენჭისყრის პროცესმა მშვიდ გარემოში ჩაიარა. საიას დამკვირვებლების ინფორმაციით, ხმის მიცემის დროს იდენტიფიცირებულ დარღვევებს მნიშვნელოვანი გავლენა კენჭისყრის პროცესზე არ მოუხდენია.

მთელი დღის განმავლობაში მაღალი იყო ამომრჩევლის მობილიზებისა და მისი ნების სავარაუდო კონტროლის ფაქტები.

მეორე ტურის კენჭისყრის დღე ძირითადად მშვიდ ვითარებაში წარიმართა, თუმცა,

დაფიქსირდა დარღვევები და სხვა მნიშვნელოვანი ტენდენციები: სავარაუდო გაყალბების, ამომრჩევლის მოსყიდვისა და მუქარის ფაქტები; არჩევნების ძირითადი პრინციპების – ხმის მიცემის ფარულობის დარღვევის ცალკეული შემთხვევები და ამომრჩევლის ნების კონტროლის ფაქტები. ცალკეულ უბნებზე საიას დამკვირვებლებს შეეზღუდათ დამკვირვებლის უფლებების განხორციელების შესაძლებლობა, ადგილი ჰქონდა მათ მიმართ აგრესიას და ფიზიკური შეურაცხყოფის მუქარას.

საოლქო საარჩევნო კომისიებში წარმოებულ დავებთან დაკავშირებით გამოიკვეთა, რომ კომისიები საარჩევნო კანონმდებლობით გათვალისწინებული სტანდარტის დაცვით არ ატარებდნენ ადმინისტრაციულ წარმოებას.[2]

ზოგიერთ საოლქო საარჩევნო კომისიაში დამკვირვებლებს არ ჰქონდათ სრულყოფილი დაკვირვებისთვის შესაბამისი გარემო.[3]

2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების სასამართლო დავებში, ძირითადად, სადამკვირვებლო ორგანიზაციებისა და საარჩევნო სუბიექტების საჩივრები არ დაკმაყოფილებულა.

[2] სამგორის, საბურთალოს, კრწანისის საოლქო საარჩევნო კომისიები.

[3] კერძოდ: ნაძალადევის, დიდუბის, ბაღდათის, ხონის, წყალტუბოს, თელავის, ზუგდიდის, სამგორის ოლქებში სხვადასხვა ოთახში ხდებოდა დალუქული მასალებისა და შემაჯამებელი ოქმების წარდგენა.

IV. პოლიტიკური კონტექსტი

2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნები იყო ბოლო არჩევნები, როდესაც ამომრჩეველმა საქართველოს პრეზიდენტი პირდაპირი წესით აირჩია. 2018 წელს საქართველოს პარლამენტმა კონსტიტუციის ამჟამინდელი რედაქცია დაამტკიცა, რომლითაც საქართველოს პრეზიდენტის არაპირდაპირი წესით არჩევა დადგინდა.[4]

კენჭისყრის დღე, 28 ოქტომბერი, საქართველოს პრეზიდენტმა 2018 წლის 1-ლ აგვისტოს გამოაცხადა.[5] ამდენად წინასაარჩევნო კამპანიის რეგულაციები, საარჩევნო კოდექსის თანახმად, 29 აგვისტოდან ამოქმედდა.[6]

2016-2017 წლების მსგავსად, გავრცელდა ჩანაწერები, რომლებიც ტელეკომპანია „იბერიასა“ და „ომეგა ჯგუფის“ საქმეებს შეეხებოდა. ჩანაწერები ხელისუფლების მოქმედ და ყოფილ მაღალჩინოსნებს ბიზნესებზე ზეწოლაში, სავარაუდო კორუფციულ გარიგებებსა და სხვა დანაშაულებში ამხელდა. ასევე, საუბარი იყო საარჩევნოდ მმართველი პარტიის სავარაუდო დაფინანსების არალეგალური სქემის შესახებ.

2018 წლის არჩევნები წინა პრეზიდენტის არჩევნებისგან განსხვავდებოდა, ვინაიდან საქართველოში პრეზიდენტის არჩევნების ისტორიაში პირველად მმართველმა პარტიამ „ქართულმა ოცნებამ“ საკუთარი კანდიდატი არ წარადგინა და მხარი საინიციატივო ჯგუფის მიერ წარდგენილ დამოუკიდებელ კანდიდატს სალომე ზურაბიშვილს დაუჭირა.

არჩევნებში მონაწილეობის მიზნით, საარჩევნო ადმინისტრაციას მიმართა და პრეზიდენტობის კანდიდატი დაასახელა **46**-მა საარჩევნო სუბიექტმა/საინიციატივო ჯგუფმა.[7] საბოლოოდ, რეგისტრაცია გაიარა პრეზიდენტობის **25**-მა კანდიდატმა.[8] მათ შორის იყო **19** პოლიტიკური გაერთიანება და **6** საინიციატივო ჯგუფი.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ინფორმაციით, **2018 წლის 1-ლი აგვისტოდან 14 დეკემბრის** ჩათვლით პერიოდში პოლიტიკურმა პარტიებმა და დამოუკიდებელმა კანდიდატებმა **მიიღეს 15,722,576 ლარის ოდენობის შემოწირულობა** და გასწიეს **24,711,584 ლარის ოდენობის ხარჯი**.[9] მმართველი პარტიის მიერ მხარდაჭერილმა დამოუკიდებელმა კანდიდატმა სალომე ზურაბიშვილმა მიიღო მთელი შემოწირულობის **81.84%,** ხოლო „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ – **11.38%.**[10] სალომე ზურაბიშვილმა გასწია მთლიანი ხარჯის **54.03%**, ხოლო „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ – **12.15%.**[11] 2018 წლის 28 ოქტომბერს, პირველ ტურში, პრეზიდენტობის ვერცერთმა კანდიდატმა ხმათა 50%-ზე მეტი ვერ მიიღო. მეორე ტურში გადავიდა საუკეთესო შედეგების მქონე ორი კანდიდატი: „ქართული ოცნების“ მიერ მხარდაჭერილი პრეზიდენტობის დამოუკიდებელი კანდიდატი სალომე ზურაბიშვილი და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატი გრიგოლ ვაშაძე, რომელსაც მხარი გაერთიანებულმა ოპოზიციამ – სახელწოდებით „ძალა ერთობაშია“ – დაუჭირა.[12] გრიგოლ ვაშაძეს მხარდაჭერა ასევე გამოუცხადეს პრეზიდენტობის კანდიდატმა დავით ბაქრაძემ – „ევროპულმა საქართველომ“ და საქართველოს რესპუბლიკურმა პარტიამ.[13] სალომე ზურაბიშვილს მხარი დაუჭირა „საქართველოს პატრიოტთა ალიანსმა“.[14]

---

[4] საქართველოს კონსტიტუცია, 50-ე მუხლი.

[5] საქართველოს პრეზიდენტის 2018 წლის 1-ლი აგვისტოს №01/08/02 განკარგულება „საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების თარიღის დანიშვნის შესახებ“, ხელმისაწვდომია: http://cesko.ge/res/docs/gankargulebaprez.pdf, განახლებულია 15.06.2019.

[6] საქართველოს საარჩევნო კოდექსის 45-ე მუხლის 1-ლი ნაწილი.

[7] საქართველოს პრეზიდენტის 2018 წლის 28 ოქტომბრის არჩევნები, რეგისტრირებული პრეზიდენტობის კანდიდატები, ცესკო, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2WVrZSS, განახლებულია: 15.06.2019.

[8] იქვე.

[9] 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების ფინანსური აქტივობების მონიტორინგის მეორე შუალედური ანგარიში, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის პოლიტიკური ფინანსების მონიტორინგის დეპარტამენტი. 2019 წლის 18 იანვარი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2E3Zg7h, განახლებულია: 15.06.2019.

[10] იქვე.

[11] იქვე.

[12] 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურის წინასაარჩევნო გარემოს შეფასება, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, ხელმისაწვდომია: https://gyla.ge/ge/post/2018-tslis-saprezidento-archevnebis-meore-turis-tsinasaarchevno-garemos-shefaseba#sthash.kbUZZOxE.dpbs, განახლებულია 15.06.2019.

[13] იქვე.

[14] იქვე.

V. მედიაგარემო

საარჩევნო პროცესში მედიის მონაწილეობისა და მისი გამოყენების წესი

საარჩევნო პროცესში მედიის მონაწილეობისა და მისი გამოყენების წესს განსაზღვრავს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია. ის ასევე უზრუნველყოფს მაუწყებლის მიერ საარჩევნო კოდექსით დადგენილ ნორმათა დაცვის მონიტორინგს და რეაგირებს დარღვევაზე.[15]

კომისია დადგენილი წესით შეისყიდის მედიამონიტორინგისთვის საჭირო მომსახურებას.[16] აქვე აღსანიშნავია, რომ 2012 წლის შემდგომ ჩატარებულ ყველა არჩევნებზე კომისია თავად ატარებს მედიამონიტორინგს.[17] ამ თვალსაზრისით არც 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნები ყოფილა გამონაკლისი.[18]

მონიტორინგის დროს კომისია ხელმძღვანელობს საკუთარი დადგენილებით, რომელიც პირდაპირ განსაზღვრავს, ვინ ექვემდებარება მონიტორინგს და რა მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს კონკრეტული მაუწყებელი.[19] კომისიამ 2018 წლის არჩევნების პირველი ტურის წინასაარჩევნო პერიოდის მედიამონიტორინგისთვის გასწია ხარჯი 30,767.05 ლარის ოდენობით.[20]

საზოგადოებრივი აზრის კვლევის გამოქვეყნება

წინასაარჩევნო პერიოდში საზოგადოებრივი აზრის კვლევა უნდა აკმაყოფილებდეს მოთხოვნებს,[21] რომლებიც ორ ნაწილად შეიძლება დაიყოს:

1. რა უნდა მიეთითოს საზოგადოებრივი აზრის კვლევის გამოქვეყნებისას;[22]
2. რა მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს საზოგადოებრივი აზრის კვლევა, მათ შორის, კვლევის მეთოდოლოგიის საიმედოობისა და შედეგების ობიექტურობის გადამოწმების კუთხით.[23]

საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგების გამოქვეყნებასთან დაკავშირებული მოთხოვნების დარღვევისთვის დგება მაუწყებლებისა და ბეჭდური მედიის (გაზეთების) პასუხისმგებლობა.[24] საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგების სავალდებულო ინფორმაციის გარეშე გამოქვეყნების ან გამოქვეყნებასთან დაკავშირებული სხვა წესების დარღვევის შემთხვევაში სამართალდარღვევათა ოქმებს ადგენს კომისია,[25] საქმეს კი განიხილავს სასამართლო.[26] ეს დარღვევები სანქციის სახით ითვალისწინებს ჯარიმას 1500 ლარის ოდენობით.[27]

---

[15] საქართველოს საარჩევნო კოდექსის 51-ე მუხლის მე-15 პუნქტი.

[16] იქვე.

[17] საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2018 წლის 06 დეკემბრის №04/3865-18 წერილი.

[18] საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის განცხადება 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების წინასაარჩევნო პერიოდის მედიამონიტორინგის დაწყების თაობაზე. ხელმისაწვდომია: http://gncc.ge/ge/news/press-releases/komisiam-saprezidento-archevnebis-winasaarchevno-periodis-media-monitoringi-daiwyo.page?fbclid=IwAR3JKW89cF4pTSSs6WpuUAuVlpAc7QjoPsXjAo9SaI-S0rftrPPnZ9m_vaY, განახლებულია: 31.05.2019.

[19] საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2012 წლის 15 აგვისტოს „წინასაარჩევნო პროცესში მედიის მონაწილეობისა და მისი გამოყენების წესის შესახებ“ დადგენილება.

[20] საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2018 წლის 06 დეკემბრის №04/3865-18 წერილი.

[21] საქართველოს საარჩევნო კოდექსის, 51-ე მუხლის მე-11 ნაწილი.

[22] საქართველოს საარჩევნო კოდექსის, 51-ე მუხლის მე-11 ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტი.

[23] საქართველოს საარჩევნო კოდექსის, 51-ე მუხლის მე-11 ნაწილის „ა-ე“ ქვეპუნქტები.

[24] საქართველოს საარჩევნო კოდექსის 82-ე მუხლი.

[25] საქართველოს საარჩევნო კოდექსის 93-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

[26] საქართველოს საარჩევნო კოდექსის 93-ე მუხლის მე-5 ნაწილი.

[27] საქართველოს საარჩევნო კოდექსის 82-ე მუხლი.

სადავო არ არის, რომ საზოგადოებრივი აზრის კვლევის გამოქვეყნებისას სავალდებულოა კანონით დადგენილი მითითებების გაკეთება. თუმცა, ჩნდება კითხვა საზოგადოებრივი აზრის კვლევისთვის დადგენილი მოთხოვნების შესრულებაზე პასუხისმგებლობის შესახებ.

2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების წინასაარჩევნო პერიოდში კომისიამ საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგების გამოქვეყნების წესების დარღვევაზე 10 მაუწყებლის მიმართ შეადგინა სამართალდარღვევათა ოქმი,[28] საიდანაც ნაწილი ეხებოდა საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგების გამოქვეყნებისას სავალდებულო ინფორმაციის მიუთითებლობას. თუმცა, იმ გადაწყვეტილებებში, რომლებიც ეხება მეთოდოლოგიის საიმედოობისა და შედეგების ობიექტურად გადამოწმებას, კომისია კანონმდებლობას არასწორად განმარტავს.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ 2017 წლის 18 ოქტომბერს მიმართა საქართველოს პარლამენტს და მოითხოვა კანონში გარკვეული ცვლილებების შეტანა. კერძოდ, ცვლილებების მიხედვით საზოგადოებრივი აზრის კვლევისთვის დადგენილი მოთხოვნების შესრულებაზე პასუხისმგებელი იქნებოდა ის მაუწყებელი, რომლის დაკვეთითაც საზოგადოებრივი აზრის კვლევა განხორციელდებოდა.[29]

კომისიის მიერ 2016 წლიდან დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, საზოგადოებრივი აზრის კვლევის დამკვეთ მაუწყებელს ეკისრება პასუხისმგებლობა საზოგადოებრივი აზრის კვლევისთვის დადგენილი მოთხოვნების შესრულებაზეც.

იმ შემთხვევაში, თუ კომისიას უფლება ექნება, მოითხოვოს ინფორმაცია საზოგადოებრივი აზრის კვლევის დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის კონტროლის მეთოდოლოგიის შესახებ, ეს ნიშნავს, რომ მას ექნება წვდომა კვლევის ნედლ მასალაზე. ადმინისტრაციული ორგანოსთვის ცნობილი გახდება კვლევაში მონაწილე პირების მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესახებ. ეს კი, მოქალაქეებს დამატებით მოტივაციას გაუჩენს, უარი განაცხადონ კვლევებში მონაწილეობაზე.

<u>საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მხრიდან პოლიტიკური რეკლამის შინაარსში ჩარევა</u>

2018 წლის 25 სექტემბერს მაუწყებლებმა კომუნიკაციების ეროვნული კომისიისგან მიიღეს წერილი, რომელშიც მითითებული იყო, რომ 3 სარეკლამო ვიდეორგოლი (პოლიტიკური რეკლამა) ეწინააღმდეგებოდა მოქმედ კანონმდებლობას და, იმ შემთხვევაში, თუ მაუწყებელმა უკვე განათავსა აღნიშნული ვიდეორგოლები, დაუყოვნებლივ უნდა ამოეღო სარეკლამო ბადიდან.[30] იმ მაუწყებლების მიმართ, რომლებმაც ეს მოთხოვნა არ დააკმაყოფილეს, კომისიამ შესაბამისი სანქციები გამოიყენა.[31]

კომისიამ დაადგინა, რომ მაუწყებლებმა არაეთიკური რეკლამის განთავსებით კანონი

[28] საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2018 წლის 06 დეკემბრის №04/3865-18 წერილი.

[29] საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2017 წლის 18 ოქტომბრის საკანონმდებლო წინადადება საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ, ხელმისაწვდომია: https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/161488?, განახლებულია: 13.06.2019.

[30] საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2018 წლის 25 სექტემბრის წერილი.

[31] საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2018 წლის 06 დეკემბრის №665/18 გადაწყვეტილება. ხელმისაწვდომია: https://www.gncc.ge/ge/legal-acts/solutions/2018-665-18.page ნანახია: 31.05.2019;
საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2018 წლის 06 დეკემბრის №664/18 გადაწყვეტილება. ხელმისაწვდომია: https://www.gncc.ge/ge/legal-acts/solutions/2018-664-18.page ნანახია: 31.05.2019;
საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2018 წლის 06 დეკემბრის №666/18 გადაწყვეტილება. ხელმისაწვდომია: https://www.gncc.ge/ge/legal-acts/solutions/2018-666-18.page ნანახია: 31.05.2019;
საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2018 წლის 06 დეკემბრის №667/18 გადაწყვეტილება. ხელმისაწვდომია: https://www.gncc.ge/ge/legal-acts/solutions/2018-667-18.page, ნანახია: 31.05.2019;
საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2018 წლის 06 დეკემბრის №668/18 გადაწყვეტილება. ხელმისაწვდომია: https://www.gncc.ge/ge/legal-acts/solutions/2018-668-18.page ნანახია: 31.05.2019.

დაარღვიეს.[32] თუმცა, არაეთიკური რეკლამის დეფინიცია განსაზღვრულია „რეკლამის შესახებ“ საქართველოს კანონით, რომელიც არ ვრცელდება პოლიტიკურ რეკლამებზე.[33]

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ უხამსობის შინაარსობრივი რეგულირება არის თვითრეგულირების მექანიზმისა და სასამართლოს კომპეტენცია.[34] კანონის მიხედვით კი, საკითხები, რომლებიც შედის თვითრეგულირების მექანიზმის იურისდიქციაში, არ შეიძლება გახდეს კომისიის განხილვის საგანი.[35]

ასევე, „მაუწყებელი პასუხს არ აგებს წინასაარჩევნო და სოციალური რეკლამების შინაარსზე. წინასაარჩევნო და სოციალური რეკლამების შინაარსზე პასუხისმგებლობა, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ეკისრება შესაბამისი რეკლამის დამკვეთს“.[36] რეკლამის დამკვეთი არ არის კომისიის რეგულირების სუბიექტი. ამდენად, კომისია არ იყო უფლებამოსილი, განეხილა ზემოაღნიშნული საქმე და მიეღო გადაწყვეტილება.

[32] იქვე.

[33] რეკლამის შესახებ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-5 პუნქტი.

[34] მაუწყებლობის შესახებ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის 1-ლი პუნქტი. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ნოემბრის გადაწყვეტილება №1/3/421,422.

[35] მაუწყებლობის შესახებ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-2 პუნქტი.

[36] მაუწყებლობის შესახებ საქართველოს კანონის 63-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

VI. სახელმწიფო ორგანოების საქმიანობა

უწყებათაშორისი კომისია

საანგარიშო პერიოდში უწყებათაშორისმა კომისიამ **10** რეკომენდაცია გამოსცა.[37]

კომისიამ საქმიანობისას პოლიტიზირების რისკები ვერ აიცილა. ამიტომ საიამ 2018 წლის 24 აგვისტოს სხდომის შემდეგ კომისია დატოვა და საქმიანობა მხოლოდ პრემიერ-მინისტრის მანდატის ფარგლებში შექმნილი მსგავსი ფორმატის კომისიაში გააგრძელა.

2018 წლის წინასაარჩევნო კამპანიის გააქტიურებასთან ერთად დაიწყო არჩევნებში ჩართული ადმინისტრაციული ორგანოების (ცესკოს თავმჯდომარე, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია, საქართველოს იუსტიციის მინისტრი) ხელმძღვანელების მიერ სადამკვირვებლო ორგანიზაციების დისკრედიტაციის მცდელობები,[38] რაც, მოგვიანებით, ხელისუფლებისა და მმართველი პარტიის მაღალი თანამდებობის პირების მხრიდან (პარლამენტის თავმჯდომარე, თბილისის მერი) ვერბალური თავდასხმებით გაგრძელდა.[39] ისინი სადამკვირვებლო ორგანიზაციებს პოლიტიკურ მიკერძოებულობაში ადანაშაულებდნენ.[40] დისკრედიტაციის კამპანიას თან სდევდა სადამკვირვებლო ორგანიზაციების ხელმძღვანელების წინააღმდეგ დასპონსორებული მადისკრედიტებელი კამპანია სხვადასხვა ანონიმურ facebook-გვერდზე.

კანონმდებლობის მიხედვით, უწყებათაშორისი კომისიის საქმიანობის მიზანია საჯარო მოსამსახურეების მიერ საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევის პრევენცია და ამ დარღვევებზე რეაგირება.[41] ამის ნაცვლად, 2018 წლის 24 აგვისტოს სხდომაზე კომისიის თავმჯდომარე – იუსტიციის მინისტრი – შეეცადა, საიას, როგორც სადამკვირვებლო ორგანიზაციის, დისკრედიტაცია მოეხდინა და მისი საქმიანობა დესტრუქციულად წარმოეჩინა.[42] დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხების გარდა, ის საიას საარჩევნო კომისიების დაკომპლექტების მონიტორინგის ანგარიშით დაინტერესდა.[43] იუსტიციის მინისტრმა სხდომის მიმდინარეობისას კომისიის სამდივნოს მოსთხოვა საიას მონიტორინგის შედეგებისა და კომენტარების ამობეჭდვა, რათა ადგილზე წაეკითხა იგი და „საიას კვლევად

---

[37] თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის რეკომენდაცები. საქართველოს პრეზიდენტის 2018 წლის 28 ოქტომბრის არჩევნები. საქართველოს იუსტიციის სამინისტრო. ხელმისაწვდომია: http://www.justice.gov.ge/Ministry/Index/1516, განახლებულია: 15.06.2019.

[38] ISFED კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თავმჯდომარეს პასუხობს, ISFED, 15 სექტემბერი, 2018, ხელმისაწვდომია: http://www.isfed.ge/main/1411/geo/; 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნები - წინასაარჩევნო მონიტორინგის პირველი შუალედური ანგარიში, ISFED, 13 სექტემბერი, 2018, ხელმისაწვდომია: http://www.isfed.ge/main/1409/geo/; საია ცესკოს თავმჯდომარეს პასუხობს, საია, 21 აგვისტო, 2018; ხელმისაწვდომია: https://gyla.ge/ge/post/saias-pasukhi-ceskos-tavmjdomares#sthash.WhTfbiQO.dpbs; საია თეა წულუკიანს პასუხობს, საია, 28 აგვისტო, 2018, ხელმისაწვდომია: https://gyla.ge/ge/post/saias-pasukhi-iusticiis-ministrs#sthash.pY97PTPv.dpbs, ყველა ბმული განახლებულია: 15.06.209.

[39] ირაკლი კობახიძე მესამე სექტორზე, „რუსთავი 2“, 2 ოქტომბერი, 2018, ხელმისაწვდომია: http://rustavi2.ge/ka/news/115128; წულუკიანი: ეს 13 NGO რეალურად პოლიტიკური პარტიები არიან და მზად ვართ დავარეგისტრიროთ, ტაბულა, 3 ოქტომბერი, 2018, ხელმისაწვდომია: http://tbl.ge/35wj; კახა კალაძე - არასამთავრობოთა განცხადებები ტენდენციურია და რეალურად არ ასახავს საარჩევნო პერიოდში არსებულ პრობლემებს, პირველი არხი, 6 ოქტომბერი, 2018, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2OK3SXi; სალომე ზურაბიშვილი არასამთავრობოების შესახებ, პირველი არხი, 5 ოქტომბერი, 2018, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2QBcehs, ყველა ბმული განახლებულია: 15.06.209.

[40] არასამთავრობო ორგანიზაციების განცხადება ირაკლი კობახიძის ბრიფინგთან დაკავშირებით, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2018 წლის 8 ოქტომბერი. ხელმისაწვდომია: https://gyla.ge/ge/post/arasamtavrobo-organizaciebis-ganckhadeba-irakli-kobakhidzis-brifingtan-dakavshirebit#sthash.SkX2ke49.RglvOTn2.dpbs, განახლებულია:15.06.2019.

[41] საქართველოს საარჩევნო კოდექსის 48-ე მუხლის მე-3 ნაწილი.

[42] საია საარჩევნო კომისიების მონიტორინგზე იუსტიციის მინისტრის კრიტიკას პასუხობს. ნეტგაზეთი. 2018 წლის 19 აგვისტო. ხელმისაწვდომია: http://netgazeti.ge/news/301017/; განახლებულია: 16.06.2019.

[43] საია წინასაარჩევნო მონიტორინგის ფარგლებში საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების დაკომპლექტების მონიტორინგს აწარმოებს, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2018 წლის 20 აგვისტო, ხელმისაწვდომია: https://gyla.ge/ge/post/saia-tsinasaarchevno-monitoringis-farglebshi-saolqo-da-saubno-saarchevno-komisiebis-dakompelqtebis-monitorings-atsarmoebs#sthash.mDYNuVPi.dpbs, განახლებულია: 15.06.2019.

ცნობილი დოკუმენტის“[44] ირგვლივ დისკუსია გაემართა. იმის ნაცვლად, რომ იუსტიციის მინისტრს დეტალურად შეესწავლა არსებული ხარვეზები, ასევე, მედიაში გავრცელებული ინფორმაცია სავარაუდო ნეპოტიზმის თაობაზე და ფაქტები ადმინისტრაციულ ორგანოებში გადაემოწმებინა, მან ზედაპირული, წინასწარგანწყობით შექმნილი შეხედულებებით იხელმძღვანელა.[45] იუსტიციის მინისტრმა სადამკვირვებლო ორგანიზაციის მიმართ ირონიული დამოკიდებულებით, კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა საარჩევნო კოდექსით მისთვის განსაზღვრული ფუნქცია.[46] ამ სხდომის შემდეგ საიას კომისიის მუშაობაში მონაწილეობა აღარ მიუღია. პრეზიდენტის არჩევნების მიმდინარეობისას კომისიის საქმიანობაში მონაწილეობაზე უარი თქვეს ასევე სადამკვირვებლო ორგანიზაციებმა, „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებამ“ და „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ“.[47]

2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების წინ საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში საარჩევნო საკითხებზე არასამთავრობო ორგანიზაციებთან რამდენიმე შეხვედრა გაიმართა, სადაც წინასაარჩევნო დარღვევები განიხილეს და მათი გადაჭრის გზებზე იმსჯელეს.[48] **ვინაიდან საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში საარჩევნო დარღვევების განხილვის გამოცდილება უკვე არსებობს, უმჯობესია, უწყებათაშორისი კომისია ინსტიტუციურად პრემიერ-მინისტრის უშუალო დაქვემდებარებაში გადავიდეს.**

საარჩევნო ადმინისტრაცია

2018 წლის პრეზიდენტის არჩევნების მოსამზადებლად საარჩევნო ადმინისტრაციამ კომპლექსური სამუშაოები გასწია. საარჩევნო კომისიებმა ჩაატარეს არაერთი ღონისძიება, რომელიც მიმართული იყო ამომრჩევლის ინფორმირების დონის გასაზრდელად, ასევე, საარჩევნო პროცესების უკეთ დასაგეგმად.

საიამ პოზიტიურად შეაფასა საარჩევნო ადმინისტრაციის აქტივობები. თუმცა, ამ პერიოდში იყო მნიშვნელოვანი ხარვეზები და გამოწვევები, რომლებმაც გააჩინა კითხვები საარჩევნო ადმინისტრაციის, როგორც დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი უწყების, მიმართ. აღნიშნული ხარვეზები ძირითადად უკავშირდება საარჩევნო კომისიების დაკომპლექტებას, საარჩევნო დავების განხილვას და არჩევნების მეორე ტურის დანიშვნას.

დადებითად უნდა შეფასდეს:

- **ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციების ელექტრონული პროგრამის მეშვეობით დამკვირვებლების ონლაინ დანიშვნის შესაძლებლობა.** 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნებისთვის ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ (ცესკო) გაზარდა ცესკოს ელექტრონული რეგისტრაციების პროგრამის შესაძლებლობები და პრეზიდენტის არჩევნებისთვის რეგისტრირებულ სადამკვირვებლო ორგანიზაციებს ალტერნატიული შესაძლებლობა მისცა, გამარტივებული წესით, ელექტრონული პროგრამის მეშვეობით, ონლაინ დაენიშნათ დამკვირვებლები;[49]
- **სოციალური ქსელით აგიტაციის, როგორც გამოწვევის, აღიარება.** 2018 წლის 14 სექტემბერს საარჩევნო ადმინისტრაციამ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გააფორმა საიას,

[44] იქვე.

[45] საიას პასუხი იუსტიციის მინისტრს, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2018 წლის 29 აგვისტო, ხელმისაწვდომია: https://gyla.ge/ge/post/saias-pasukhi-iusticiis-ministrs#sthash.U9296cBT.dpbs, განახლებულია: 15.06.2019.

[46] იქვე.

[47] არასამთავრობო ორგანიზაციების ნაწილის პროტესტი. საქართველოს პირველი არხი, 2018 წლის 14 სექტემბერი, ხელმისაწვდომია: https://1tv.ge/video/arasamtavrobo-organizaciebis-nawilis-protesti/ განახლებულია: 16.06.2019.

[48] საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსი საერთაშორისო და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებს შეხვდა, საქართველოს პირველი არხი, 2018 წლის 23 ნოემბერი. ხელმისაწვდომია: https://1tv.ge/news/saqartvelos-mtavrobis-administraciis-ufrosi-saertashoriso-da-arasamtavrobo-seqtoris-warmomadgenlebs-shekhvda/, განახლებულია: 16.06.2019.

[49] საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2018 წლის 17 მარტის №21/2018 დადგენილება ხელმისაწვდომია: http://cesko.ge/res/docs/dadg29.pdf, განახლებულია: 15.06.2019.

სხვა ადგილობრივ სადამკვირვებლო არასამთავრობო ორგანიზაციებსა და „თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორის კომისიასთან". მემორანდუმში ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებად შეფასდა საჯარო მოხელეების მიერ, სახელმწიფო რესურსების გამოყენებით, პირადი სოციალური გვერდებიდან აგიტაცია;[50]

- **ეთიკის კოდექსის შემუშავება ცესკოსა და ადგილობრივ დამკვირვებელ ორგანიზაციებს შორის, რაც პროფესიული და ეთიკის ნორმების დაცვის შესახებ შეთანხმებას გულისხმობს;[51]**
- **ცესკოს მიერ საოლქო საარჩევნო კომისიებისთვის სახელმძღვანელო რეკომენდაციების დადგენა, რაც უზრუნველყოფდა საუბნო საარჩევნო კომისიების დაკომპლექტებას კვალიფიციური და გამოცდილი კადრებით;[52]**
- **ცესკოს გადაწყვეტილება, რომლითაც საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის შესაძლებლობა მიეცა იმ პოლიტიკურ პარტიებსაც, რომლებიც რეგისტრირებულნი იყვნენ 2016 და 2017 წლის არჩევნებისთვის და რეგისტრაცია გაუუქმდათ ცესკოს თავმჯდომარის განკარგულებით.[53]**

რაც შეეხება საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობის ხარვეზებსა და გამოწვევებს, ამ მხრივ, **პრობლემური იყო:**

- **საოლქო საარჩევნო კომისიების და საუბნო საარჩევნო კომისიების პროფესიული წევრებით დაკომპლექტების პროცესი,** რამაც ლეგიტიმური კითხვები გააჩინა პოლიტიკური გავლენებისა და ნეპოტიზმის თაობაზე.

73 საოლქო კომისიაში შერჩეული დროებითი წევრებიდან, საიას მიერ განხორციელებული მონიტორინგის დროს, **5** შემთხვევაში გამოიკვეთა შერჩეული პირების სავარაუდო ნათესაური კავშირები საარჩევნო ადმინისტრაციის თანამდებობის პირებთან, ხოლო **6** შემთხვევაში საოლქო კომისიის წევრად არჩეული იყო პ/გ „ქართული ოცნების" მხარდამჭერი ან აქტივისტი.[54] არასაკმარისად გამჭვირვალედ წარიმართა საუბნო საარჩევნო კომისიების წევრთა შესარჩევი კონკურსის პროცესი. საოლქო საარჩევნო კომისიებს არცერთ ოლქში კონკურსანტებთან გასაუბრება არ ჩაუტარებიათ. აღსანიშნავია, რომ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა შესარჩევ სხდომებამდე საოლქო საარჩევნო კომისიებმა განიხილეს და უარი თქვეს გასაუბრების ჩატარებაზე.[55] საიას დამკვირვებლების ინფორმაციით, საოლქო საარჩევნო კომისიებმა თავდაპირველად უარი უთხრეს გასაუბრებისთვის სათანადო პირობების შექმნასა და სივრცის გამოყოფაზე საოლქო საარჩევნო კომისიებში ამ საკითხის ინიციატორ პარტიულ კომისიის წევრებს[56] და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" მიერ ოლქში დანიშნულ წევრებს არ გადასცეს კონკურსანტების პროფესიული გამოცდილების აღმწერი

[50] „ურთიერშეთანხმების მემორანდუმი 2018 წლის 28 ოქტომბრის არჩევნებისთვის ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების შესახებ, 2018 წლის 14 სექტემბერი, ხელმისაწვდომია: http://cesko.ge/geo/list/show/114737-urtiertshetankhmebis-memorandumi-2018-tslis-28-oqtombris-archevnebistvis-administratsiuli-resursebis-gamokenebis-shesakheb, განახლებულია: 15.06.2019.

[51] ცესკომ და ადგილობრივმა დამკვირვებელმა ორგანიზაციებმა ქცევის კოდექსს მოაწერეს ხელი. 2018 წლის 1-ლი ოქტომბერი. ხელმისაწვდომია: http://cesko.ge/geo/list/show/115024-tseskom-da-adgilobrivma-damkvirvebelma-organizatsiebma-qtsevis-kodeqss-moatseres-kheli. განახლებულია: 15.06.2019.

[52] ცესკოს რეკომენდაციები საუბნო საარჩევნო კომისიების წევრთა არჩევის პროცესთან დაკავშირებით. 2018 წლის 3 სექტემბერი. ხელმისაწვდომია: http://cesko.ge/geo/list/show/114503-tseskos-rekomendatsiebi-saubno-saarchevno-komisiis-tsevrta-archevis-protsestan-dakavshirebit განახლებულია: 15.06.2019.

[53] საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2018 წლის 13 აგვისტოს №42 დადგენილება „საქართველოს პრეზიდენტის 2018 წლის 28 ოქტომბრის არჩევნებისთვის ზოგიერთი საარჩევნო პროცედურის განსაზღვრის შესახებ", ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/4297863?publication=0 განახლებულია: 26.06.2019.

[54] საია წინასაარჩევნო მონიტორინგის ფარგლებში საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების დაკომპლექტების მონიტორინგს აწარმოებს, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2018 წლის 20 აგვისტო, ხელმისაწვდომია: https://gyla.ge/ge/post/saia-tsinasaarchevno-monitoringis-farglebshi-saolqo-da-saubno-saarchevno-komisiebis-dakompelqtebis-monitorings-atsarmoebs#sthash.mDYNuVPi.dpbs, განახლებულია: 15.06.2019.

[55] ვაკის, საბურთალოს და ისნის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეების პასუხები ამავე კომისიებში ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მიერ დანიშნულ წევრებს: ვაკე - №45 02.09.2018; ისანი - №018/18 02.09.2018; საბურთალო - №28. 30.08.2018.

[56] ვაკის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის პასუხი - №45 02.09.2018, ჩუღურეთის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის პასუხი - №07/03-44.

დოკუმენტების ასლები.[57] საოლქო საარჩევნო კომისიების წევრებს უფლება ჰქონდათ, მიეღოთ კონკურსანტების შესახებ ინფორმაცია, მათ შორის, ასლების სახით, ვინაიდან ეს ინფორმაცია საჭირო იყო მათთვის საოლქო საარჩევნო კომისიის წევრის ფუნქციის განსახორციელებლად, ვაკანტურ ადგილას საუკეთესო კანდიდატის შესარჩევად.[58]

საუბნო საარჩევნო კომისიების წევრთა შესარჩევი კონკურსის გამოცხადებას წინ უძღოდა კრწანისის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის სატელეფონო საუბრის გახმაურებული ჩანაწერის გავრცელება. ჩანაწერის თანახმად, სავარაუდოდ, ოლქის თავმჯდომარე ადასტურებდა, რომ ის საუბნო კომისიების კანდიდატურებს „ქართული ოცნების“ შტაბის უფროსთან ათანხმებდა.[59] ჩანაწერის გავრცელების შემდგომ საოლქო კომისიის თავმჯდომარემ თანამდებობა დატოვა.[60]

საიას დამკვირვებლები **17** საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომას დაესწრნენ,[61] სადაც საუბნო საარჩევნო კომისიის პროფესიული წევრები აირჩიეს.[62] გარდა ამისა, საიას დამკვირვებლები დაესწრნენ კონკურსანტებთან ინდივიდუალურ გასაუბრებას 5 საოლქო საარჩევნო კომისიაში, რომელიც ოპოზიციური პარტიის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიერ ოლქში დანიშნული წევრების ინიციატივით გაიმართა.[63]

საუბნო კომისიების წევრების არჩევის სხდომებზე, რომლებსაც საიას დამკვირვებლებიც ესწრებოდნენ, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ და „ევროპული საქართველოს“ მიერ დანიშნულმა ოლქის წევრებმა პროტესტის ნიშნად სხდომები დატოვეს. საიას დამკვირვებლების ინფორმაციით, ამ პირებმა განაცხადეს, რომ ყველა კანდიდატი წინასწარ ჰყავდა შერჩეული „ქართულ ოცნებას“, კანდიდატთა უმრავლესობა პოლიტიზირებული იყო და ამ „ფარსში“ მონაწილეობას არ მიიღებდნენ.[64]

საიას დამკვირვებლების მიერ მოწოდებული ინფორმაციის ანალიზის შედეგად შესაძლებელია შემდეგი პრობლემური საკითხების გამოყოფა:

- საარჩევნო კანონმდებლობით გათვალისწინებული კრიტერიუმები არასაკმარისია საარჩევნო ადმინისტრაციაში მაღალი რეპუტაციის და კვალიფიკაციის კადრის შესარჩევად. გადაწყვეტილებები ქვემდგომი კომისიის წევრების არჩევის შესახებ არ საბუთდება, რაც გაუგებარს ხდის ზემდგომი საარჩევნო კომისიების მიერ მიღებული საბოლოო გადაწყვეტილების მოტივებს. შედეგად, არ არის ნათელი, რის საფუძველზე ხდება კონკურსანტებისთვის უპირატესობის მინიჭება;
- მთელ რიგ უბნებზე არ იყო კონკურენცია, ვინაიდან 6 ვაკანტურ ადგილზე მხოლოდ 6 განაცხადი იყო შესული.[65]

---

[57] იქვე.

[58] პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტი.

[59] ცესკომ კრწანისის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე თანამდებობიდან გადააყენა, რადიო თავისუფლება, 29 აგვისტო, 2018 წელი. ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/29459682.html, განახლებულია: 15.06.2019.

[60] კრწანისის საოლქო კომისიის თავმჯდომარემ ცესკოს გადადგომის მოთხოვნით მიმართა. TV პირველი. 2018 წლის 28 აგვისტო. ხელმისაწვდომია: https://www.youtube.com/watch?v=t20TuSjqtS8, განახლებულია: 26.06.2019.

[61] საიას დამკვირვებლები დაესწრნენ სამგორის, კრწანისის, გლდანის, ვაკის, დიდუბის, ჩოხატაურის, ოზურგეთის, გორის, ბორჯომის, ზუგდიდის, წალენჯიხის, ბათუმის, ქობულეთის, თელავის, მარნეულის, დუშეთის, ქუთაისის საოლქო საარჩევნო კომისიების სხდომებს.

[62] 2018 წლის 11 სექტემბერს საოლქო საარჩევნო კომისიებში სხდომები გაიმართა, რათა მომხდარიყო საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა არჩევა. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა შესარჩევი კონკურსი 2018 წლის 29 აგვისტოს გამოცხადდა და საბუთების მიღება 2018 წლის 30 აგვისტოდან 6 სექტემბრის ჩათვლით მიმდინარეობდა. საიას დამკვირვებლები დაესწრნენ სამგორის, კრწანისის, გლდანის, ვაკის, დიდუბის, ჩოხატაურის, ოზურგეთის, გორის, ბორჯომის, ზუგდიდის, წალენჯიხის, ბათუმის, ქობულეთის, თელავის, მარნეულის, დუშეთის, ქუთაისის საოლქო საარჩევნო კომისიების სხდომებს.

[63] წყალტუბო, ზუგდიდი, ოზურგეთი, ჩოხატაური და მარნეული.

[64] „ენმ-ს წევრებმა სამცხე-ჯავახეთის ექვსი ოლქიდან ოთხში სხდომები დატოვეს“, სამხრეთის კარიბჭე. 2018 წლის 11 სექტემბერი. ხელმისაწვდომია: http://sknews.ge/index.php?newsid=19204, განახლებულია: 27.06.2019.

[65] მაგალითად, ბოლნისის №23 საოლქო საარჩევნო კომისიის №21, №32, №39, №46, №48, №49, №51, №53 და №55 უბნები.

საუბნო საარჩევნო კომისიების წევრების არჩევამდე, რიგ ოლქებში, გაერთიანებული ოპოზიციის წარმომადგენლებმა საიას დამკვირვებლებს მიაწოდეს კონკრეტულ პირთა სია. პარტიების განცხადებით, სიაში შეყვანილ ადამიანებს საოლქო საარჩევნო კომისიები საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებად აირჩევდნენ.

კონკურსის ჩატარების შემდეგ საიამ ოპოზიციური პარტიების მიერ მიღებული სია საარჩევნო უბნებში არჩეულ პირთა სიას შეადარა. სიების შედარების შედეგად საიას დამკვირვებლებმა გამოავლინეს არაერთი ფაქტი, როდესაც ოპოზიციის მიერ ორგანიზაციისთვის მიწოდებული ინფორმაცია რეალური აღმოჩნდა. მაგალითად, გურიაში, აჭარასა და შიდა ქართლში საოლქო საარჩევნო კომისიებმა სწორედ ის პირები აირჩეს საუბნო საარჩევნო კომისიებში, რომელთა არჩევის შესახებ ინფორმაცია ოპოზიციურმა პარტიებმა საიას წინასწარ მიაწოდეს (იხ. დიაგრამა).[66]



საიამ ასევე შეისწავლა საუბნო საარჩევნო კომისიებში არჩეულ პირთა საარჩევნო გამოცდილება შემდეგი ნიშნით:

- ზემდგომი კომისიების მიერ არჩეულ პირებზე დისციპლინური სახდელის დადების ფაქტები 2016-2017 წლის არჩევნებზე;
- პოლიტიკური პარტიების მიერ არჩეული პირების დანიშვნის ფაქტები 2016-2017 წლის არჩევნებზე.

ინფორმაციის შესწავლის შედეგად გამოიკვეთა, რომ **პროფესიული ნიშნით არჩეული პირების ნაწილი 2016-2017 წლის არჩევნებზე სხვადასხვა პარტიის მიერ იყვნენ დანიშნულნი საარჩევნო კომისიებში და მათ ინტერესებს წარმოადგენდნენ. ასევე, არჩეულ პირებს 2016-2017 წლებში დაკისრებული ჰქონდათ დისციპლინური სახდელები არჩევნების დროს ჩადენილი დარღვევებისა და გადაცდომების გამო. მართალია, მსგავსი ფაქტები არ წარმოადგენს კანონის პირდაპირ დარღვევას, თუმცა, ეს გარემოება ეჭვქვეშ აყენებს საარჩევნო კომისიების**

[66] **გურია**: ჩოხატაურის ოლქში არჩეული 228 პირიდან 201 პირი ენმ-ს მიერ წარმოდგენილ სიებს დაემთხვა. ოზურგეთის ოლქში არჩეული 372 პირიდან ენმ-ს მიერ წარმოდგენილ სიებს დაემთხვა 287 პირი. **აჭარა**: ხელვაჩაურის ოლქში არჩეული 276 პირიდან ენმ-ს მიერ წარმოდგენილ სიებს დაემთხვა 244 პირი. ბათუმის ოლქში არჩეული 615 პირიდან ენს-ს მიერ წარმოდგენილ სიებს დაემთხვა 407 პირი. შუახევის ოლქში არჩეული პირებიდან ენმ-ს მიერ წარმოდგენილ სიებს არც ერთი პირი არ დაემთხვა; ქობულეთის ოლქში არჩეული 390 პირიდან ენმ-ს მიერ წარმოდგენილ სიებს დაემთხვა 339 ადამიანი; ხულოს ოლქში არჩეული 324 პირიდან ენმ-ს მიერ წარმოდგენილ სიებს დაემთხვა 244 ადამიანი; ქედის ოლქში არჩეული 186 პირიდან ენმ-ს მიერ წარმოდგენილ სიებს დაემთხვა 112 ადამიანი; **შიდა ქართლი**: კასპის ოლქში არჩეული 228 პირიდან ენმ-ს მიერ წარმოდგენილ სიებს დაემთხვა 131 ადამიანი.

დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი, სანდო რეპუტაციისა და მაღალი კვალიფიკაციის მქონე პირებით დაკომპლექტებას:

- **11 ოლქში** არჩეულ პირთა შესახებ ინფორმაციის შესწავლისას აღმოჩნდა, რომ ამ პირებიდან **83** მათგანს დისციპლინური სახდელი შეფარდებული ჰქონდა 2016 წლის არჩევნებზე, ხოლო **70** მათგანს – 2017 წლის არჩევნებზე.[67]
- **24 ოლქში** არჩეულ პირთა შესახებ ინფორმაციის შესწავლისას აღმოჩნდა, რომ ამ პირებიდან **499** პოლიტიკური პარტიის მიერ იყო არჩეული 2016 წლის არჩევნებზე, ხოლო **291** პირი – 2017 წლის არჩევნებზე.[68]

არჩევნების მეორე ტურის დანიშვნა. ცესკომ არ გაითვალისწინა არასამთავრობო ორგანიზაციების არაერთი მოწოდება და არჩევნების მეორე ტური სამუშაო დღეს – 28 ნოემბერს დანიშნა.[69] მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებლობით ნებადართულია არჩევნების ჩატარება სამუშაო დღეს, რომელიც ასეთ შემთხვევაში უქმე დღედ ცხადდება, არჩევნების მეორე ტურის სამუშაო დღეს დანიშვნა უცხოეთში მყოფ ამომრჩეველთა გარკვეულ ჯგუფებს არჩევნებში მონაწილეობისა და თავიანთი კონსტიტუციური უფლების განხორციელების კუთხით გარკვეულ დაბრკოლებას უქმნიდა. მოცემული გადაწყვეტილებით საარჩევნო ადმინისტრაციამ მხედველობაში არ მიიღო საზღვარგარეთ მყოფი საქართველოს მოქალაქეების ინტერესი და შეუქმნა მათ ხელოვნური ბარიერი არჩევნების სამუშაო დღეს დანიშვნით. საკუთარი ქმედებით გამოწვეული ზიანის შესამცირებლად, ცესკომ საზღვარგარეთ შექმნილ უბნებზე ხმის მიცემის დრო 24 საათამდე გაახანგრძლივა.[70] ამით ცესკო გასცდა თავისი უფლებამოსილების ფარგლებს და საარჩევნო კოდექსი დაარღვია, როდესაც საზღვარგარეთ გახსნილ უბნებზე კენჭისყრის დრო გაახანგრძლივა.[71] კანონით ცალსახად არის განსაზღვრული, რომ საარჩევნო უბნები იხურება 20 საათზე.[72] ამ წესიდან ერთადერთ გამონაკლისს წარმოადგენს შემთხვევა, როდესაც 20 საათისთვის უბანთან რიგში მდგომ ამომრჩევლებს უფლება ეძლევათ, კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღონ.[73] სხვა გამონაკლისი დაშვებული არ არის. გარდა ამისა, ცესკოს მიერ მეორე ტურის თარიღის გამოცხადებამდე ეს თარიღი რამდენიმე პირის მიერ საჯაროდ გაჟღერდა, რამაც საზოგადოების გარკვეულ ნაწილში გააჩინა ეჭვები ცესკოს პოლიტიკური მიკერძოებულობის შესახებ.[74]

---

[67] 2016 წელს სახდელდადებული კომისიის წევრების შესახებ ინფორმაცია გაანალიზებულია 11 ოლქის მაგალითზე: ოზურგეთის, ხელვაჩაურის, ბათუმის, ქარელის, მთაწმინდის, ტყიბულის, წყალტუბოს, ხარაგაულის, ხონის, კრწანისის და ნაძალადევის ოლქებში არჩეულ პირებზე. 2017 წელს სახდელდადებული კომისიის წევრების შესახებ ინფორმაცია გაანალიზებულია 11 ოლქის მაგალითზე: ოზურგეთის, ბათუმის, ქარელის, მთაწმინდის, თელავის, გურჯაანის, სამტრედიის, წყალტუბოს, ხონის, კრწანისის და ნაძალადევის ოლქებში არჩეულ პირებზე.

[68] 2016 წლის არჩევნებზე წარმოადგენდა: კონსერვატიულ პარტიას - 112 პირი, რესპუბლიკურ პარტიას - 77, ქართული ოცნება დემოკრატიულ საქართველოს - 144, გაერთიანებულ დემოკრატიულ მოძრაობას - 29, მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს - 70, თავისუფალ დემოკრატიულ მოძრაობას - 48, საქართველოს პატრიოტთა ალიანსს - 1, ერთიან ნაციონალურ მოძრაობას - 18 პირი; 2017 არჩევნებზე წარმოადგენდა: კონსერვატიულ პარტიას - 5 პირი, ქართული ოცნება დემოკრატიულ საქართველოს - 116, გაერთიანებულ დემოკრატიულ მოძრაობას - 23, მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს - 103, ქრისტიან კონსერვატიულ პარტიას - 6, საქართველოს პატრიოტთა ალიანსს - 26, ევროპულ საქართველოს - 13, თავისუფალ დემოკრატიულ მოძრაობას - 1, ერთიან ნაციონალურ მოძრაობას - 3, საქართველოს ქრისტიან-დემოკრატიულ პარტიას - 3, ხოლო ქრისტიან-კონსერვატიულ პარტიას - 2 პირი. 24 ოლქი: ლანჩხუთის, ოზურგეთის, ჩოხატაურის, ხულოს, ქედას, ქობულეთის, ხელვაჩაურის, შუახევის, ბათუმის, ქარელის, მთაწმინდის, თელავის, ყვარელის, გურჯაანის, ცაგერის, ამბროლაურის, სამტრედიის, ტყიბულის, წყალტუბოს, ხარაგაულის, ხონის, თერჯოლას, ნაძალადევის, კრწანისის ოლქები.

[69] ცესკოს 2018 წლის 14 ნოემბრის განკარგულება №351/2018, ხელმისაწვდომია: http://cesko.ge/res/docs/20181114214218CG351.pdf, განახლებულია: 15.06.2019.

[70] 28 ნოემბერს საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების მეორე ტური გაიმართება. ცესკოს 2018 წლის 27 ნოემბერი, ხელმისაწვდომია: http://cesko.ge/geo/list/show/116666, განახლებულია: 15.06.2019.

[71] ცესკოს გადაწყვეტილება არ ითვალისწინებს საქართველოს მოქალაქეების ინტერესებს, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2018 წლის 16 ნოემბერი, ხელმისაწვდომია: https://gyla.ge/ge/post/ceskos-gadatsyvetileba-ar-itvalistsinebs-saqartvelos-moqalaqeebis-interesebs#sthash.h6ZMryey.dpbs, განახლებულია: 15.06.2019.

[72] საქართველოს საარჩევნო კოდექსის 65-ე მუხლის მე-8 ნაწილი.

[73] იქვე.

[74] ცესკოს გადაწყვეტილება არ ითვალისწინებს საქართველოს მოქალაქეების ინტერესებს, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2018 წლის 16 ნოემბერი, ხელმისაწვდომია: https://gyla.ge/ge/post/ceskos-

ამ პრობლემების მოსაგვარებლად, აუცილებელია, გაუმჯობესდეს საარჩევნო კომისიის წევრთა შესარჩევი კონკურსის ჩატარების მარეგულირებელი ნორმატიული ბაზა და კომისიის წევრთა შერჩევის წესი და პრაქტიკა. მნიშვნელოვანია, რომ პროფესიული წევრების კვოტით კომისიის შემადგენლობაში რეალურად იყვნენ წარმოდგენილნი დამოუკიდებელი, კომპეტენტური კადრები და არა – რომელიმე პოლიტიკურ ძალასთან დაკავშირებული პირები. კონკურსის ჩატარების წესის პროცედურები დეტალურად უნდა გაიწეროს კონკურსის თითოეული ეტაპის მიხედვით. უნდა დადგინდეს კონკურსანტთა შეფასების კრიტერიუმები და ამ კრიტერიუმების საფუძველზე უნდა მოხდეს გადაწყვეტილების მიღება.[75] სავალდებულო ეტაპად უნდა განისაზღვროს გასაუბრების ეტაპი. უნდა დამტკიცდეს კონკურსში მონაწილეთა შეფასების ფორმა და უნდა გაიზარდოს საოლქო საარჩევნო კომისიის წევრის შესარჩევად დადგენილი კონკურსის ვადა. საარჩევნო ადმინისტრაციამ უნდა უზრუნველყოს კონკურსის თაობაზე ფართო მასების დროული ინფორმირება, რათა მონაწილეობა, რაც შეიძლება, მეტმა ადამიანმა მიიღოს.

საარჩევნო სუბიექტების რეგისტრაცია

საარჩევნო კანონმდებლობით, ცესკოში რეგისტრირებულ პარტიას, ასევე, ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფს უფლება აქვთ, წარადგინონ საქართველოს პრეზიდენტობის თითო კანდიდატი.[76]

საარჩევნო კამპანიის დაწყებამდე, 2018 წლის 17 ივლისს, 10 ოპოზიციური პოლიტიკური პარტია გაერთიანდა და ოპოზიციური გაერთიანება „ძალა ერთობაშია“ დააფუძნა.[77] გაერთიანებაში შემავალმა პარტიებმა საერთო კანდიდატი – გრიგოლ ვაშაძე, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ სახელით, პრეზიდენტობის კანდიდატად ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში წარადგინეს. ამასთან, ოპოზიციურ გაერთიანებაში შემავალმა ოთხმა პარტიამ ცალკე მიმართა საარჩევნო ადმინისტრაციას და საპრეზიდენტო კანდიდატები ინდივიდუალურად წარადგინა.[78] გრიგოლ ვაშაძის წარმომადგენელმა განმარტა, რომ ასეთი ნაბიჯი მათი საარჩევნო სტრატეგიის ნაწილია და აღნიშნული ოთხი კანდიდატი ტექნიკური კანდიდატია.[79] მისივე განცხადებით, ეს მოხდა არჩევნების გაყალბების პრევენციისთვის. **პოლიტიკური გაერთიანებებისთვის „ტექნიკური“ საპრეზიდენტო კანდიდატების წარდგენის ძირითადი მიზანი დამატებითი სახელმწიფო დაფინანსების და სხვა პრივილეგიების მოპოვება იყო.[80] ამან განაპირობა სახელმწიფო ბიუჯეტის დამატებითი ხარჯი და ხელი არ შეუწყო არჩევნებში მონაწილე სხვა სუბიექტებთან მიმართებით თანაბარი პირობების შექმნას.** ე.წ. „ტექნიკური კანდიდატის“ მიერ სხვა კანდიდატის სასარგებლოდ დათმობილი სარეკლამო დრო უკანონო შემოწირულებაა, რასთან დაკავშირებითაც საიამ სახელმწიფო აუდიტის სამსახურს მიმართა.

2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე ხარვეზები გამოვლინდა მხარდამჭერთა ხელმო-

---

gadatsyvetileba-ar-itvalistsinebs-saqartvelos-moqalaqeebis-interesebs#sthash.h6ZMryey.dpbs, განახლებულია: 15.06.2019; მანამდე არჩევნების მეორე ტურის თარიღად 28 ნოემბერი დაანონსდა ორი გამომსვლელის მიერ თელავში, მოძრაობა „მე ვიცავ თავისუფლებას“ მიერ გამართულ შეხვედრაზე. მეორე ტურის თარიღი გააჟღერა თბილისის მერმა კახა კალაძემაც.

[75] საარჩევნო კოდექსით უნდა დადგინდეს, რომ საარჩევნო კომისიის წევრად არ შეიძლება დაინიშნოს/აირჩეს პირი, რომელიც ბოლო 2 წლის განმავლობაში იყო პოლიტიკური პარტიის წევრი ან კანდიდატი, ან, რომელიც ბოლო 2 არჩევნებზე იყო პარტიის მიერ დანიშნული წევრი საარჩევნო კომისიაში.

[76] საქართველოს საქართველოს საარჩევნო კოდექსის 98-ე მუხლის 1-ლი ნაწილი.

[77] ეს პარტიები გახლავთ: „ახალი საქართველოსთვის,“ „ემსახურე საქართველოს,“ „ეროვნულ-დემოკრატიული პარტია,“ „სახელმწიფო ხალხისთვის,“ „ქრისტიან-კონსერვატიული პარტია,“ „ახალი საქართველო,“ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა,“ „სამოქალაქო ალიანსი თავისუფლებისთვის,“ „ევროპელი დემოკრატები“ და „საქართველო ლიდერთა შორის.“

[78] „ეროვნულ-დემოკრატიულ პარტია“ - ზვიად იაშვილი, „სახელმწიფო ხალხისთვის“ - მიხეილ ანთაძე, „ქრისტიან-კონსერვატიული პარტია“ - ზვიად მეხატიშვილი და „ახალი საქართველო“ - ზვიად ბაღდავაძე.

[79] ოთხი ერთისთვის და ერთი პრეზიდენტობისთვის, რადიო თავისუფლება, 2018 წლის 28 აგვისტო. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2WPTdKR, განახლებულია: 15.06.2019.

[80] წარმომადგენლის დაფინანსება საარჩევნო ადმინისტრაციაში, სარეკლამო დრო.

წერების შეგროვებისა და სიების გადამოწმების პროცესში. ამ ფაქტებთან დაკავშირებით ცესკომ პროკურატურას მიმართა და გამოძიების დაწყება მოითხოვა.[81]

ცესკოს განცხადებით, პოლიტიკური გაერთიანების „მოძრაობა სახელმწიფო ხალხისთვის“ მიერ წარდგენილი პრეზიდენტობის კანდიდატის მიხეილ ანთაძის მხარდამჭერთა სიაში დაფიქსირდა პრემიერ-მინისტრ მამუკა ბახტაძის მონაცემები და ხელმოწერა, რომელიც სრულიად განსხვავდებოდა ცესკოში არსებული და საჯაროდ ცნობილი ხელმოწერისგან.[82] საარჩევნო ადმინისტრაციის განცხადებით, ცესკოს ასევე მიმართა საოლქო საარჩევნო კომისიის წევრმა „ეროვნულ დემოკრატიული პარტიის“ კანდიდატის მხარდამჭერთა სიაში მისი ხელმოწერის არაერთგზის გაყალბებასთან დაკავშირებით.[83]

საქართველოს მთავარმა პროკურატურამ გამოძიება დაიწყო პოლიტიკური გაერთიანება „სახელმწიფო ხალხისთვის“ პრეზიდენტობის კანდიდატის მხარდამჭერთა სიის შესაძლო გაყალბების ფაქტზე.[84] მხარდამჭერების ხელმოწერების მოგროვების პროცესში არსებობს ამომრჩევლის მონაცემებით მანიპულირების რისკი. მაგალითად, შესაძლოა, ამომრჩეველი ისე აღმოჩნდეს სიაში, რომ მან ამის შესახებ არაფერი იცოდეს (მის ნაცვლად ხელი სხვამ მოაწეროს). გარდა ამისა, მხარდამჭერთა ხელმოწერების შეგროვებისა და საარჩევნო ადმინისტრაციაში წარდგენის პროცესი ფორმალურ დატვირთვას ატარებს. ამომრჩეველი, შესაძლოა, ერთდროულად რამდენიმე პარტიის მხარდამჭერთა სიაში აღმოჩნდეს, როგორც ხელმომწერი. **მხარდამჭერთა ხელმოწერების შეგროვებისა და გადამოწმების პროცესი ხარვეზიანია და გადახედვას საჭიროებს. მნიშვნელოვანია, არსებობდეს ამომრჩევლის პერსონალური მონაცემების დაცვის, მხარდამჭერთა სიების შედგენისა და გადამოწმების მაღალი სტანდარტები, რაც გაზრდის ნდობას პროცესის მიმართ და უზრუნველყოფს ამომრჩევლის ხელმოწერებით რაიმე სახით მანიპულაციის პრევენციას.**

სახელმწიფო აუდიტის სამსახური

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა 2018 წლის საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებთან დაკავშირებით ორი შუალედური ანგარიში მოამზადა.

ისევე, როგორც წინა არჩევნებზე,[85] სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოწვევით შეიქმნა არასამთავრობო ორგანიზაციებისგან დაკომპლექტებული საკონსულტაციო კომისია, რომლის მუშაობაშიც, სხვა 13 არასამთავრობო ორგანიზაციასთან ერთად, საიაც იყო ჩართული.[86] გაიმართა 3 სამუშაო შეხვედრა, რა დროსაც კომისიამ განიხილა დეკლარაციების წარმოდგენისა და ანალიზის, ასევე, მიღებული საჩივრებისა და შემოწირულებების საკითხები.

საანგარიშო პერიოდში საიამ სახელმწიფო აუდიტის სამსახურში 6 განცხადება წარადგინა და წინასაარჩევნო კამპანიის დარღვევის სავარაუდო ფაქტებთან დაკავშირებით შესაბამისი რეაგირება მოითხოვა.[87]

---

[81] გამოძიება დაწყებულია სისხლის სამართლის კოდექსის 362-ე მუხლის პირველი ნაწილით. თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის საქმიანობის შუალედური ანგარიში, 21.06.2018 -01.10.2018. საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2WUkMaK, განახლებულია: 15.06.2019.

[82] ცესკოს განცხადება მხარდამჭერთა სიების ხელმოწერებთან დაკავშირებით მედიაში გავრცელებულ ფაქტებზე, 2018 წლის 18 სექტემბერი, ხელმისაწვდომია: http://cesko.ge/geo/list/show/114801-tseskos-gantskhadeba-mkhardamcherta-siebis-khelmotserebtan-dakavshirebit-mediashi-gavrtselebul-faqtebze, განახლებულია: 15.06.2019.

[83] იქვე.

[84] საქართველოს პროკურატურამ საპრეზიდენტო კანდიდატის მხარდამჭერთა სიის შესაძლო გაყალბების ფაქტზე გამოძიება დაიწყო. საქართველოს პროკურატურა, 2018 წლის 19 სექტემბერი, ხელმისაწვდომია: http://pog.gov.ge/geo/news?info_id=1783, განახლებულია: განახლებულია: 26.06.2019.

[85] დროებითი საკონსულტაციო კომისია წინასაარჩევნო მონიტორინგს განახორციელებს, სახელმწიფო აუდიტის სამსახური, 20.08.2018, ხელმისაწვდომია: https://monitoring.sao.ge/news/146, განახლებულია: 15.06.2019.

[86] იქვე.

[87] №გ-01/202-2018, 03.07.2018; №გ-01/275-18, 09.10.2018; №გ-01/293-18, 08.11.2018; №გ-01/299-18, 13.11.18; №გ-01/301-18, 15.11.2018; №გ-01/303-18, 19.11.2018.

VII. წინასაარჩევნო პერიოდი

ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება

საანგარიშო პერიოდში საიას დამკვირვებლების მიერ ადმინისტრაციული რესურსის სავარაუდო გამოყენების **10 ფაქტი** დაფიქსირდა, რაც ეწინააღმდეგებოდა საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობას.[88] მსგავს ფაქტებზე საია საჯარო განცხადებებს ავრცელებდა, განცხადება/საჩივრით საარჩევნო ადმინისტრაციას მიმართავდა და შესაბამის რეაგირებას ითხოვდა.[89] წარდგენილი 7 განცხადებიდან საარჩევნო ადმინისტრაციამ მხოლოდ 1 შემთხვევაში დაადგინა დარღვევა და დამრღვევი პირის მიმართ სამართალდარღვევის ოქმი შეადგინა.[90]

საიას დამკვირვებლების ინფორმაციით, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები, კანონის მოთხოვნების საწინააღმდეგოდ, დაქვემდებარებულ პირებს მუნიციპალიტეტების ა(ა)იპ-ების თანამშრომლებს სავარაუდოდ მმართველი პარტიის მიერ მხარდაჭერილი დამოუკიდებელი კანდიდატის სასარგებლოდ წინასაარჩევნო კამპანიაში რთავდნენ და მხარდამჭერთა სიების მობილიზებას ავალებდნენ.[91] მსგავსი ფაქტები შეიცავდა სავარაუდო იძულების და ზეწოლის ნიშნებსაც. ამასთან დაკავშირებით საიამ ინფორმაცია პერსონალურ მონაცემთა დაცვის აპარატსაც მიაწოდა და მის ხელთ არსებული მტკიცებულებები გადასცა.[92]

გარდა სამსახურებრივად დაქვემდებარებული პირების საარჩევნო ღონისძიებებში ჩართვისა და მხარდამჭერთა სიების მოგროვების შესახებ მითითებებისა, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები უზრუნველყოფდნენ საჯარო მოხელეების მობილიზებას მმართველი პარტიის მიერ მხარდაჭერილი დამოუკიდებელი კანდიდატის სალომე ზურაბიშვილის კამპანიურ ღონისძიებებზე. საანგარიშო პერიოდში საიას დამკვირვებლებმა დააფიქსირეს ასევე საჯარო მოხელეების მიერ სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებული საკომუნიკაციო საშუალებების და საინფორმაციო მომსახურების გამოყენების ფაქტები სალომე ზურაბიშვილის სასარგებლოდ.

არჩევნების მეორე ტურამდე რამდენიმე დღით ადრე სადამკვირვებლო ორგანიზაციებისთვის ცნობილი გახდა ინფორმაცია პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების სავარაუდო გაყალბების შესახებ, რაზეც ორგანიზაციებმა სამართალდამცავ ორგანოებს მიმართეს და გამოძიების ჩატარებისკენ მოუწოდეს.[93] აღნიშნულთან დაკავშირებით საქართველოს პროკურატურამ გამოძიება დაიწყო.

ხელისუფლებამ უნდა უზრუნველყოს პარტიულ საქმიანობასა და საჯარო სამსახურს შორის უფრო მკაფიო ზღვრის გავლება. კანონმდებლობით უნდა აიკრძალოს საბიუჯეტო

---

[88] საქართველოს საარჩევნო კოდექსის 48-ე და 49-ე მუხლები; საქართველოს მთავრობის განკარგულება №1744. 29.08.2018, ხელმისაწვდომია: http://gov.ge/files/495_67629_156127_1744.pdf, განახლებულია: 15.06.2019.

[89] აღნიშნული ფაქტები ძირითადად შეეხებოდა ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლების მიერ დაქვემდებარებული პირების ჩართვას წინასაარჩევნო კამპანიაში და სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებული საკომუნიკაციო საშუალებების და საინფორმაციო მომსახურების გამოყენებას მმართველი პარტიის მიერ მხარდაჭერილი დამოუკიდებელი კანდიდატის სასარგებლოდ.

[90] ნინოწმინდის საოლქო საარჩევნო კომისიის თანამდებობის პირის მიერ (თავმჯდომარის მოადგილე) შედგენილი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმი №100303. 22 ოქტომბერი, 2018. ხელმისაწვდომია: https://sachivrebi.cec.gov.ge/info.php?id=7237, განახლებულია: 15.06.2019.

[91] მუნიციპალიტეტების ააიპების თანამშრომლებს, შესაძლოა, სალომე ზურაბიშვილის მხარდამჭერების მობილიზებას ავალებდნენ, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2018 წლის 12 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: https://gyla.ge/ge/post/municipalitetebis-aaip-ebis-tanamshromlebs-shesadzloa-salome-zurabishvilis-mkhardamtcherebis-mobilizebas-avalebdnen#sthash.iGqTpABr.dpbs, განახლებულია: 15.06.2019.

[92] საიას დამკვირვებლებმა აღნიშნული ფაქტები დააფიქსირეს სამეგრელოში, აჭარაში, ქვემო ქართლში. საია ფლობდა შესაბამისი ინფორმაციის დამადასტურებელ მტკიცებულებებსაც, თუმცა, ა(ა)იპ-ებში დასაქმებული პირებისა და მათი ახლობელების შრომითი უფლებებისა და პერსონალური ინფორმაციის დაცვის მიზნით, არ გაასაჯაროვა.

[93] ინფორმაცია სავარაუდო დარღვევის შესახებ ორგანიზაციას სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოში დასაქმებულმა პირმა ანონიმურობის დაცვის გარანტიით გააცნო.

ორგანიზაციებში დასაქმებულ პირთა მონაწილეობა აგიტაციაში სამუშაო საათების განმავლობაში. ხელისუფლების წარმომადგენლებმა უარი უნდა თქვან სამსახურებრივად დაქვემდებარებული პირების ჩართვაზე წინასაარჩევნო აგიტაციაში.

წინასაარჩევნო აგიტაციის წესების დარღვევის ფაქტები

წინასაარჩევნო პერიოდში საზოგადოება საპრეზიდენტო კანდიდატების მხარდამჭერი პოლიტიკური ჯგუფების უკიდურესი პოლარიზების, დაპირისპირების და აგრესიული რიტორიკის მომსწრე გახდა. პირველ ტურთან შედარებით, მეორე ტურის წინასაარჩევნო პერიოდი მეტად ნეგატიური კამპანიით ხასიათდებოდა, რაც გამოიხატებოდა კანდიდატებისა და მათი მხარდამჭერების მიერ მედიით გაკეთებულ განცხადებებში, კანდიდატების წინასაარჩევნო რეკლამებსა და სოციალურ მედიაში მიმდინარე აგრესიულ კამპანიაში.

წინასაარჩევნო პერიოდში კვლავ გაგრძელდა სოციალურ ქსელში კანდიდატების შეურაცხმყოფელი კამპანია, რომელიც უცნობი დაფინანსებული გვერდებიდან ხორციელდებოდა და კანდიდატების დისკრედიტაციას ისახავდა მიზნად.[94] წინასაარჩევნოდ სოციალურ ქსელებში განსაკუთრებით გააქტიურდა ანონიმური გვერდები, რომელთა მეშვეობით სხვადასხვა კანდიდატისა და პოლიტიკური პარტიის მიმართ შეურაცხმყოფელი, სიძულვილის ენის შემცველი და ყალბი ინფორმაცია ვრცელდებოდა. მსგავსი კამპანიები მთელ რიგ შემთხვევებში დასპონსორებული იყო და ორგანიზებული სახე ჰქონდა.[95]

მეორე ტურის წინასაარჩევნო კამპანიისას ჩამოყალიბდა და გააქტიურდა რამდენიმე საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რომელთა მიზანს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ საპრეზიდენტო კანდიდატის საწინააღმდეგო აგიტაციის შემცველი კამპანიის წარმოება წარმოადგენდა.[96] მათი წევრები მართავდნენ შეხვედრებს ამომრჩევლებთან და ატარებდნენ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა“ და მისი საპრეზიდენტო კანდიდატის საწინააღმდეგო კამპანიას. ისინი ამომრჩეველს მოუწოდებდნენ, უარი ეთქვათ წარსულში დაბრუნებაზე. „არა მიშას“, „არა ნაციზმს“ – ასეთი მოწოდებებით გამოდიოდნენ მოძრაობის წევრები ამომრჩეველთან შეხვედრისას[97] და სთხოვდნენ მათ, ხმა მმართველი პარტიის მიერ მხარდაჭერილი კანდიდატისთვის მიეცათ. გარდა ამისა, მოძრაობის წევრები ამომრჩევლებს რეგიონებში არსებულ საარჩევნო უბნებზე ტრანსპორტით გადაადგილების უზრუნველყოფას ჰპირდებოდნენ. საია მიიჩნევს, რომ მათ შემოწირულობა გაიღეს დამოუკიდებელი კანდიდატის სალომე ზურაბიშვილის სასარგებლოდ.[98] მკვეთრად ნეგატიური და აგრესიული იყო აღნიშნული ჯგუფების ნაწილის წინასაარჩევნო გზავნილები.[99]

---

[94] რეზიდენტი სალომე, ქალაქში ძებნილი მოღალატის პლაკატები გამოჩნდა, ხელმისაწვდომია: https://www.facebook.com/744054219261387/videos/1575482159220602/, განახლებულია: 15.06.2019.

[95] სოციალური მედიის მონიტორინგი - მეორე შუალედური ანგარიში, სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება, 20.12.2018, ხელმისაწვდომია: http://old.isfed.ge/main/1465/geo/, განახლებულია: 15.06.2018.

[96] „მე ვიცავ თავისუფლებას“ - შეხვედრა გორში, საქართველოს პირველი არხი, 2018 წლის 21 ნოემბერი, ხელმისაწვდომია: https://1tv.ge/video/vicav-tavisuflebas-shekhvedra-gorshi/, განახლებულია: 16.06.2019.

[97] „არა ნაციზმს“ „ნაციონალური მოძრაობის წინააღმდეგ“, რადიო თავისუფლება, 21 ნოემბერი, 2018 წელი. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2RnJEl7, განახლებულია: 15.06.2019.

[98] „პატრიოტთა ალიანსმა“ ზურაბიშვილის სასარგებლოდ უკანონო შემოწირულება განახორციელა - აუდიტი“, ნეტგაზეთი, 2018 წლის 26 ნოემბერი, ხელმისაწვდომია: http://netgazeti.ge/news/323913/, განახლებულია: 16.06.2019.

[99] საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, საინფორმაციო ბიულეტენი №2, 2018 წლის სექტემბერი, გვ. 5, ხელმისაწვდომია: https://www.gyla.ge/files/banners/Elections%20Newsletter%202,%202018%20GE.pdf განახლებულია: 15.06.2019.

უკანონო აგიტაცია

საიას მონიტორების მიერ დაფიქსირდა **უკანონო აგიტაციის სავარაუდო 8 ფაქტი.** მათ შორის, ადგილი ჰქონდა უცხო ქვეყნის მოქალაქეების/მოქალაქეობის არმქონე პირების მონაწილეობას კამპანიაში, სიძულვილის ენის შემცველი და ქსენოფობიური განცხადებების გაკეთებას, საჯარო მოხელეების მხრიდან სალომე ზურაბიშვილის სასარგებლო აგიტაციას სამუშაო საათების განმავლობაში – სოციალური ქსელის პირადი გვერდების მეშვეობით, სასულიერო პირების მიერ სალომე ზურაბიშვილის საწინააღმდეგო აგიტაციას და, ასევე, აგიტაციას საარჩევნო კომისიის წევრის მხრიდან. აღნიშნულ ფაქტებთან დაკავშირებით საია საჯარო განცხადებებს ავრცელებდა, შესაბამის ორგანოებს მიმართავდა და სათანადო რეაგირებას ითხოვდა.

წინასაარჩევნო კამპანიაში აქტიურად იყო ჩართული საქართველოს მესამე პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილიც, რომელიც ამჟამად საქართველოს მოქალაქე არ არის და, ამდენად, აგიტაციაში მონაწილეობის უფლება არ აქვს.[100] მიხეილ სააკაშვილი 2016-2017 წლებშიც აქტიურად მონაწილეობდა წინასაარჩევნო კამპანიაში და, საიას არაერთი განცხადებისა თუ საჩივრის მიუხედავად, საარჩევნო ადმინისტრაციამ მისი ეს ქმედებები სამართალდარღვევად არ მიიჩნია.[101] უკანონო აგიტაციის გარდა, საქართველოს მესამე პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის მხრიდან გაკეთდა სიძულვილის ენის შემცველი და ქსენოფობიური არაერთი განცხადება.

საიამ ქორეპისკოპოსი იაკობის მხრიდან,[102] სავარაუდოდ, კანონის მოთხოვნათა დარღვევით აგიტაციის გაწევის გამო ცესკოს მიმართა და შესაბამისი სამართლებრივი რეაგირებისკენ მოუწოდა.[103] მართალია, ცალკეულ სასულიერო პირთა მიერ აგიტაციის შემცველი განცხადებების გაკეთება არ არის კანონის დარღვევა, თუმცა, იმ პირების მხრიდან, რომლებიც ეკლესიას სპეციალური უფლებამოსილების გარეშე წარმოადგენენ – დაუშვებელია.[104]

წინასაარჩევნო პერიოდში სალომე ზურაბიშვილმა გააკეთა განცხადება, რომელიც ხელს უწყობდა შუღლის გაღვივებას, ეწინააღმდეგებოდა დემოკრატიისა და თანასწორუფლებიანობის პრინციპებს, ახდენდა თანამედროვე ქართულ პოლიტიკურ რეალობაში ისტორიული კონფლიქტის სახიფათო პრობლემიზაციას.[105]

სალომე ზურაბიშვილმა ეთნიკურად სომეხი აუდიტორიის თანდასწრებით წარმოთქვა, რომ მიხეილ სააკაშვილი მოქალაქეობას აძლევდა თურქებს და არა – სომხებს,[106] რითაც ის შეეცადა პოლიტიკური მხარდაჭერის მოპოვებას თურქების მიმართ ეთნიკურ სომხებში სიძულვილის გაღვივების გზით.[107]

---

[100] საქართველოს საარჩევნო კოდექსის 45-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტი.

[101] საია ეხმიანება ყოფილი პრეზიდენტის პოზიციას საარჩევნო ადმინისტრაციაში შეტანილ განცხადებასთან დაკავშირებით. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2016 წლის 3 აგვისტო, ხელმისაწვდომია: https://www.gyla.ge/ge/post/saia-ekhmianeba-saqartvelos-yofili-prezidentis-pozicias-chven-mier-saarchvno-administraciashi-shetanil-ganckhadebastan-dakavshirebit#sthash.U2p4tZ9G.Urly8TUI.dpbs, განახლებულია: 15.06.2019.

[102] მეუფე იაკობი სალომე ზურაბიშვილზე - „კანაფის დედოფალი ნამდვილად გახდება“, „რუსთავი 2“, 2018 წლის 17 სექტემბერი. ხელმისაწვდომია: http://www.rustavi2.ge/ka/news/113701, განახლებულია: 26.06.2019.

[103] „სასულიერო პირების ქადაგებებზე საია ცესკოს რეაგირებისკენ მოუწოდებს“, საია, 2018 წლის 20 სექტემბერი, ხელმისაწვდომია: https://gyla.ge/ge/post/sasuliero-pirebis-qadagebebze-saia-ceskos-samartlebrivi-reagirebisken-moutsodebs#sthash.tUfUiAMc.dpbs, განახლებულია: 15.06.2019.

[104] საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის კონსტიტუციური შეთანხმების დამტკიცების შესახებ საქართველოს პარლამენტის დადგენილების პირველი მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით, ეკლესიას სპეციალური უფლებამოსილების გარეშე წარმოადგენენ შემდეგი პირები: საეკლესიო კრება, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, წმიდა სინოდი და საქართველოს საპატრიარქო ქორეპისკოპოსისა და მდივნის სახით. საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 45-ე მუხლის მე-4 ნაწილი „ზ“ ქვეპუნქტის მიხედვით, წინასაარჩევნო აგიტაციის გაწევის და აგიტაციაში მონაწილეობის უფლება არ აქვს რელიგიურ ორგანიზაციას.

[105] საქართველოს საარჩევნო კოდექსის 45-ე მუხლის მე-3 ნაწილი.

[106] „ზურაბიშვილი ნინოწმინდელ სომხებს: სააკაშვილმა მოქალაქეობა დაურიგა თურქებს, თქვენ - არა“, ნეტგაზეთი, 2018 წლის 3 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: https://netgazeti.ge/news/308517/, განახლებულია: 27.06.2019.

[107] 2018 წლის 2 ოქტომბერს ნინოწმინდაში, წინასარჩევნო კამპანიის ფარგლებში, ადგილობრივ ეთნიკურად სომეხ მოქალაქეებთან შეხვედრისას, სალომე ზურაბიშვილმა განაცხადა: „აქამდე მოქალაქეობა იყო მხოლოდ მინიჭებით

წინასაარჩევნო კამპანიაში აქტიურად მონაწილეობდა ასევე სალომე ზურაბიშვილის შვილი, თეიმურაზ გორჯესტანი, რომელიც საქართველოს მოქალაქე არ იყო.[108] საარჩევნო კოდექსის თანახმად, უცხო ქვეყნის მოქალაქეს წინასაარჩევნო აგიტაციის გაწევის და წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობის უფლება არ აქვს.[109] მიუხედავად ამისა, საარჩევნო ადმინისტრაციამ არ დაადგინა მოქმედი კანონმდებლობის დარღვევა და განმარტა, რომ თეიმურაზ გორჯესტანი საპრეზიდენტო კანდიდატის შვილი იყო, რაც წინასაარჩევნო კამპანიაში მონაწილეობის კუთხით დადგენილი წესიდან გამონაკლისს წარმოადგენდა. მაშინ როცა, ამგვარ გამონაკლისებს საარჩევნო კოდექსი არ ითვალისწინებს.

საჭიროა, წინასაარჩევნო კამპანიის/აგიტაციის ცნების დაზუსტება, კერძოდ, წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობის ცნება უნდა განისაზღვროს იმგვარად, რომ შესაძლებელი გახდეს სოციალური ქსელით აგიტაციის აკრძალვა სამუშაო საათების განმავლობაში. უნდა შეიზღუდოს ისეთი იურიდიული პირის აგიტაციაში მონაწილეობა, რომელიც ეწევა ქველმოქმედებას საარჩევნო მიზნებით, თუმცა, ქველმოქმედი ორგანიზაციის ოფიციალური სტატუსი არ გააჩნია.

მუქარის, ზეწოლისა და ფიზიკური ანგარიშსწორების ფაქტები

საპრეზიდენტო არჩევნების პირველი ტურის წინასაარჩევნო კამპანიის მიმდინარეობისას ფიზიკური დაპირისპირების და ძალადობის ფაქტები თითქმის არ დაფიქსირებულა, თუმცა, მეორე ტურის წინასაარჩევნო პერიოდში საიამ აღრიცხა ფიზიკური დაპირისპირების არაერთი შემთხვევა.[110] შინაგან საქმეთა სამინისტრომ ფიზიკური დაპირისპირების ყველა ფაქტთან დაკავშირებით გამოძიება დაიწყო.[111] წინასაარჩევნო პერიოდში საიას დამკვირვებლების ყურადღების ცენტრში მოექცა ფიზიკური ძალადობისა და დაპირისპირების სავარაუდო **10** ფაქტი.

პირველი ტურის წინასაარჩევნო პერიოდისთვის დამახასიათებელი დინამიკიდან გამონაკლისს წარმოადგენდა რამდენიმე მუნიციპალიტეტში, სალომე ზურაბიშვილის ამომრჩეველთან შეხვედრების პარალელურად, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტების მიერ ტრანსპარანტებისა და შეურაცხმყოფელი შეძახილების ფონზე გამართული საპროტესტო აქციები, რომლებიც სამ შემთხვევაში ფიზიკურ დაპირისპირებაში გადაიზარდა.[112]

და მხოლოდ პრეზიდენტის საბოლოო გადაწყვეტილებით და ერთმა პრეზიდენტმა [მიხეილ სააკაშვილი] ძალიან ბევრი მოქალაქეობა დაურიგა თურქებს. დღეს მისი წარმომადგენელი არის ჩემი ოპონენტი, მაგრამ თქვენ არ მოგცათ მოქალაქეობა". საარჩევნო კოდექსის მიხედვით, საარჩევნო პროგრამა არ უნდა შეიცავდეს ეროვნული შუღლისა და მტრობისკენ, რელიგიური და ეთნიკური დაპირისპირებისკენ მოწოდებას.

[108] „თუ გრიგოლ ვაშაძის ვაჟმა იცის ქართული და ჩამოვა საქართველოში, მზად ვარ, დებატებში გამოვიწვიო", საქართველოს პირველი არხი, 2018 წლის 21 ნოემბერი, ხელმისაწვდომია: https://1tv.ge/news/teimuraz-gorjestani-tu-grigol-vashadzis-vadjma-nodarma-icis-qartuli-da-chamova-saqartveloshi-mzad-var-debatebshi-gamoviwvio/, განახლებულია: 16.06.2019.

[109] საქართველოს საარჩევნო კოდექსის 45-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ვ" ქვეპუნქტი.

[110] საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურის გარემო ძალადობისა და აგრესიული რიტორიკისგან თავისუფალი უნდა იყოს, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, ხელმისაწვდომია: https://www.gyla.ge/ge/post/saprezidento-archevnebis-meore-turis-garemo-dzaladobisa-da-agresiuli-ritorikisgan-tavisufali-unda-iyos#sthash.qJ8v5SAa.dpbs , განახლებულია: 15.06.2019.

[111] ყველა ფაქტთან დაკავშირებით დაწყებულია გამოძიება. სისხლის სამართლის პასუხისგებაშია მიცემული 7 პირი, მათ შორის, 5 პირი - 126-ე მუხლით, 1 პირი - მე-19, 108-ე მუხლით, 1 პირი - 120-ე მუხლის 1-ლი ნაწილით.

[112] სალომე ზურაბიშვილთან შეხვედრის მონაწილეებს კასპში ნაციონალური მოძრაობის აქტივისტები დაუპირისპირდნენ, საქართველოს პირველი არხი, 2018 წლის 16 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: https://1tv.ge/news/salome-zurabishvilis-momkhreebs-kaspshi-natsionaluri-modzraobis-aqtivistebi-daupirispirdnen/, განახლებულია: 16.06.2019. ა.წ. 22 სექტემბერს, სალომე ზურაბიშვილმა ზუგდიდში ამომრჩევლებთან შეხვედრა მხოლოდ ცოცხალი ჯაჭვის დახმარებით მოახერხა. აღნიშნული შეხვედრის მიმდინარეობისას, პ/გ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" მხარდამჭერი მაია კალანდია ცდილობდა, ხელი შეეშალა შეხვედრის გამართვაში. ასევე, „მან პრეზიდენტობის კანდიდატს უთხრა, რომ შეხვედრის გაგრძელების საშუალებას არ მისცემდა"; ა.წ. 9 ოქტომბერს პრეზიდენტობის კანდიდატი სალომე ზურაბიშვილი ქ.რუსთავის მოსახლეობასთან შეხვედრას მართავდა, რა დროსაც ადგილი ჰქონდა გარკვეულ ინციდენტს. აქციის მონაწილე ერთ-ერთი პირისთვის სასწრაფო დახმარების გამოძახება გახდა საჭირო; ა.წ. 2 ოქტომბერს პრეზიდენტობის დამოუკიდებელი კანდიდატის სალომე

საპრეზიდენტო არჩევნების პირველ ტურში, წინასაარჩევნო კამპანიის ინტენსივობის ზრდასთან ერთად, საიასთვის ცნობილი გახდა სავარაუდო ზეწოლისა და მუქარის შემთხვევები სხვადასხვა რეგიონში. საჯარო სამსახურებსა და მუნიციპალიტეტების ა(ა)იპ-ებში დასაქმებულ ადამიანებს ხელმძღვანელი თანამდებობის პირები სალომე ზურაბიშვილის მხარდამჭერთა სიების შეგროვებას სთხოვდნენ და ავალებდნენ მათ მიერ წარმოდგენილ მხარდამჭერთა სიაში მითითებული პირების მიერ სალომე ზურაბიშვილისთვის ხმის მიცემის უზრუნველყოფას.[113]

საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურის წინასაარჩევნო კამპანიის დროს „ქართული ოცნების" მიერ მხარდაჭერილმა კანდიდატმა სალომე ზურაბიშვილმა და მისი ოჯახის წევრებმა მოკლე ტექსტური შეტყობინებებით სიცოცხლის მოსპობის მუქარის შემცველი გზავნილები მიიღეს.[114] სალომე ზურაბიშვილისა და მისი ოჯახის წევრების მიმართ განხორციელებული მუქარის გამო ერთ პირს ბრალი წარედგინა და ორთვიანი პატიმრობა შეეფარდა.[115]

წინასაარჩევნო კამპანიის ხელშეშლის ფაქტები

მმართველი პარტიის მიერ მხარდაჭერილი პრეზიდენტობის დამოუკიდებელი კანდიდატის ამომრჩეველთან შეხვედრები ხმაურისა და პროტესტის ფონზე მიმდინარეობდა რეგიონებში.[116] საანგარიშო პერიოდში საიამ სალომე ზურაბიშვილის წინასაარჩევნო შეხვედრების სავარაუდო ხელშეშლის **4 ფაქტი** დააფიქსირა.[117]

სალომე ზურაბიშვილის წარმომადგენლების განმარტებით, ხელშეშლაში ერთი და იგივე ადამიანები მონაწილეობდნენ. საიას დამკვირვებლების ინფორმაციით, შეხვედრების დროს პირთა გარკვეული ჯგუფი შენობის გარეთ იკრიბებოდა, რის გამოც პრეზიდენტობის

ზურაბიშვილის შეხვედრა დაბა ასპინძაში აქციის ფონზე მიმდინარეობდა. იქ მისული მოქალაქეების ნაწილი ასპინძა–ბორჯომის მაჟორიტარ დეპუტატს გედევან ფოფხაძეს სიტყვიერად დაუპირისპირდა; ა.წ. 2 ოქტომბერს, 14:00 სთ-ზე, ახალქალაქში, კულტურის სახლში, სალომე ზურაბიშვილმა წინასაარჩევნო შეხვედრა გამართა. შეხვედრა საპროტესტო აქციის ფონზე მიმდინარეობდა. შეხვედრის დასრულების შემდეგ თეატრიდან გამოსულ სალომე ზურაბიშვილს დაპირისპირებული მოქალაქეები იქ აღარ დახვდნენ, თუმცა, მან თეატრის მიმდებარე ტერიტორია პოლიციის თანხლებით დატოვა.

[113] მუნიციპალიტეტების ააიპების თანამშრომლებს, შესაძლოა, სალომე ზურაბიშვილის მხარდამჭერების მობილიზებას ავალებდნენ, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2018 წლის 12 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: https://gyla.ge/ge/post/municipalitetebis-aaip-ebis-tanamshromlebs-shesadzloa-salome-zurabishvilis-mkhardamtcherebis-mobilizebas-avalebdnen#sthash.iGqTpABr.dpbs, განახლებულია: 15.06.2019.

[114] შუბლს დაგიხვრეტთ - რა წერია სალომე ზურაბიშვილისა და მისი შვილებისადმი გაგზავნილ მუქარის შეტყობინებებში, საქართველოს პირველი არხი, 2018 წლის 12 ნოემბერი. ხელმისაწვდომია: https://1tv.ge/news/shublebs-dagikhvrett-ra-weria-salome-zurabishvilisa-da-misi-shvilebisadmi-gagzavnil-muqaris-shetyobinebebshi/, განახლებულია:16.06.2019.

[115] მუქარა ზურაბიშვილზე - ქართველ სამხედროს პატიმრობა შეეფარდა, პირველი რადიო, 2018 წლის 28 დეკემბერი. ხელმისაწვდომია: http://pirveliradio.ge/?newsid=119311, განახლებულია:15.06.2018.

[116] მაგალითად, მიმდინარე წლის 2 ოქტომბერს, პრეზიდენტობის დამოუკიდებელი კანდიდატის სალომე ზურაბიშვილის ამომრჩევლებთან შეხვედრა დაბა ასპინძაში აქციის ფონზე მიმდინარეობდა. იქ მისული მოქალაქეების ნაწილი ასპინძა–ბორჯომის მაჟორიტარ დეპუტატს გედევან ფოფხაძეს სიტყვიერად დაუპირისპირდა; 2 ოქტომბერს, 14:00 საათზე, ახალქალაქში, კულტურის სახლში, პრეზიდენტობის დამოუკიდებელმა კანდიდატმა სალომე ზურაბიშვილმა წინასაარჩევნო შეხვედრა გამართა. შეხვედრა საპროტესტო აქციის ფონზე მიმდინარეობდა. შეხვედრის დასრულების შემდეგ თეატრიდან გამოსულ სალომე ზურაბიშვილს დაპირისპირებული მოქალაქეები იქ აღარ დახვდნენ, თუმცა, მან თეატრის მიმდებარე ტერიტორია პოლიციის თანხლებით დატოვა; მიმდინარე წლის 22 სექტემბერს სალომე ზურაბიშვილმა ზუგდიდში ამომრჩევლებთან შეხვედრა მხოლოდ ცოცხალი ჯაჭვის დახმარებით მოახერხა. აღნიშნული შეხვედრის მიმდინარეობისას, პ/გ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" მხარდამჭერი მაია კალანდია ცდილობდა, ხელი შეეშალა შეხვედრის გამართვაში. ასევე, „მან პრეზიდენტობის კანდიდატს უთხრა, რომ შეხვედრის გაგრძელების საშუალებას არ მისცემდა". 2018 წლის 9 ოქტომბერს პრეზიდენტობის კანდიდატი სალომე ზურაბიშვილი ქ.რუსთავის მოსახლეობასთან შეხვედრას მართავდა, რა დროსაც ადგილი ჰქონდა გარკვეულ ინციდენტს. აქციის მონაწილე ერთ-ერთი პირისთვის სასწარაფო დახმარების გამოძახება გახდა საჭირო.

[117] საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, საინფორმაციო ბიულეტენი №2, 2018 წლის სექტემბერი, გვ. 5, ხელმისაწვდომია: https://www.gyla.ge/files/banners/Elections%20Newsletter%202,%202018%20GE.pdf, განახლებულია: 15.06.2019.

კანდიდატი პოლიციის დაცვის თანხლებით ატარებდა წინასაარჩევნო შეხვედრებს. დამკვირვებელთა ინფორმაციით, აღნიშნული პირები „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერები და აქტივისტები იყვნენ. ისინი კანდიდატს წინასაარჩევნო შეხვედრების ადგილას ხვდებოდნენ, რუპორით მიმართავდნენ, მოღალატეს უწოდებდნენ და პირად შეურაცხყოფას აყენებდნენ,[118] ცდილობდნენ შეხვედრაზე დასწრებას და კანდიდატთან მიახლოებას. აცხადებდნენ, რომ სურდათ, პრეზიდენტობის კანდიდატისთვის კითხვა დაესვათ, თუ რატომ დაადანაშაულა მან საქართველო ომის დაწყებაში.[119]

წინასაარჩევნო პერიოდში განადგურდა პრეზიდენტობის დამოუკიდებელი კანდიდატის სალომე ზურაბიშვილის სააგიტაციო მასალა. სატვირთო ავტომობილს, რომელშიც განთავსებული იყო პრეზიდენტობის კანდიდატის სააგიტაციო მასალა, ცეცხლი გაუჩნდა, რის შედეგადაც მანქანა ტვირთიანად დაიწვა. ფაქტზე გამოძიება სხვისი ნივთის გაუფრთხილებლობით დაზიანების ან განადგურების[120] ფაქტზე დაიწყო.[121]

საპრეზიდენტო კანდიდატების საწინააღმდეგო აგიტაცია სოციალურ ქსელებში

საანგარიშო პერიოდში სოციალურ ქსელში გამოჩნდა ისეთი გვერდები, რომლებიც ფოკუსირებულნი იყვნენ სხვადასხვა პოლიტიკური პარტიისა თუ კონკრეტული პოლიტიკოსის/საპრეზიდენტო კანდიდატის საწინააღმდეგო აგიტაციაზე.[122] გვერდების ნაწილი სახელდახელოდ იყო შექმნილი 2018 წლის 28 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნებისთვის, ნაწილს კი, აქტიურობის ხანგრძლივი ისტორია ჰქონდა. უცნობ პირთა მიერ ამ გვერდების საშუალებით ხშირად ვრცელდებოდა დამამცირებელი და შეურაცხმყოფელი პოსტები, სურათები,[123] ასევე, დეზინფორმაციის შემცველი სტატუსები, რომელთა მიზანი იყო კანდიდატების დისკრედიტაცია და მათი პოლიტიკური იმიჯის დაზიანება.

facebook-გვერდების პოსტების შესწავლის შემდეგ გამოიკვეთა, რომ არსებობდა ორი მიმართულება: ერთი, პრეზიდენტობის დამოუკიდებელი კანდიდატის სალომე ზურაბიშვილის, ხოლო მეორე – ოპოზიციური გაერთიანების „ძალა ერთობაშია“ მიერ წარდგენილი საპრეზიდენტო კანდიდატის გრიგოლ ვაშაძის წინააღმდეგ.

Facebook-გვერდები „ქოცების დასაცინი ოფიციალური სააგენტო“,[124] „რეზიდენტი სალომე/ резидент Саломе/Salome“[125] აქვეყნებდნენ ერთსა და იმავე ვიდეოს ორწუთიანი სხვაობით და აბსოლუტურად იდენტური სიტყვებით: „ნახეთ ვიდეოგამოკითხვა ქუჩაში. რას წერს და ამბობს ხალხი სალომეს სურათის დანახვისას“. გვერდი „ვარდისფერი სპილოები“ ერთი საათის შემდეგ აქვეყნებდა იმავე ვიდეოს და დამცინავი ეპითეტის მოშველიებით, ხალხს სთხოვდა, დაეფიქსირებინა აზრი სალომე ზურაბიშვილთან დაკავშირებით. პოსტების

[118] სალომე ზურაბიშვილთან შეხვედრა ქუთაისში აქციის ფონზე წარიმართა. TV რიონი, 2018 წლის 12 სექტემბერი. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2WPebt7, განახლებულია:16.06.2019.

[119] პრეზიდენტობის კანდიდატს ფოთში ნაციონალური მოძრაობის წევრები ტრანსპარანტებით დახვდნენ. STV.ge, 2018 წლის 19 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2Fmc75X, განახლებულია: 16.06.2019.

[120] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

[121] შსს-ს 2018 წლის 18 სექტემბერს საიასთვის მიწოდებული ინფორმაციის თანახმად, საქმეზე კვლავ მიმდინარეობს გამოძიება.

[122] ეს გვერდებია: „ერთიანი პროვოკაციული მოძრაობა“; „გასტროლიორი“; „ნაცია - ადამიანი?“; „2012 წლამდე/Before it was cool“; „მეტი სარგებელი ხალხისგან“; „პოლიტიკური საგიჟეთი“; „postv“; „ქოცების დასაცინი ოფიციალური სააგენტო“; „მე ვხვდები მიხეილ საკაშვილს საქართველოში“; „ვარდისფერი სპილოები“; „ქოცნება“; „რეზიდენტი სალომე / резидент Саломе / Salome“.

[123] Facebook-გვერდი „გრიგოლ შტაბკვარწირა“, 2018 წლის 18 სექტემბერი, ხელმისაწვდომია: https://www.facebook.com/shtabkvartsiraofficial/photos/a.483273212142971/529752167495075/?type=3&theater; https://bit.ly/2O3zD9n, განახლებულია: 27.06.2019.

[124] „ქოცების დასაცინი ოფიციალური სააგენტო“, „ნახეთ, რას წერენ სალომეს სურათზე ქუჩაში“. Facebook-გვერდი, 2018 წლის ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2KrQVQk განახლებულია: 27.06.2019.

[125] იქვე.

უმრავლესობა პირდაპირ შეურაცხყოფდა და ლანძღავდა კანდიდატს, ასევე, აიგივებდა მას პარტია „ქართულ ოცნებასთან“ და მოუწოდებდა მოქალაქეებს, არ დაეჭირათ მისთვის მხარი საპრეზიდენტო არჩევნებზე.

გვერდი „ერთიანი პროვოკაციული მოძრაობა,“ ზოგადად, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრებსა და მის მხარდამჭერებს აქილიკებდა, თუმცა, წინასაარჩევნო პერიოდში გამოჩნდა არაკორექტული და დამამცირებელი ეპითეტების შემცველი პოსტები საპრეზიდენტო კანდიდატ გრიგოლ ვაშაძის შესახებაც.[126] ფეისბუქგვერდზე „ნაცია-ადამიანი?“ ძირითადად ქვეყნდებოდა დამცინავი პოსტები „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ყოფილი და ახლანდელი ლიდერების შესახებ. ასევე, ვრცელდებოდა ვიდეოები, რომლებიც მიმართული იყო პრეზიდენტობის კანდიდატ გრიგოლ ვაშაძის გაშარჟებისა და დამცირებისკენ.[127]

წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსების გამჭვირვალობის მიზნებისთვის, მნიშვნელოვანია, სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა შეისწავლოს, თუ ვინ და რა ფინანსებით მართავდა პოლიტიკური და საარჩევნო ხასიათის გვერდებს, ასევე, რამდენად იცავდნენ ხარჯის გამწევი სუბიექტები წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსების წესებს.

ამომრჩევლის მოსყიდვა

უპრეცედენტო იყო არჩევნების მეორე ტურის წინ, ამომრჩევლის კეთილგანწყობის მოპოვების მიზნით, 600,000 მოქალაქისთვის ჯამში მილიარდნახევარი ლარის ოდენობის ფინანსური ვალდებულებების „განულების“ შესახებ გადაწყვეტილება.[128]

პროგრამა 2018 წლის 19 ნოემბერს დაანონსდა და იგი, სახელმწიფოს ჩართულობით, ფონდი „ქართუს“ მიერ 2018 წლის 15-დან 31 დეკემბრამდე პერიოდში მოქალაქეთა გარკვეული ჯგუფისთვის 2000 ლარზე ნაკლები ოდენობის სესხების ჩამოწერას ითვალისწინებდა. ფონდი „ქართუს” გამგეობის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ „სესხების განულების“ გადაწყვეტილება ბიძინა ივანიშვილმა მიიღო.[129]

ინიციატივა საზოგადოებას პრემიერ-მინისტრმა ამცნო.[130] ხელისუფლების ეს გადაწყვეტილება ამომრჩევლის მოსყიდვის ნიშნებს შეიცავდა, რადგან მიმართული იყო მმართველი პარტიის მიერ მხარდაჭერილი კანდიდატის სალომე ზურაბიშვილის სასარგებლოდ მეორე ტურში ამომრჩეველთა გულის მოგებისკენ, ხოლო ინიციატივა მმართველი პარტიის ხელმძღვანელი პირის მიერ დაფუძნებულმა კერძო ფონდმა განახორციელა.

პარტიებს ეკრძალებათ ამომრჩევლის დაინტერესება მატერიალური ფასეულობის დაპირებით.[131] კანონმდებლობის მიხედვით, ეს ქმედება საარჩევნო სუბიექტის რეგისტრაციის

---

[126] „ერთიანი პროვოკაციული მოძრაობა“, Facebook-გვერდი, ვაშაძის გამოსვლა. 2018 წლის 18 ივლისი, https://bit.ly/31Htjwk, განახლებულია: 26.06.2019.

[127] „ნაცია - ადამიანი?“ Facebook-გვერდი, 2018 წლის ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2IUGx03 განახლებულია: 26.06.2019.

[128] პროგრამა 2018 წლის 19 ნოემბერს დაანონსდა და იგი სახელმწიფოს ჩართულობით, ფონდი „ქართუს“ მიერ, 2018 წლის 15-დან 31 დეკემბრამდე, მოქალაქეთა გარკვეული ჯგუფისთვის 2000 ლარზე ნაკლები ოდენობის სესხების ჩამოწერას ითვალისწინებდა.

[129] ფონდი „ქართუ“ 600 000 მოქალაქისთვის სასესხო დავალიანების ჩამოწერის საკითხზე კომენტარს აკეთებს, ინტერპრესნიუსი, 2018 წლის 19 ნოემბერი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2Q3P9Hz, განახლებულია: 16.06.2018.

[130] 600 000-მდე მოქალაქეს ბანკების მილიარდნახევრიანი დავალიანება გაუნულდება, „იმედი“, 2018 წლის 19 ნოემბერი, ხელმისაწვდომია: https://imedinews.ge/ge/ekonomika/86016/600-000mde-moqalaqes-bankebis-miliardnakhevriani-davalianeba-gaunuldeba, განახლებულია: 16.06.2019.

[131] მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 25^2-ე მუხლის 1-ლი პუნქტი, საქართველოს საარჩევნო კოდექსის 47-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ პუნქტი, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 164^1-ე მუხლი.

შეწყვეტას,[132] ადმინისტრაციულ[133] და სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას იწვევს.[134]

მეორე ტურის წინ საიას დამკვირვებლისთვის ცნობილი გახდა ამომრჩევლებისთვის საკვები პროდუქტების დარიგების შესახებ. 2018 წლის 16 ნოემბერს „ევროპული საქართველოს“ ყოფილმა წევრმა, შემდგომ კი, „ქართული ოცნების“ მხარდამჭერმა ნათიკ სადიგოვმა გარდაბნის მოსახლეობას საკვები პროდუქტები დაურიგა.[135] საიას დამკვირვებლის ინფორმაციით, თავდაპირველად, ნათიკ სადიგოვმა განაცხადა, რომ იგი „ქართული ოცნების“ სახსრებითა და დავალებით არიგებდა 5 კილო კარტოფილსა და 5 კილო ხახვს.[136] შემდგომ მან შეცვალა განცხადება და თქვა, რომ მხოლოდ საკუთარი სურვილით და ხარჯებით ურიგებდა პროდუქტს მოსახლეობას. პროდუქტი გაიცემოდა თითოეულ ფიზიკურ პირზე, რომელსაც პროდუქტების გაცემის ადგილზე აუცილებლად უნდა წარედგინა პირადობის დამადასტურებელი მოწმობა.[137]

სავარაუდოდ პოლიტიკური ნიშნით სამსახურიდან გათავისუფლება

საანგარიშო პერიოდში საიას დამკვირვებლებმა დააფიქსირეს 1 ფაქტი, როდესაც დასაქმებული პირის უფლება, სავარაუდოდ, პოლიტიკური აქტივობის/შეხედულების გამო შეიზღუდა ან დაირღვა.

2018 წლის 2 ოქტომბერს საიას ქუთაისის ფილიალს სამართლებრივი დახმარების თხოვნით მიმართა ცირა კობახიძემ. მისი განცხადებით, ის მონაწილეობდა ბაღდათის სკოლამდელი და სკოლისგარეშე დაწესებულებათა გაერთიანების მიერ გამოცხადებულ კონკურსში, თუმცა, სავარაუდოდ პოლიტიკური ნიშნის გამო, იგი აღარ დაასაქმეს. მისი განცხადებით, რამდენიმე წელია, ის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრია და 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე ერთ-ერთ საუბნო საარჩევნო კომისიაში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელი იყო. ცირა კობახიძის შემთხვევასთან დაკავშირებით მომზადდა სარჩელი, რომელიც წარდგენილია სასამართლოში.[138]

---

[132] საქართველოს საარჩევნო კოდექსის 47-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

[133] მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 34^2-ე მუხლის მე-6 პუნქტი: საარჩევნო მიზნით ფიზიკური პირის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული უკანონო საჩუქრის, შემოსავლის, მომსახურების მიღება, თუ ქონების (მომსახურების) ან გარიგების ღირებულება არ აღემატება 100 ლარს, გამოიწვევს პარტიის, პარტიის წარმომადგენლის, იურიდიული პირის დაჯარიმებას შესაბამისი ქონების (მომსახურების) ან შესაბამისი გარიგების ღირებულების ათმაგი ოდენობით და ფიზიკური პირის დაჯარიმებას შესაბამისი ღირებულების ორმაგი ოდენობით.

[134] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 164^1-ე მუხლით, თუ თანხის ოდენობა (გარიგების ღირებულება) აღემატება 100 ლარს, პირს ეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, რაც ისჯება თავისუფლების აღკვეთით სამ წლამდე ვადით ან ჯარიმით.

[135] გარდაბანში ამომრჩევლის მოსყიდვა მიმდინარეობს - „ქართული ოცნება“ პროდუქტებს არიგებს, პირველი რადიო, 2018 წლის 16 ნოემბერი. ხელმისაწვდომია: https://pirveliradio.ge/?newsid=116652, განახლებულია: 15.06.2019.

[136] იქვე.

[137] იქვე.

[138] ანგარიშის მომზადების დროისთვის სასამართლოში სხდომა დანიშნული არ იყო.

VIII. პირველი ტური

კენჭისყრის დღე

მთლიანობაში, კენჭისყრის პროცესმა მშვიდ გარემოში ჩაიარა. საიას დამკვირვებლების ინფორმაციით, ხმის მიცემის დროს იდენტიფიცირებულ დარღვევებს მნიშვნელოვანი გავლენა კენჭისყრის პროცესზე არ მოუხდენია.

მთელი დღის განმავლობაში მაღალი იყო ამომრჩევლის მობილიზებისა და მისი ნების სავარაუდო კონტროლის ფაქტები.[139] პრაქტიკაში გამოიკვეთა, რომ ამ პროცესში პოლიტიკური სუბიექტების ინტერესია არა უბანზე მისული ამომრჩევლის რაოდენობის, არამედ უბანზე მოსული ამომრჩევლების ვინაობის დადგენა და, ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ამომრჩევლის ნების კონტროლი, რაც გამოიხატება უბნებზე გამოცხადებული ამომრჩევლის აღრიცხვასა და არმისული ამომრჩევლის იდენტიფიცირებაში (ეს ხერხი შემდგომ, სავარაუდოდ, გამოიყენება არჩევნებზე არმისული მოქალაქეების ხმის მისაცემად მისაყვანად).

ამომრჩევლის ნების სავარაუდო კონტროლის და მისი პერსონალური ინფორმაციის დამუშავების შემთხვევები აქტუალურია წინასაარჩევნო პერიოდშიც.[140]

პარტიებმა პატივი უნდა სცენ ამომრჩევლის პერსონალურ ინფორმაციას და უნდა აუხსნან მათ პერსონალური ინფორმაციის მოგროვებისა და დამუშავების მიზნები. ამ პროცესს არ უნდა ჰქონდეს ამომრჩევლის დევნის, მისი დაშინების და კონტროლის ფორმა. პარტიამ მხოლოდ მას შემდეგ უნდა შეიტანოს ამომრჩევლის მონაცემები მხარდამჭერთა სიაში, როდესაც პარტიას ექნება ამ ადამიანის წინასწარი თანხმობა/დასტური მისი ინფორმაციის დამუშავებაზე. საია მიიჩნევს, რომ **კენჭისყრის დღეს პოლიტიკურ გაერთიანებებს ამომრჩევლის კონტროლის უფლება არ უნდა ჰქონდეთ, ხოლო იმ ადამიანების სია, რომლებმაც არჩევნებში მიიღეს მონაწილეობა, საჯარო არ უნდა იყოს.**[141]

წინა არჩევნებისგან განსხვავებით, 2018 წლის არჩევნებზე, გარდა კოორდინატორების მიერ ამომრჩევლის ნების სავარაუდო კონტროლისა,[142] პროცესს დაემატა მმართველი პარტიის მიერ მხარდაჭერილი კანდიდატის სალომე ზურაბიშვილის საარჩევნო შტაბიდან სატელეფონო ზარებით ამომრჩევლის ნების სავარაუდო კონტროლის ტენდენცია – ამომრჩეველს ურეკავდნენ და ეკითხებოდნენ, იყო თუ არა არჩევნებზე.[143]

არსებითი დარღვევები:[144]

- ამომრჩევლის მოსყიდვის სავარაუდო ფაქტი – სამგორის №56 უბანი;
- ფიზიკური დაპირისპირების ფაქტი – მარნეულის №59 უბანი;
- საარჩევნო ბიულეტენის უბნიდან გატანის ფაქტები – საბურთალოს №52 და სამგორის №78 უბნები.

---

[139] საიას განცხადება ამომრჩევლის ნების კონტროლთან დაკავშირებით, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2017 წლის 21 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: https://gyla.ge/ge/post/saias-ganckhadeba-amomrchevlis-nebis-kontroltan-dakavshirebit#sthash.bzLZoApq.dpbs, განახლებულია: 15.06.2019.

[140] საიას დამკვირვებლებმა აღნიშნული ფაქტები დააფიქსირეს სამეგრელოში, აჭარაში, ქვემო ქართლში.

[141] Code of Good Practice on Electoral Matters, European Commision for Democracy through Law (Vennice Commission), Strasbourg, October 25, 2018, Opinion №190/2002. ხელმისაწვდომია: https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD(2002)023rev2-cor-e, განახლებულია: 26.06.2019.

[142] წინასაარჩევნო გარემოს, არჩევნების დღისა და არჩევნების შემდგომი პერიოდის მონიტორინგის ანგარიში, 1-ლი ივნისი - 19 ნოემბერი, 2017 წელი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, თბილისი 2018, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2I9nBZp, განახლებულია: 15.06.2019.

[143] 2018 წლის პრეზიდენტის არჩევნების კენჭისყრის დღის ზოგადი შეფასება, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2018 წლის 29 ოქტომბერი. ხელმისაწვდომია: https://gyla.ge/ge/post/2018-tslis-prezidentis-archevnebis-kentchisyris-dghis-shefaseba-zogadi-shefaseba#sthash.xf2wwAEk.dpbs, განახლებულია: 15.06.2019.

[144] იქვე.

არსებითი დარღვევების გარდა, **გამოიკვეთა პროცედურული დარღვევებიც**, მათ შორის:[145]

- წილისყრის პროცედურების დარღვევა;
- წილისყრით გამოვლენილი ფუნქციების თვითნებური შეცვლა;
- ვადაგასული პირადობის მოწმობით ხმის მიცემა;
- მარკირების პროცედურის დარღვევა;
- უკანონო აგიტაცია საარჩევნო უბანზე;
- სამაგიდო სიის დაზიანება.

ხმის დათვლისა და კენჭისყრის შედეგების შეჯამების პროცესი

საიას დამკვირვებლების ხელშეშლა:

- ხმის დათვლისა და კენჭისყრის შედეგების შეჯამების ეტაპზე, 20:00 საათის შემდეგ, პოლიციის თანამშრომლებმა უბანში არ შეუშვეს საიას დამკვირვებლები. რიგ შემთხვევებში (მარნეულის, ჩუღურეთის, მთაწმინდის ოლქებში), შესაბამისი უბნების კომისიის თავმჯდომარეების ჩარევის შემდგომ, პრობლემა აღმოიფხვრა და საიას დამკვირვებლებს შესაძლებლობა მიეცათ, პროცესს დაჰკვირვებოდნენ;[146]
- ხმის დათვლის დროს მარნეულის №49 უბნის კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ ხელი ჰკრა საიას დამკვირვებელს. შედეგად, მას შეეზღუდა უფლება, უშუალოდ მთვლელების გვერდით მდგარიყო და ბიულეტენების დათვლის პროცესს დაჰკვირვებოდა.[147] საოლქო საარჩევნო კომისიამ არ დააკმაყოფილა საიას დამკვირვებლის საჩივარი საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის, მოადგილის და დაცვის პოლიციის თანამშრომლისთვის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენის თაობაზე.

ზემოაღნიშნულის გარდა, როგორც ხმის დათვლისა და შეჯამების, ასევე, ოლქებში საარჩევნო დოკუმენტაციის ჩაბარების პროცესში **გამოიკვეთა პროცედურული დარღვევები,** კერძოდ:[148]

- ბათილი ბიულეტენების ნამდვილ ბიულეტენებად მიჩნევა და პირიქით;
- ჩანაწერთა წიგნი სათანადო წესით არ იყო დალუქული დიდუბის №5 და №35, კრწანისის №9, გლდანის №62 საარჩევნო უბნებში;
- ჩანაწერთა წიგნი არ წარადგინეს ოლქში დიდუბის №4 უბნიდან. კომისიის წევრების განმარტებით, შესაძლოა, ჩანაწერთა წიგნი სხვა დოკუმენტაციასთან ჰქონდათ დალუქული.

საერთო ჯამში, საიას დამკვირვებლებმა დაწერეს 138 საჩივარი, მათ შორის, **71 საჩივარი** – უბანზე და **67** – ოლქში და **48 შენიშვნა** დააფიქსირეს ჩანაწერთა წიგნში. ასევე, დაფიქსირდა შემთხვევები, როდესაც დარღვევა აღმოიფხვრა საიას დამკვირვებლის მითითების ან ზემდგომი საარჩევნო კომისიის მითითების შედეგად. საარჩევნო ადმინისტრაცია, ძირითადად, სათანადოდ რეაგირებდა საიას დამკვირვებლების მიერ მიცემულ შენიშვნებზე და ასწორებდა საარჩევნო კანონმდებლობის პროცედურულ დარღვევებს. დარღვევების გამოსწორების შემთხვევაში, როგორც წესი, საიას დამკვირვებლები საჩივრებს აღარ წერდნენ.

---

[145] იქვე.

[146] საიას დამკვირვებლის მიერ მოწოდებული ინფორმაცია.

[147] მარნეულის საოლქო საარჩევნო კომისია. განკარგულება №94. 15.11.2018, ხელმისაწვდომია: https://sachivrebi.cec.gov.ge/info.php?id=8160, განახლებულია: 16.06.2019.

[148] 2018 წლის პრეზიდენტის არჩევნების კენჭისყრის დღის ზოგადი შეფასება, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2018 წლის 29 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: https://gyla.ge/ge/post/2018-tslis-prezidentis-archevnebis-kentchisyris-dghis-shefaseba-zogadi-shefaseba#sthash.xf2wwAEk.dpbs, განახლებულია: 15.06.2019.


2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების პირველი ტურის
კენჭისყრის დღეს წარდგენილი საჩივრები და შენიშვნები
საუბნო საარჩევნო კომისიაში
საოლქო საარჩევნო კომისიაში
საჩივარი
71
67
შენიშვნა
48

IX. მეორე ტური

საიას შეფასებით, კენჭისყრის დღე ძირითადად მშვიდ ვითარებაში წარიმართა, თუმცა, დაფიქსირდა არსებითი დარღვევები და სხვა მნიშვნელოვანი ტენდენციები: სავარაუდო გაყალბების, ამომრჩევლის მოსყიდვისა და მუქარის ფაქტები; არჩევნების ძირითადი პრინციპების – ხმის მიცემის ფარულობის დარღვევისა და ამომრჩევლის ნების კონტროლის შემთხვევები. ცალკეულ უბნებზე საიას დამკვირვებლებს შეეზღუდათ დამკვირვებლის უფლებამოსილების განხორციელების შესაძლებლობა. დაფიქსირდა საიას დამკვირვებლების მიმართ აგრესიის და ფიზიკური შეურაცხყოფის მუქარის ფაქტები როგორც ხმის მიცემის, ისე შედეგების შეჯამების პროცესში. ცალკეულ უბნებზე შედეგების შეჯამების დროს ადგილი ჰქონდა პროცედურულ დარღვევებს. მთლიანობაში, პროცესი ძირითადად მშვიდ ვითარებაში წარიმართა. გამონაკლისი იყო მარნეულის №49 უბანი.

სადამკვირვებლო მისიის მიერ გამოვლენილი ძირითადი დარღვევები:[149]

- სავარაუდო გაყალბება – მარნეულის №49 საარჩევნო უბანი;[150]
- განმეორებით ხმის მიცემის მცდელობა;
- მარკირების შემოწმების გარეშე ხმის მიცემის ფაქტები;
- ამომრჩევლის სავარაუდო მოსყიდვის 2 ფაქტი;
- ზუგდიდის №21 საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის მიმართ სავარაუდო მუქარის ფაქტი;
- ხმის მიცემის ფარულობის დარღვევა. კაბინიდან გამოსული ამომრჩეველი მის მიერ გაკეთებული არჩევანის იდენტიფიცირების შესაძლებლობას ცალკეული ორგანიზაციების დამკვირვებლებს ან/და კომისიის წევრებს აძლევდა;
- კაბინაში ფოტოგადაღების 2 ფაქტი;
- დაუდგენელი ადამიანების მიერ უბანზე მისული ამომრჩევლის აღრიცხვა და მობილიზება. ამომრჩევლის ტრანსპორტით მობილიზება დუშეთის ცალკეულ უბნებზე, ასევე, ხობის №14 და №15 უბნებზე. ამომრჩევლის მობილიზება შეიმჩნეოდა ხობის №15 უბნის გვერდით მდებარე საცხოვრებელ სახლში. საიას დამკვირვებლის ინფორმაციით, უბნიდან გამოსული ამომრჩევლების ნაწილი ამ საცხოვრებელ სახლში შედიოდა;
- საიას დამკვირვებლებისთვის ხელშეშლის, აგრესიისა და ფიზიკური შეურაცხყოფის მცდელობის ფაქტები, ასევე, უბნიდან მათი გაძევება.

[149] 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურის კენჭისყრის დღის შეფასება, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2018 წლის 29 ნოემბერი, ხელმისაწვდომია: https://gyla.ge/ge/post/2018-tslis-saprezidento-archevnebis-meore-turis-kentchisyris-dghis-shefaseba#sthash.Db7N3OSo.dpbs, განახლებულია: 15.06.2019.

[150] დეტალური ინფორმაცია იხილეთ დანართში.

ხმის დათვლისა და კენჭისყრის შედეგების შეჯამების პროცესი[151]

- დაპირისპირება მოხდა მარნეულის №59 უბნის გარეთ.[152] აღნიშნული ინფორმაცია საიას დამკვირვებელმაც დაადასტურა. ერთმანეთს პრეზიდენტობის კანდიდატების მომხრეები დაუპირისპირდნენ;
- გარდაბნის №2 უბანზე ბათილად მიიჩნიეს 5 ბიულეტენი, მიუხედავად იმისა, რომ მასში ცალსახად იკვეთებოდა ამომრჩევლის ნება;
- საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ კომისიის წევრის ეთიკის ნორმები დაარღვია;
- საოლქო საარჩევნო კომისიაში ჩანაწერთა წიგნის დაულუქავ მდგომარეობაში მიტანა;
- ჩანაწერთა წიგნის არასათანადოდ დალუქვის ფაქტები;
- საარჩევნო უბნის ბეჭედი დაულუქავ მდგომარეობაში მიიტანეს საოლქო კომისიაში.

სხვა ტენდენციები

საიამ პოზიტიურად შეაფასა შსს-ს მყისიერი რეაგირება.[153] საიას შეტყობინების საფუძველზე, შსს-მ ჯგუფები გააგზავნა გარდაბნის №58 და ახალქალაქის №20 უბნებზე სავარაუდო დაძაბულობის პრევენციისა და აღკვეთის მიზნით.

კენჭისყრის დღეს საიას დამკვირვებლებმა საქართველოს მასშტაბით სულ **94 საჩივარი** დაწერეს, მათ შორის, **43 საჩივარი** – უბანზე და **51 საჩივარი** – საოლქო საარჩევნო კომისიებში. ასევე, საიას დამკვირვებლების მიერ ჩანაწერთა წიგნში დაფიქსირდა **37 შენიშვნა.**



[151] 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურის კენჭისყრის დღის შეფასება, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2018 წლის 29 ნოემბერი, ხელმისაწვდომია: https://gyla.ge/ge/post/2018-tslis-saprezidento-archevnebis-meore-turis-kentchisyris-dghis-shefaseba#sthash.Db7N3OSo.dpbs, განახლებულია: 15.06.2019.

[152] მარნეულში საარჩევნო უბანთან მომხდარი ჩხუბის გამო პოლიციამ ორი პირი დააკავა. რადიო თავისუფლება, 21 ოქტომბერი, 2018 წელი. ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/29568161.html, განახლებულია: 15.06.2019.

[153] 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურის კენჭისყრის დღის შეფასება, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2018 წლის 29 ნოემბერი, ხელმისაწვდომია: https://gyla.ge/ge/post/2018-tslis-saprezidento-archevnebis-meore-turis-kentchisyris-dghis-shefaseba#sthash.Db7N3OSo.dpbs, განახლებულია: 15.06.2019.

X. შედეგების შეჯამება

შედეგების შეჯამება საოლქო საარჩევნო კომისიებში – პირველი ტური

არჩევნების პირველ ტურზე კენჭისყრის დღესა და შემდგომ პერიოდში საიას დამკვირვებლების მიერ წარდგენილი საჩივრები ეხებოდა:[154]

- საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შეუსრულებლობას ან არაჯეროვან შესრულებას;
- წილისყრის პროცედურების დარღვევებს;
- კენჭისყრის პროცედურებთან დაკავშირებულ დარღვევებს;
- დამკვირვებლის უფლებების შეზღუდვას;
- ხმის დათვლასა და კენჭისყრის შედეგების შეჯამებასთან დაკავშირებულ დარღვევებს.

აღსანიშნავია, რომ არჩევნების დღის შემდგომი პერიოდის საჩივრები ძირითადად საუბნო საარჩევნო კომისიების კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმებში მთელ რიგ უზუსტობებს ეხებოდა. კერძოდ, ამ არჩევნებზე კვლავ პრობლემად დარჩა:

- შემაჯამებელი ოქმების არაერთგვაროვანი შევსება;
- ხელმოწერებისა და კომისიის ბეჭდების არარსებობა;
- დისბალანსი (ნაკლებობა ან მეტობა);
- შესწორების ოქმების კანონმდებლობის დარღვევით შედგენა, რა დროსაც არ ხდებოდა ადმინისტრაციული წარმოების სრულად ჩატარება და საქმესთან დაკავშირებული გარემოებების სრულად გამოკვლევა.

საიას დამკვირვებლების ინფორმაციით, საოლქო საარჩევნო კომისიებში საარჩევნო უბნებიდან დოკუმენტაცია შედიოდა დალუქულ მდგომარეობაში. ამ მხრივ, რაიმე არსებითი და მნიშვნელოვანი ხასიათის ხარვეზი არ დაფიქსირებულა. გამონაკლისი იყო დიდუბის ოლქი, სადაც დოკუმენტები, რიგ შემთხვევაში, დაულუქავ მდგომარეობაში შევიდა. აღნიშნულთან დაკავშირებით საიას დამკვირვებლებმა საჩივარი დაწერეს, რომელიც დაკმაყოფილდა.[155] კრწანისის ოლქში, ცალკეულ შემთხვევებში, დალუქული იყო ისეთი დოკუმენტებიც, მაგალითად, სარეგისტრაციო ჟურნალები, რომლებიც არ ილუქება.

რაც შეეხება უშუალოდ საოლქო საარჩევნო კომისიების შენობებსა და ინფრასტრუქტურას, ამ კუთხით, სამი განსხვავებული ვითარება გამოვლინდა:

1) საოლქო საარჩევნო კომისიების შენობების გარკვეული ნაწილი იძლეოდა იმის საშუალებას, რომ საარჩევნო დოკუმენტაციის მიღება ერთ სივრცეში მომხდარიყო.[156] კერძოდ, იყო ერთი დიდი ოთახი, სადაც დოკუმენტაცია და შემაჯამებელი ოქმები დამკვირვებლებისთვის თვალსაჩინოდ შემოდიოდა კომისიაში.

2) საოლქო საარჩევნო კომისიები, რომელთა შენობები და მათი ინფრასტრუქტურა ობიექტურად არ იძლეოდა ერთიან სივრცეში (ერთ ოთახში) საარჩევნო დოკუმენტაციის ჩაბარების შესაძლებლობას.[157]

3) საოლქო საარჩევნო კომისიები, რომელთა ინფრასტრუქტურა იძლეოდა დოკუმენტების ერთიან სივრცეში ჩაბარების საშუალებას, თუმცა, ამის მიუხედავად, საარჩევნო

---

[154] ცენტრალური საარჩევნო კომისიის საჩივრების რეესტრი, ხელმისაწვდომია: https://sachivrebi.cec.gov.ge/index.php?action=sachivrebi&s=1&arch=23, განახლებულია: 16.06.2019.

[155] დიდუბის საოლქო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილება №31/2018, 2018 წლის 30 ოქტომბერი. ხელმისაწვდომია: https://sachivrebi.cec.gov.ge/info.php?id=8004, განახლებულია: 16.06.2019.

[156] გორი, ბათუმი, ქობულეთი, ხელვაჩაური, ლანჩხუთი, ოზურგეთი, ყვარელი, მარნეული, ახალციხე.

[157] მთაწმინდა, სამგორი, ნაძალადევი, გლდანი, მარტვილი, ჩხოროწყუ, თიანეთი.

დოკუმენტაციას ერთიან სივრცეში არ იღებდნენ.[158]

ბოლო ორ შემთხვევაში შემაჯამებელ ოქმებს აბარებდნენ ერთ ოთახში, ხოლო დანარჩენ დოკუმენტაციას – სხვა ოთახში, რაც დამკვირვებლებისთვის არ ქმნიდა სათანადო პირობებს პროცესის სრულფასოვანი მონიტორინგისთვის.[159]

ცალკეულ ოლქებში შემაჯამებელი ოქმები, წინა წლებთან შედარებით, უკეთესად იყო შევსებული.[160] ოქმები, რომლებსაც გარკვეული ტექნიკური უზუსტობები/ხარვეზები გააჩნდა, საოლქო კომისიებში იგზავნებოდა შესწორების ოქმებთან ერთად.[161] როგორც შემაჯამებელ, ისე შესწორების ოქმებს ხელს აწერდა კომისიის ყველა წევრი. ისეთ შემთხვევაში, სადაც ასეთი ხელმოწერა არ ფიქსირდებოდა, საიას დამკვირვებლები საჩივრებს წერდნენ.[162]

საიას დამკვირვებლების ინფორმაციით, დაფიქსირდა შემაჯამებელი ოქმების შესწორების ოქმების შევსების განსხვავებული შემთხვევები. მაგალითად: შესწორების ოქმებს ადგენდნენ როგორც კენჭისყრის დღეს უბნებზე, ისე საოლქო საარჩევნო კომისიებში კენჭისყრის დღის ღამის საათებში,[163] ასევე – კენჭისყრის დღის მომდევნო დღეს საოლქო საარჩევნო კომისიებში, რა დროსაც, შესწორების ოქმებთან ერთად, საუბნო საარჩევნო კომისიის წევრები ახსნა-განმარტებებს წერდნენ. საარჩევნო კოდექსში შეტანილი ცვლილებების მიხედვით, საჭიროების შემთხვევაში, საუბნო საარჩევნო კომისია, არაუგვიანეს კენჭისყრის დღის მომდევნო დღისა, ადგენს შემაჯამებელი ოქმის შესწორების ოქმს შესაბამისი საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების ახსნა-განმარტებების ან/და სხვა სამართლებრივი და ფაქტობრივი საფუძვლების არსებობისას.[164] ეს პრაქტიკა კანონდარღვევას აღარ წარმოადგენს, თუმცა, პრობლემურია, ვინაიდან საარჩევნო კომისიას ეძლევა შესაძლებლობა, „გამოასწოროს“ კენჭისყრის დღეს შემაჯამებელ ოქმებში დაშვებული უხეში შეცდომები და კანონიერი სახე მისცეს მათ.

საიას დამკვირვებლებმა საოლქო საარჩევნო კომისიებში დაპირისპირების რამდენიმე ფაქტი დააფიქსირეს. კერძოდ:

- საოლქო კომისიის წევრების მხრიდან ორ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა დაპირისპირებასა და არაეთიკურ მოპყრობას. სამგორის საოლქო კომისიის თავმჯდომარემ სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა საიას ოლქის დამკვირვებელს;
- დიდუბის საოლქო კომისიაში ერთმანეთს დაუპირისპირდნენ ერთ-ერთი უბნის კომისიის წევრები და სადამკვირვებლო ორგანიზაციის წარმომადგენლები. ამ უკანასკნელთა მტკიცებით, კომისიის წევრები დალუქულ პაკეტებს ხსნიდნენ. აღნიშნულ ფაქტზე გამოძიება დაიწყო.[165]

- **შედეგების შეჯამება საოლქო კომისიებში – მეორე ტური**

საიას დამკვირვებელთა ინფორმაციით, საოლქო საარჩევნო კომისიებში საარჩევნო უბნებიდან დოკუმენტაციის მიღება ხდებოდა პირველი ტურის მსგავსად. ოთახების მოწყობისა და შენობის შიდა სივრცის განაწილების თვალსაზრისით ცვლილება არ ყოფილა. საოლქო კომისიაში დოკუმენტაცია შედიოდა დალუქულ მდგომარეობაში. ამ მხრივ, რაიმე არსებითი

[158] დიდუბე, თელავი, ზუგდიდი.

[159] თელავის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ განმარტა, რომ ერთიან სივრცეში დოკუმენტაციის ჩაბარება, რასაც წინა წლებში თელავის საოლქო საარჩევნო კომისიაში ჰქონდა ადგილი, მანკიერი პრაქტიკა იყო და იმავეს აღარ დაუშვებდა.

[160] დიდუბე.

[161] ბათუმი, ქობულეთი, ხელვაჩაური.

[162] ბორჯომი.

[163] თელავი, ყვარელი.

[164] საქართველოს საარჩევნო კოდექსის 26-ე მუხლის $დ^1$ ქვეპუნქტი.

[165] მიმდინარეობს გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 162^1-ე მუხლით.

და მნიშვნელოვანი ხარვეზი არ დაფიქსირებულა. გამონაკლისი იყო გლდანის ოლქი, სადაც დოკუმენტები, რიგ შემთხვევაში, დაულუქავად შევიდა.[166]

საიას დამკვირვებლების მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, პირველი ტურის შემდეგ საგრძნობლად გამოსწორდა მდგომარეობა შემაჯამებელი ოქმების შევსების კუთხით. შედარებით მცირე იყო როგორც დისბალანსის, ისე ხელმოწერებისა და ბეჭდების გარეშე შემაჯამებელი ოქმების წარდგენის შემთხვევები. რაც შეეხება ხარვეზებს, ოქმებში ძირითადად გამორჩენილი იყო სავალდებულო რეკვიზიტები ბეჭდისა და ხელმოწერების სახით ან არასწორად იყო მითითებული შევსების დრო და თარიღი.

უნდა მოხდეს საუბნო საარჩევნო კომისიების წევრთა კვალიფიკაციის ამაღლება, მათთვის საარჩევნო დოკუმენტაციის წარმოების უნარების განმტკიცება. კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმების უკეთ შევსების მიზნით, უნდა მოხდეს ოქმების შევსების ერთგვაროვანი წესის შემოღება, რასაც სავალდებულო ხასიათი ექნება. შესწორების ოქმი უნდა დგებოდეს მხოლოდ საუბნო საარჩევნო კომისიის საარჩევნო დოკუმენტაციის გახსნისა და შესწავლის საფუძველზე, ხოლო შემაჯამებელი ოქმები – კენჭისყრის იმავე დღეს, საუბნო საარჩევნო კომისიის შესაბამისი წევრების მონაწილეობით.

უნდა მოწესრიგდეს ინფრასტრუქტურული და სივრცითი მოწყობის პრობლემები საოლქო საარჩევნო კომისიებში, რათა უბნიდან შემოსული საარჩევნო დოკუმენტებისა და ინვენტარის ჩაბარების პროცესი არ ატარებდეს ქაოტურ ხასიათს და საარჩევნო დოკუმენტების ჩაბარება ხდებოდეს ერთიან სივრცეში. ეს ხელს შეუწყობს გამჭვირვალობის სტანდარტის დაცვას და დაკვირვების შესაძლებლობას.

[166] საქართველოს საარჩევნო კოდექსის 69-ე მუხლის მე-7, მე-8 და მე-9 ნაწილები.

არჩევნებმა კიდევ ერთხელ წარმოაჩინა მთელი რიგი საკანონმდებლო და პრაქტიკაში არსებული ხარვეზები, რომელთა გადაწყვეტა საჭიროებს სისტემურ საკანონმდებლო და ინსტიტუციურ ცვლილებებს.

საარჩევნო კომისიების დაკომპლექტება – მნიშვნელოვნად უნდა გაუმჯობესდეს საარჩევნო კომისიის წევრთა შესარჩევი კონკურსის ჩატარების მარეგულირებელი ნორმატიული ბაზა და კომისიის წევრთა შერჩევის წესი და პრაქტიკა. მნიშვნელოვანია, რომ პროფესიული წევრების კვოტით კომისიის შემადგენლობაში რეალურად იყვნენ წარმოდგენილნი დამოუკიდებელი, კომპეტენტური კადრები და არა – რომელიმე პოლიტიკურ ძალასთან დაკავშირებული პირები. კონკურსის ჩატარების წესის პროცედურები დეტალურად უნდა გაიწეროს კონკურსის თითოეული ეტაპის მიხედვით. უნდა დადგინდეს კონკურსანტთა შეფასების კრიტერიუმები და ამ კრიტერიუმების საფუძველზე მოხდეს გადაწყვეტილების მიღება. შემოღებული უნდა იყოს მეტი კრიტერიუმი, ვიდრე ეს უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დიპლომის არსებობა ან თუნდაც საარჩევნო გამოცდილების ქონაა.[167] სავალდებულოდ უნდა განისაზღვროს გასაუბრების ეტაპი. უნდა დამტკიცდეს კონკურსში მონაწილეთა შეფასების ფორმა და გაიზარდოს საოლქო საარჩევნო კომისიის წევრის შესარჩევად დადგენილი კონკურსის ვადა. საარჩევნო ადმინისტრაციამ უნდა უზრუნველყოს კონკურსის თაობაზე ფართო მასების დროული ინფორმირება, რათა რაც შეიძლება მეტმა ადამიანმა შეძლოს კონკურსში მონაწილეობა.

უწყებათაშორისი კომისია – იმისათვის, რომ უწყებათაშორისი კომისია უფრო ეფექტური გახდეს, მნიშვნელოვანია, რომ იგი ინსტიტუციურად პრემიერ-მინისტრის უშუალო დაქვემდებარებაში გადავიდეს. საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში საარჩევნო დარღვევების განხილვის გამოცდილება უკვე არსებობს. ეს გარემოება შეამცირებს მსგავსი ფორმატის დისკუსიების პოლიტიზირების რისკებს.

სახელმწიფო აუდიტის სამსახური – უნდა შემუშავდეს მეთოდოლოგია, რომელიც შესაძლებელს გახდის სოციალურ ქსელებში კონტრაგიტაციის მიზნით შექმნილი და დაფინანსებული ანონიმური გვერდების დამფინანსებელთა შესახებ ინფორმაციის შესწავლას და აღნიშნულ ფაქტებზე რეაგირებას.

ადმინისტრაციული რესურსების გამოყენება – ხელისუფლებამ უნდა უზრუნველყოს პარტიულ საქმიანობასა და საჯარო სამსახურს შორის უფრო მკაფიო ზღვრის გავლება. კანონმდებლობით უნდა აიკრძალოს საბიუჯეტო ორგანიზაციებში დასაქმებულ პირთა მონაწილეობა აგიტაციაში სამუშაო საათების განმავლობაში. ხელისუფლების წარმომადგენლებმა უარი უნდა თქვან სამსახურებრივად დაქვემდებარებული პირების ჩართვაზე წინასაარჩევნო აგიტაციაში. ადგილობრივმა თვითმმართველობებმა ბიუჯეტი არჩევნებს არ უნდა მოარგონ.

წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობა – უნდა გადაიხედოს წინასაარჩევნო კამპანიისა და აგიტაციაში/კამპანიაში მონაწილეობის წესები. უნდა მოხდეს წინასაარჩევნო კამპანიის/აგიტაციის ცნების დაზუსტება: წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობის ცნება უნდა განისაზღვროს იმგვარად, რომ შესაძლებელი გახდეს სოციალური ქსელით აგიტაციის აკრძალვა სამუშაო საათების განმავლობაში. უნდა შეიზღუდოს ისეთი იურიდიული პირის აგიტაციაში მონაწილეობა, რომელიც ეწევა ქველმოქმედებას საარჩევნო მიზნებით, თუმცა, ქველმოქმედი ორგანიზაციის ოფიციალური სტატუსი არ გააჩნია.

ამომრჩევლის ნების კონტროლი და პერსონალური მონაცემების დამუშავება – საარჩევნო უბნის გარეთ პერსონალური ინფორმაციის დამუშავება შესაბამის საკანონმდებლო რეგულირებას

[167] საარჩევნო კოდექსით უნდა დადგინდეს, რომ საარჩევნო კომისიის წევრად არ შეიძლება დაინიშნოს/არჩეული იყოს პირი, რომელიც ბოლო 2 წლის განმავლობაში იყო პოლიტიკური პარტიის წევრი ან კანდიდატი, ან, რომელიც ბოლო 2 არჩევნებზე იყო პარტიის მიერ დანიშნული წევრი საარჩევნო კომისიაში.

საჭიროებს. პარტიებმა პატივი უნდა სცენ ამომრჩევლის პერსონალურ ინფორმაციას და უნდა აუხსნან მათ პერსონალური ინფორმაციის მოგროვებისა და დამუშავების მიზნები. ამ პროცესს არ უნდა ჰქონდეს ამომრჩევლის დევნის, მისი დაშინების და კონტროლის სახე. საიას მიაჩნია, რომ კენჭისყრის დღეს პოლიტიკურ გაერთიანებებს ამომრჩევლის კონტროლის უფლება არ უნდა ჰქონდეთ. იმ ადამიანების სია, რომლებმაც არჩევნებში მიიღეს მონაწილეობა, არ უნდა იყოს საჯარო, ვინაიდან ეს შეიძლება განხილული იყოს, როგორც მათი ნების კონტროლი.

საარჩევნო სუბიექტების რეგისტრაცია – უნდა გადაიხედოს მხარდამჭერთა ხელმოწერების შეგროვებისა და გადამოწმების პროცესის რეგულაციები. მნიშვნელოვანია, პროცესში არსებობდეს ამომრჩევლის პერსონალური მონაცემების დაცვის, მხარდამჭერთა სიების შედგენისა და გადამოწმების მაღალი სტანდარტები, რაც გაზრდის ნდობას პროცესის მიმართ და უზრუნველყოფს ამომრჩევლის ხელმოწერებით რაიმე სახით მანიპულაციის პრევენციას.

კენჭისყრის პროცედურები – საუბნო საარჩევნო კომისიების საქმიანობის ეფექტურობის გაზრდისა და საარჩევნო პროცესის ჩატარების გაუმჯობესების კუთხით, საიას მნიშვნელოვნად მიაჩნია კენჭისყრის პროცედურების გამარტივება, ასევე, თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა უბნებზე, მათ შორის, ხმის დათვლა ელექტრონული წესით.

უნდა მოხდეს საუბნო საარჩევნო კომისიების წევრთა კვალიფიკაციის ამაღლება, მათთვის საარჩევნო დოკუმენტაციის წარმოების უნარების განმტკიცება. კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმების უკეთ შევსების მიზნით, უნდა მოხდეს ოქმების შევსების ერთგვაროვანი წესის შემოღება, რასაც სავალდებულო ხასიათი ექნება. შესწორების ოქმი უნდა დგებოდეს მხოლოდ საუბნო საარჩევნო კომისიის საარჩევნო დოკუმენტაციის გახსნისა და შესწავლის საფუძველზე, ხოლო შემაჯამებელი ოქმები – კენჭისყრის იმავე დღეს საუბნო საარჩევნო კომისიის შესაბამისი წევრების მონაწილეობით.

უნდა მოწესრიგდეს ინფრასტრუქტურული და სივრცითი მოწყობის პრობლემები საოლქო საარჩევნო კომისიებში, რათა უბნიდან შემოსული საარჩევნო დოკუმენტებისა და ინვენტარის ჩაბარების პროცესი არ ატარებდეს ქაოტურ ხასიათს და საარჩევნო დოკუმენტების ჩაბარება ხდებოდეს ერთიან სივრცეში. ეს ხელს შეუწყობს გამჭვირვალობის სტანდარტის დაცვას და დაკვირვების შესაძლებლობას.

საარჩევნო დავები საარჩევნო ადმინისტრაციაში – საარჩევნო კომისიის წევრებმა ადმინისტრაციული წარმოება კანონის მოთხოვნების შესაბამისად უნდა განახორციელონ. საჩივარში ასახული დარღვევები დეტალურად უნდა შეისწავლონ, მტკიცებულებები ჯეროვნად გამოიკვლიონ და მიღებული გადაწყვეტილებები დაასაბუთონ. პასუხისმგებლობის ზომების გამოყენებისას, გათვალისწინებული უნდა იყოს დარღვევის სიმძიმე.

მედიაგარემო – საარჩევნო პროცესების გაშუქებისას მედიამ პროფესიული სტანდარტები უნდა დაიცვას და საარჩევნო პროცესები მიუკერძოებლად გააშუქოს. უნდა განხორციელდეს ცვლილებები „საარჩევნო კოდექსში“, რომლითაც უკეთესად დაზუსტდება, რომ საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგების ობიექტურობის გადამოწმებისა და მეთოდოლოგიის საიმედოობის გადამოწმებაზე პასუხისმგებლობა არ ეკისრება მაუწყებელს. მკაცრად უნდა იყოს გაწერილი, თუ რისი შემოწმების ვალდებულება აქვს მედიას პოლიტიკური რეკლამის განთავსებისას და საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია რა კუთხით განიხილავს ასეთ საკითხებს. აღნიშნულმა ცვლილებებმა უნდა უზრუნველყოს დღეს არსებული ჩანაწერის გამყარება, რომლითაც პოლიტიკური რეკლამის განთავსების საკითხზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს.

XII. დანართები

დანართი №1

წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსების დარღვევის სავარაუდო ფაქტები

საარჩევნო პროცესების მონიტორინგისას საიას დამკვირვებლებმა პოლიტიკური გაერთიანებების მიერ პრეზიდენტობის დამოუკიდებელი კანდიდატის სალომე ზურაბიშვილის სასარგებლოდ უკანონო შემოწირულების რამდენიმე სავარაუდო ფაქტი დააფიქსირეს. კანონის მიხედვით, საარჩევნო კამპანია უნდა დაფინანსდეს დამოუკიდებელი კანდიდატის საარჩევნო ფონდიდან.[168] დაუშვებელია არჩევნების დროს საარჩევნო სუბიექტის მიერ, შესაბამისი ფონდის სახსრების გარდა, სხვა სახსრების გამოყენება.[169] კანონის თანახმად,[170] აკრძალულია შემოწირულებების მიღება არასამეწარმეო იურიდიული პირისგან.[171] ამავე კანონის მიხედვით, პარტია არის არასამეწარმეო იურიდიული პირი,[172] შესაბამისად, პარტიების მიერ გაღებული ხარჯი დამოუკიდებელი კანდიდატის სასარგებლოდ წარმოადგენდა უკანონო შემოწირულებას. მაგალითად:

- საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში (მეტროს სადგურებზე, ავტოსადგურზე, ავტობუსის გაჩერებებზე და სხვა) გავრცელდა ბუკლეტები, რომლებზეც განთავსებული იყო „პატრიოტთა ალიანსის“ ლიდერების - ირმა ინაშვილისა და დავით თარხან-მოურავის სურათი, მათი დევიზი, ლოგო და პოლიტიკური გაერთიანების სახელწოდება. ბუკლეტი შესრულებული იყო ამ პოლიტიკური გაერთიანებისათვის დამახასიათებელი ხელწერით, მათთან ასოცირებადი ტერმინოლოგიით, ფოტოებით და ფერებით (წითელი, თეთრი, შავი). ბუკლეტის შინაარსი ემსახურებოდა გრიგოლ ვაშაძის მხარდაჭერისგან თავის შეკავების მიზანსა და სალომე ზურაბიშვილის მხარდაჭერას. შესაბამისად, პ/გ „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ მიერ გავრცელებული ბუკლეტები მიემართებოდა პ/გ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ პრეზიდენტობის კანდიდატის გრიგოლ ვაშაძის საწინააღმდეგოდ და, იმავდროულად, ემსახურებოდა პრეზიდენტობის დამოუკიდებელი კანდიდატის სალომე ზურაბიშვილის მხარდაჭერას.[173]
- პრეზიდენტობის კანდიდატის სალომე ზურაბიშვილის წინასაარჩევნო ბილბორდებზე გამოსახულნი იყვნენ პოლიტიკური გაერთიანება „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე[174] ბიძინა ივანიშვილი და ამავე პოლიტიკური პარტიის აღმასრულებელი მდივანი[175] და, იმავდროულად, საქართველოს პარლამენტის

[168] საქართველოს საარჩევნო კოდექსის 54-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი.

[169] საქართველოს საარჩევნო კოდექსის 54-ე მუხლის მე-6 ნაწილი.

[170] მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 26-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი.

[171] საქართველოს საარჩევნო კოდექსის მე-2 მუხლის 3^4 ნაწილის თანახმად, საარჩევნო შემოწირულება არის საარჩევნო/სარეფერენდუმო კამპანიის დროს შესაბამისი საარჩევნო სუბიექტის ანგარიშზე ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ ჩარიცხული ფულადი სახსრები, აგრეთვე, უსასყიდლოდ მიღებული ყველა სახის მატერიალური ფასეულობა და მომსახურება, გარდა ამ კანონით დადგენილი წესით მიღებული უფასო საეთერო დროის ღირებულებისა.

[172] მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის მე-4 მუხლი.

[173] ამ ფაქტთან დაკავშირებით სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი შეადგინა პოლიტიკური გაერთიანება „პატრიოტთა ალიანსის“ წინააღმდეგ და საქმე შესასწავლად სასამართლოს გადასცა.

[174] ინფორმაცია მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის ბიძინა ივანიშვილის შესახებ. ხელმისაწვდომია: http://41.ge/party/bidzina-ivanishvili?menu=1, განახლებულია: 16.06.2019.

[175] ინფორმაცია მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ აღმასრულებელი მდივნის ირაკლი კობახიძის შესახებ. ხელმისაწვდომია: http://41.ge/party/Irakli-Kobakhidze?menu=1, განახლებულია: 16.06.2019.

თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე.[176]

- მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ქართული ოცნების“ ფინანსურ ანგარიშში[177] ასახული იყო შპს „ალფა სტუდიოს“ ხარჯი - 65 442 ლარი. როგორც ანგარიშიდან ირკვეოდა, ეს ხარჯი პარტიამ გასწია განათების მომსახურებისთვის, ხოლო ხელშეკრულება კომპანიასთან დადებული იყო 2018 წლის 26 ოქტომბერს. საიას დამკვირვებლის ინფორმაციით, შპს „ალფა სტუდიომ“ უზრუნველყო სალომე ზურაბიშვილის წინასაარჩევნო შეხვედრის გაშუქება თბილისის სპორტის სასახლეში. პრეზიდენტობის კანდიდატის წინასაარჩევნო ღონისძიება გაიმართა 2018 წლის 25 ოქტომბერს.[178]
- ამბროლაურის „ქართული ოცნების“ საარჩევნო შტაბმა, სავარაუდოდ, ხარჯი გაიღო დამოუკიდებელი პრეზიდენტობის კანდიდატის სალომე ზურაბიშვილის მხარდამჭერების ტრანსპორტირებისა და კვებისთვის, თბილისიდან ჩასული 23 ამომრჩევლისთვის - 50 ლარი, ხოლო ქუთაისიდან ჩასული 3 ამომრჩევლისთვის - 25 ლარი, ჯამში 1225 ლარი.[179]

[176] ივანიშვილის გარდა, ზურაბიშვილის ფოტოზე კობახიძეცაა, ლიბერალი, 2018 წლის 15 ნოემბერი. ხელმისაწვდომია: http://liberali.ge/news/view/41091/ivanishvilis-garda-zurabishvilis-bildbordze-kobakhidzis-fototsaa, განახლებულია: 16.06.2019.

[177] „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ ფინანსური ანგარიში, სახელმწიფო აუდიტის სამსახური №26/04/2018, 30.10.2018. ხელმისაწვდომია: https://monitoring.sao.ge/files/finansuri%20monitoringi/shualeduri/2018/2018-10/ქართული%20ოცნება%20-%20დემოკრატიული%20საქართველო.pdf გვ.24, განახლებულია: 18.06.2019.

[178] სპორტის სასახლეში სალომე ზურაბიშვილის საარჩევნო კამპანიის შეჯამება მიმდინარეობს, მედია ჰოლდინგი „კვირა“, 2018 წლის 25 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: http://kvira.ge/427501, განახლებულია: 16.06.2019.

[179] საიას განცხადება სახელმწიფო აუდიტის სამსახურს, №გ-01/293-18, 08.11.2018.

დანართი №2

ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება

ადგილობრივი მოსახლეობის და დევნილების პრობლემების მოგვარება

საიას დამკვირვებლების ინფორმაციით, ზუგდიდის მერია წინასაარჩევნოდ სოფლებში სოციალურად დაუცველ ოჯახებს ეხმარებოდა. მაგალითად, საშეშე მერქანი გადაეცა რუხის ადმინისტრაციულ ერთეულში რამდენიმე ოჯახს. სოფელ რიყეში სამხედრო პიკაპით დაარიგეს შეშა. სოფელ ჯიხაშკარში დარიგდა ფქვილი, ასევე, ჭაქვინჯში დაფიქსირდა ფქვილის და შეშის დარიგების ფაქტები.[180]

გორში საკუთრების მოწმობების გადაცემა დევნილებისთვის

საიას დამკვირვებლის ინფორმაციით, 2018 წლის 15 ნოემბერს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიიდან დევნილთა, შრომის, სოციალური და ჯანმრთელობის მინისტრის მოადგილემ გრიგოლ გიორგაძემ გორში, ანწუხელიძის ქუჩაზე მცხოვრებ დევნილთა 480 ოჯახს გადასცა საკუთრების მოწმობები.[181] ამ ბინებში დევნილები შესახლდნენ 2018 წლის დასაწყისში. საიას დამკვირვებლის ინფორმაციით, შესახლების შემდეგ დევნილები საკუთრების მოწმობების გადაცემას ითხოვდნენ. საკუთრების მოწმობები ანწუხელიძის ქუჩაზე მცხოვრებ ყველა დევნილს მხოლოდ არჩევნების მეორე ტურის წინასაარჩევნო პერიოდში გადასცეს, რაც, სავარაუდოდ, მოახლოებული არჩევნების წინ ამომრჩევლის გულის მოგებას ემსახურებოდა.

[180] ზუგდიდის მერია სოციალურად დაუცველ ოჯახებს ეხმარება, STV, 2018 წლის 13 ნოემბერი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2FmYnYV, განახლებულია: 18.06.2019.

[181] გორში 480 დევნილ ოჯახს ბინები საკუთრებაში გადაეცა, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა სამინისტრო, 2018 წლის 15 ნოემბერი, ხელმისაწვდომია: https://www.moh.gov.ge/ka/news/4162/gorSi-480-devnil-ojaxs--binebi-sakuTrebaSi-gadaeca, განახლებულია: 18.06.2019.

დანართი №3

სავარაუდო მუქარის და ზეწოლის ფაქტები

- 2018 წლის 12 ოქტომბერს საიამ, სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებამ და საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველომ გაავრცელეს ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ რამდენიმე რეგიონში მუნიციპალიტეტების თანამდებობის პირები საბიუჯეტო დაფინანსებაზე მყოფი ა(ა)იპ-ების დირექტორებს და მათ თანამშრომლებს ავალდებულებდნენ სალომე ზურაბიშვილის მხარდამჭერების მობილიზებას და პოტენციური მხარდამჭერების სიის შესაბამის პირებთან გადაგზავნას.[182] ორგანიზაციების დამკვირვებლების ცნობით, ა(ა)იპ-ების თანამშრომლებს წინასწარ მომზადებულ ბლანკებში მათი ოჯახის წევრების შესახებ პერსონალური მონაცემები უნდა შეევსოთ.[183] ა(ა)იპ-ის თანამშრომლებმა დამკვირვებლებთან საუბარში განაცხადეს, რომ მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელების დავალებით მათ გადაეცათ ცარიელი ბლანკები, რომლებშიც თითოეულ მათგანს ათი მხარდამჭერის პერსონალური მონაცემები უნდა მიეთითებინა.[184] მათივე ინფორმაციით, სიების შედგენის მოტივი სალომე ზურაბიშვილის პირველივე ტურში გამარჯვება იყო.[185] ა(ა)იპ-ის თანამშრომლები ასევე აცხადებდნენ, რომ მსგავსი სიების შედგენას წინა ხელისუფლების დროსაც ავალებდნენ.[186] სამეგრელოში ერთ-ერთი ა(ა)იპ-ის თანამშრომლებმა ორგანიზაციების დამკვირვებლებთან საუბრისას განაცხადეს, რომ მოცემულ ფაქტზე ღიად საუბრის შემთხვევაში, შესაძლოა, სამსახური დაეკარგათ.[187]
- 2018 წლის 27 სექტემბერს გავრცელდა ინფორმაცია, რომ ახალქალაქის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ჰასმიკ მარანგოზიანი ამავე საოლქო კომისიის წევრს თეონა ჭალიძეს ფიზიკურად დაუპირისპირდა.[188] ჭალიძემ საიას მიმართა და აღნიშნული შემთხვევის შესახებ ორგანიზაციის დამკვირვებლებს ინფორმაცია მიაწოდა.[189] სამართალდამცავმა ორგანოებმა ამ ფაქტის შესწავლა დაიწყეს.[190]
- ზუგდიდის მე-6 საჯარო სკოლაში ინსპექტირება მეორე ტურის წინ ჩატარდა, რასაც საფუძვლად დაედო ანონიმური პირის წერილი, რომელიც 2018 წლის 8 ნოემბრით თარიღდებოდა. განცხადებაში წარმოდგენილი არ იყო ინფორმაცია ისეთ დარღვევაზე, რითაც შეიძლებოდა, სკოლის ინსპექტირების გადაუდებლად ან/და დაჩქარებულად ჩატარების აუცილებლობა დასაბუთებულიყო.[191] მინისტრის სახელზე დაწერილი ანონიმური წერილის ავტორი განმარტავდა, რომ სურდა, ემხილა სკოლის დირექტორი ია კერზაია. თუმცა, „განცხადება-საჩივარში“ საუბარი იყო, ზოგადად, შესყიდვებისა და საქმისწარმოების წესების დარღვევებზე და არ იყო მითითებული დირექტორის რაიმე

---

[182] „მუნიციპალიტეტების ა(ა)იპების თანამშრომლებს შესაძლოა სალომე ზურაბიშვილის მხარდამჭერების მობილიზებას ავალებდნენ“, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2018 წლის 12 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2WQU4ux, განახლებულია: 15.06.2019.

[183] იქვე.

[184] იქვე.

[185] იქვე.

[186] იქვე.

[187] იქვე.

[188] ახალქალაქის საოლქო კომისიის წევრი: თავმჯდომარემ ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა მომაყენა, სამხრეთის კარიბჭე, 2018 წლის 29 სექტემბერი, ხელმისაწვდომია: http://sknews.ge/index.php?newsid=19445, განახლებულია: 18.06.2019.

[189] შსს-მ ძიება დაიწყო - რა მოხდა ახალქალაქის კომისიაში, სამცხეთის კარიბჭე, 2018 წლის 29 სექტემბერი, ხელმისაწვდომია: http://sknews.ge/index.php?newsid=19450, განახლებულია: 18.06.2019.

[190] ჭალიძე: სამცხე-ჯავახეთის პოლიციის დეპარტამენტში გასაუბრების დროს ჩემ წინ იდო იარაღი, ახალი საქართველო - პოლიტიკური პლატფორმა, 2018 წლის 30 სექტემბერი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2x3MLFD, განახლებულია: 16.06.2019.

[191] საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს 2019 წლის 8 იანვრის წერილი №MES 91900010874.

კონკრეტულ დარღვევასა ან გადაცდომაზე, რომლებიც უშუალოდ ზუგდიდის მე-6 სკოლაში არსებულ შესაძლო პრობლემებს შეეხებოდა.[192] ზუგდიდის №6 საჯარო სკოლის დირექტორის მიერ ჩადენილ შესაძლო გადაცდომებთან (დარღვევებთან) დაკავშირებით განცხადება სამინისტროში დაფიქსირდა 2018 წლის 8 ნოემბრის 13:34 საათზე. განცხადების რეგისტრაციიდან 1 საათში სამინისტროს ინსპექტირების სამსახურის უფროსმა მოამზადა და დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემაში ატვირთა 2018 წლის 8 ნოემბრის №1441455 მოხსენებითი ბარათი (14:35 საათზე) და მინისტრ მიხეილ ბატიაშვილს დაეწერა 14:42 საათზე.[193] ქალაქ ზუგდიდის №6 საჯარო სკოლის ინსპექტირებასთან დაკავშირებით განათლების მინისტრის №414 ბრძანება მომზადდა იმავე დღეს და ელექტრონულ დოკუმენტბრუნვის სისტემაში განთავსდა 8 ნოემბრის 18:00 საათზე. შედეგად, ანონიმურმა წერილმა **სამინისტროში შესვლიდან 8 წუთში გაიარა 5 მოქმედება, მას გაეცნო და დანიშნულებისამებრ გადააგზავნა 5-მა მოხელემ.**[194] ზუგდიდის №6 საჯარო სკოლის შემოწმების მიზნით ინსპექტირების ჯგუფი სკოლაში გამოცხადდა 9 ნოემბრის დილის 11:00-დან 12:00 საათამდე პერიოდში და სკოლაში განათლების მინისტრის ბრძანება წარადგინეს. ინსპექტირებისთვის განისაზღვრა 7 დღე. ინსპექტირების დაწყება, ინსპექტირების ჩატარების, დასკვნის გადაცემის, სამეურვეო საბჭოს მსჯელობის ვადები იმგვარად განისაზღვრა, რომ ზუსტად ესწრებოდა პრეზიდენტის არჩევნების პირველ და მეორე ტურებს შორის პერიოდში.[195] ერთ-ერთი გარემოება, რომელიც ზუგდიდის მე-6 სკოლის ინსპექტირების შესაძლო პოლიტიკურ წინაპირობებზე მიუთითებდა, სწორედ აღნიშნული ვადები და ინსპექტირების ჩატარების პერიოდი იყო. ინსპექტირების ჩატარებისთვის განათლების მინისტრის 2018 წლის 8 ნოემბრის №414 ბრძანებით განსაზღვრული იყო მხოლოდ 7 დღე. შესაბამისად, ინსპექტირებისთვის პროცესი დასაწყისიდანვე მიმდინარეობდა სკოლის დირექტორისთვის სტრესულ, ფორსირებულ რეჟიმში. ინსპექტირების დასრულებიდან უმოკლეს ვადაში, ინსპექტირების ჯგუფის დასკვნის საფუძველზე, გამოიცა განათლების მინისტრის 2018 წლის 22 ნოემბრის ბრძანება, რომლის მიხედვით, ზუგდიდის №6 სკოლის სამეურვეო საბჭოს უნდა ემსჯელა სკოლის დირექტორისთვის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ. სამეურვეო საბჭომ აღნიშნულ საკითხზე იმსჯელა, თუმცა, სკოლის დირექტორს ია კერზაიას უფლებამოსილება ვადამდე არ შეუწყვიტა. აღნიშნული მოვლენებიდან მალევე, ია კერზაია შეუძლოდ გახდა და გარდაიცვალა.

[192] სკოლებში ინსპექტირების მექანიზმს, სავარაუდოდ. საარჩევნო გარემოზე ზემოქმედების მოხდენის მიზნით იყენებდნენ, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2019 წლის 3 მარტი, ხელმისაწვდომია: https://pgg.link/tfPl, განახლებულია: 16.06.2019.

[193] საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს 2019 წლის 8 იანვრის წერილი №MES 91900010874.

[194] განცხადება 13:36 საათზე დაეწერა მინისტრს, მიხეილ ბატიაშვილს, შემდგომ ინსპექტირების სამსახურს - 13:38 საათზე, ინსპექტირების სამსახურის ანალიტიკოსს - 13:42 საათზე, პირველი კატეგორიის უფროს სპეციალისტს - 13:42 საათზე.

[195] საპრეზიდენტო არჩევნების პირველი ტური გაიმართა 2018 წლის 28 ოქტომბერს, ხოლო მეორე ტური - 2018 წლის 2 დეკემბერს.

დანართი №4

ფიზიკური დაპირისპირებისა და ანგარიშსწორების ფაქტები

- 2018 წლის 30 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტის წევრის, ახალქალაქის მაჟორიტარი დეპუტატის ენზელ მკოიანის ნათესავები და მისი მხარდამჭერები **გაერთიანებული ოპოზიციის „ძალა ერთობაშია“ საარჩევნო შტაბში** ოპოზიციის წევრებს **თავს დაესხნენ.** თავდასხმის შედეგად დაზიანებები მიიღო 4-მა პირმა. გრიგოლ ვაშაძის საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელის განცხადებით, თავდასხმას ხელმძღვანელობდა „ქართული ოცნების“ მაჟორიტარი დეპუტატის ენზელ მკოიანის ძმა არტურ მკოიანი, რომელიც ხელკეტებით შეიარაღებულ პირებთან ერთად თავს დაესხა გაერთიანებული ოპოზიციის წარმომადგენლებს ახალქალაქში.[196] ცემის ფაქტზე გამოძიება მიმდინარეობს ძალადობის მუხლით.[197] თუმცა, დაზარალებულის ადვოკატი მიიჩნევდა, რომ შემთხვევა სცდებოდა ძალადობის შემადგენლობას. მან დააყენა შუამდგომლობა კვალიფიკაციის შეცვლის შესახებ, რაც არ დაკმაყოფილდა.
- ზემოაღნიშნულ ფაქტამდე მოხდა კიდევ ერთი თავდასხმა გაერთიანებული ოპოზიციის წარმომადგენელ მიხეილ აღაბადიანზე, რომელსაც ფიზიკურად გაუსწორდა თავად დეპუტატი ენზელ მკოიანი 20 ადამიანთან ერთად.[198] ახალქალაქის „ქართული ოცნების“ ადგილობრივ ოფისში დაპირისპირების ფაქტი დაადასტურეს.[199] პარტიის წარმომადგენლის ნაირი ირიციანის განცხადებით, აღნიშნული დაპირისპირება მოჰყვა 29 ოქტომბერს სალომე ზურაბიშვილის სააგიტაციო მასალების - პლაკატების ჩამოხევას.[200] შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადებით, მიმდინარეობს გამოძიება წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ ჩადენილი ხულიგნობის ფაქტზე.[201] საიას დამკვირვებლის ინფორმაციით, ახალქალაქის რაიონულმა სასამართლომ, 2019 წლის 25 იანვრის გადაწყვეტილებით, ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად ცნო მიხეილ აგაბაბაიანი და 1000 ლარიანი ჯარიმა დააკისრა პლაკატების ჩამოხევის გამო, ხოლო ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისგან გაათავისუფლა აშოტ რაისიანი.
- 2018 წლის 29 ოქტომბერს მარნეულში ქართული ოცნებისა და გაერთიანებული ოპოზიციის წარმომადგენლები ერთმანეთს ფიზიკურად დაუპირისპირდნენ.[202] ინციდენტი შემთხვევის ადგილზე გამოძახებულმა პოლიციამ აღკვეთა და სიტუაცია განმუხტა. გაერთიანებული ოპოზიციის მარნეულის შტაბის ხელმძღვანელმა ფუად კახრამანოვმა საიას წარმომადგენელთან საუბარში განაცხადა, რომ მასზე ანარ გადიმოვის, ფაიქ ისმაილოვისა და რამოვ კარახმაზლის მხრიდან ფიზიკური ძალადობა განხორციელდა. ოპოზიციის წარმომადგენლის განმარტებით, ანარ გადიმოვი და რამოვ კარახმაზლი მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები, ხოლო ფაიქ ისმაილოვი ქართული ოცნების აქტივისტია. რამოვ კარახმაზლიმ საიას წარმომადგენელთან საუბარში განაცხადა, რომ კონფლიქტი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლების

---

[196] ახალქალაქში ოთხი დაშავებულიდან ერთის მდგომარეობა მძიმეა, სამხრეთის კარიბჭე, 2018 წლის 30 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2WRJxnX, განახლებულია: 18.06.2019.

[197] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლი.

[198] საია მეორე ტურამდე პერიოდში საარჩევნო პროცესზე დაკვირვებას აგრძელებს, საია, 2018 წლის 2 ნოემბერი, ხელმისაწვდომია: https://gyla.ge/ge/post/saia-meore-turamde-periodshi-saarchevno-procesze-dakvirvebas-agrdzelebs№sthash.xKL6t8Ue.dpbs განახლებულია: 16.06.2016.

[199] იქვე.

[200] ენზელ მკოიანის ძმა: დაპირისპირება სალომე ზურაბიშვილის პლაკატების ჩამოხევას მოჰყვა, სამხრეთის კარიბჭე, 2018 წლის 30 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: http://sknews.ge/index.php?newsid=19958 განახლებულია: 18.06.2019.

[201] შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადება, შსს, 2018 წლის 30 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: https://police.ge/ge/shinagan-saqmeta-saministros-gantskhadeba-videodjarimebtan-dakavshirebit/12102, გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 239-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით მიმდინარეობს, განახლებულია: 18.06.2019.

[202] იხ. ზემოთ. სქოლიო 49.

მიერ „ქართული ოცნების“ ოფისის კარსა და მიმდებარე ხეებზე პლაკატების გაკვრას მოჰყვა. არჩევნების დღის მეორე დღეს კი, კონფლიქტი მოხდა ჩაიხანაში, რასაც „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლის მიერ პოლიციის გამოძახება მოჰყვა. რამოვი აცხადებს რომ ფუადი არავის უცემია, მას ფიზიკურად არავინ შეხებია. 2018 წლის 29 ოქტომბერს შსს-ს მარნეულის რაიონულ სამმართველოში დაიწყო გამოძიება - მარნეულის რაიონში, პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ოფისთან რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარის თანაშემწის ფუად კახრამანოვის მიმართ ანარ გადიმოვის (ქართული ოცნება) მიერ განხორციელებული მუქარისა და ძალადობის ფაქტზე.[203] საქმეზე გამოძიება გრძელდება.

- 2018 წლის 13 სექტემბერს, დაახლოებით 17:00 საათზე, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თიანეთის რაიონული ორგანიზაციის აქტივისტმა დავით ჯიმშიტაშვილმა სახეში მუშტი დაარტყა პოლიტიკური პარტია „ქართული ოცნების“ თიანეთის რაიონული ორგანიზაციის აქტივისტ რომან ფაშურიშვილს, რის შედეგადაც რომან ფაშურიშვილი წაიქცა. მთავარი პროკურატურის ინფორმაციით, აღნიშნულ დანაშაულთან დაკავშირებით სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო დავით ჯიმშიტაშვილის მიმართ და მას შეეფარდა გირაო 3000 (სამი ათასი) ლარის ოდენობით.[204]
- 2018 წლის 19 სექტემბერს ფიზიკური დაპირისპირება მოხდა ქუთაისში. ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის დაწყებამდე ერთმანეთს საკრებულოს უმრავლესობის წევრი იმედა საღინაძე და „ნაციონალური მოძრაობის“ დეპუტატი გია უკლება დაუპირისპირდნენ. დაპირისპირება საკრებულოს სხდომათა დარბაზში დაიწყო, რის შემდეგაც ხელჩართული ჩხუბი დერეფანში გაგრძელდა. შსს-ს ინფორმაციით, აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო ორი პირის მიმართ.[205] დაპირისპირების მიზეზი, სავარაუდოდ, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ საკრებულოს წევრის მხრიდან მმართველი პარტიის მიერ მხარდაჭერილი დამოუკიდებელი კანდიდატის მისამართით გამოხატული კრიტიკული დამოკიდებულება გახდა.[206]
- 2018 წლის 29 ოქტომბერს შსს-ს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ძველი თბილისის სამმართველოს მე-5 განყოფილებაში დაიწყო გამოძიება ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირის №140 „ა”-ში მდებარე დიდუბის №8 საოლქო კომისიის შენობაში, არასამთავრობო ორგანიზაცია „პოლიტიკისა და სამართლის ობსერვატორიის” წარმომადგენლის სერგო გიგანის მიმართ განხორციელებული ძალადობის ფაქტზე (დანაშაული - გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 162-ე პრიმა მუხლის პირველი ნაწილით).[207] საქმეზე გრძელდება გამოძიება. აღნიშნული ინციდენტი საოლქო საარჩევნო კომისიაში არჩევნების ღამეს, საუბნო საარჩევნო კომისიებიდან საოლქო საარჩევნო კომისიაში დოკუმენტების შემოსვლის დროს მოხდა. აღნიშნულ ინციდენტს საიას დამკვირვებელიც შეესწრო.
- 2018 წლის 29 ნოემბერს, გავრცელებული ინფორმაციით, კასპის რაიონის სოფელ ხიდისყურში, გრიგოლ ვაშაძის მხარდამჭერი ალიოშა გულიოღლი თანასოფლელებმა - „ქართული ოცნების“ მხარდამჭერებმა გულო ბაირამოვმა და გურაზა ბაირამოვმა სცემეს.

---

[203] დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 151-ე მუხლის პირველი ნაწილითა და 126-ე მუხლის პირველი ნაწილით.

[204] თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის საქმიანობის შუალედური ანგარიში. 21.06.2018-01.10.2018. საქართველოს იუსტიციის სამინისტრო. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2WUkMaK, განახლებულია: 15.06.2019.

[205] სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლი.

[206] რატომ დაუპირისპირდნენ ერთმანეთს ფიზიკურად ქუთაისის მერიაში ოცნებისა და ენმ-ს დეპუტატები, 2018 წლის 19 სექტემბერი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2WWB2I2, განახლებულია: 18.06.2019.

[207] „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელი აცხადებს, რომ დიდუბის საოლქო კომისიაში ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს. საქართველოს პირველი არხი, 2018 წლის 29 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: https://pgg.link/Rs0X, განახლებულია: 18.06.2019.

ნაცემი ალიოშა გულიოღლი კასპში „მედალფას“ კლინიკაში გადაიყვანეს. დაზარალებულს მედიკოსებმა თავის ტრავმა (ტვინის შერყევა) დაუდგინეს.[208]

- თბილისში, გლდანის რაიონში ერთ-ერთი საარჩევნო უბნის მიმდებარე ტერიტორიაზე, TV პირველის ჟურნალისტის მიმართ, რომელიც პროფესიულ საქმიანობას ახორციელებდა და საარჩევნო პროცესს აშუქებდა, ადგილი ჰქონდა ძალადობას. ძალადობის ფაქტზე გამოძიება დაიწყო.[209] დადგენილია სავარაუდო დანაშაულის ჩამდენი პირი. ტარდება შესაბამისი საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებები მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დასაწყებად.[210]
- თბილისში, დიდუბის რაიონში ერთ-ერთ საარჩევნო უბანზე on.ge-ის ჟურნალისტის მიმართ განხორციელებული ძალადობის ფაქტზე გამოძიება დაიწყო სსკ-ის 126-ე მუხლის 1-ლი ნაწილით. ჟურნალისტი პროფესიულ საქმიანობას ახორციელებდა და საარჩევნო პროცესს აშუქებდა.

[208] დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს 126-ე მუხლის პირველი პრიმა ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით. საქმეზე გრძელდება გამოძიება.

[209] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის 1-ლი ნაწილი.

[210] ინფორმაცია არჩევნებთან დაკავშირებული სისხლის სამართლის საქმეების შესახებ, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, 2018 წლის არჩევნები, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2IUvT9R, განახლებულია: 18.06.2019.

დანართი №5

ამომრჩევლის სავარაუდო მოსყიდვა გარდაბანში

2018 წლის 16 ნოემბერს გარდაბნის მუნიციპალიტეტში ამომრჩეველს პროდუქტი უსასყიდლოდ დაურიგეს.[211] აღნიშნული ინფორმაცია გადაამოწმა საიას დამკვირვებელმა, რომლის ინფორმაციით, მოქმედი სუბიექტი იყო „ევროპული საქართველოს“ ყოფილი წევრი და ამჟამად „ქართული ოცნების“ მხარდამჭერი ნათიკ სადიგოვი იყო. ნათიკ სადიგოვმა თავდაპირველად განაცხადა, რომ იგი „ქართული ოცნების“ სახსრებითა და დავალებით არიგებდა 5 კილო კარტოფილსა და 5 კილო ხახვს. თუმცა, შემდგომ მან შეცვალა განცხადება და თქვა, რომ მხოლოდ საკუთარი სურვილით და ხარჯებით ურიგებდა პროდუქტს მოსახლეობას. პროდუქტი გაიცემოდა თითოეულ ფიზიკურ პირზე, რომელსაც პროდუქტების გაცემის ადგილზე აუცილებლად უნდა წარედგინა პირადობის დამადასტურებელი მოწმობა.

ამომრჩევლის სავარაუდო მოსყიდვა

საიას დამკვირვებლის ინფორმაციით, ხობის №15 უბნის მიმდებარე ტერიტორიაზე მოხდა ამომრჩევლის სავარაუდო მოსყიდვის 2 ფაქტი. ორივე შემთხვევაში თანხა გასცა ერთმა და იმავე პირმა: პირველ შემთხვევაში - 20 ლარი, ხოლო მეორე შემთხვევაში გადაცემული თანხის ოდენობა საიასთვის უცნობია.

[211] გარდაბანში ამომრჩევლის მოსყიდვა მიმდინარეობს, „ქართული ოცნება“ პროდუქტებს არიგებს - უგულავა (ფოტო), Pirvelinews, 2018 წლის 16 ნოემბერი ხელმისაწვდომია: https://pirveliradio.ge/?newsid=116652 განახლებულია: 18.06.2019.

დანართი №6

კენჭისყრის დღის დარღვევები

- არჩევნების მეორე ტურის კენჭისყრის დღეს საიას დამკვირვებლების მიერ დაფიქსირდა ხმის მიცემის ფარულობის დარღვევის მორიგი ორი ფაქტი, კერძოდ, კაბინიდან გამოსული ამომრჩეველი მის მიერ გაკეთებული არჩევანის იდენტიფიცირების შესაძლებლობას ცალკეული ორგანიზაციების დამკვირვებლებს ან/და კომისიის წევრებს აძლევდა: ზუგდიდის №53 საარჩევნო უბანზე კაბინიდან გამოსულმა ორმა ამომრჩეველმა გახსნილი ბიულეტენი და მასზე დაფიქსირებული არჩევანი დამკვირვებლებს უჩვენა; ახალქალაქის №70 საარჩევნო უბანზე სადამკვირვებლო ორგანიზაცია „ადვოკატთა და იურისტთა საერთაშორისო ობსერვატორიის“ დამკვირვებელი ავღან აკოფიანი უბანზე შესულ ამომრჩევლებს წინასწარ მობილურ ტელეფონში არსებულ უცნობ ინფორმაციას უჩვენებდა.
- საიას დამკვირვებლის ინფორმაციით, მარნეულის №49 საარჩევნო უბანზე ხმა მისცა სანან ბადალოვმა, რომელიც ამ უბნის ამომრჩეველი არ იყო.[212] საიას დამკვირვებლების მიერ ამომრჩეველთა სიების გადამოწმების შედეგად, გაირკვა, რომ ამომრჩეველი სახელი და გვარით სანან ბადალოვი რეგისტრირებული იყო მარნეულის №48 საარჩევნო უბანზე. მოგვიანებით, აღნიშნულმა პირმა, განმეორებით სცადა №49 უბანზე ხმის მიცემა, თუმცა, საიას დამკვირვებლის დაინტერესების შემდგომ, მან საარჩევნო უბანი დატოვა.
- გარდა აღნიშნული ფაქტისა, საიას დამკვირვებელმა დააფიქსირა პირი, რომელმაც აღნიშნულ უბანზე ორჯერ მისცა ხმა, პირველად – 11:32 საათზე, ხოლო მეორედ – 14:08 საათზე. საიას დამკვირვებლის ინფორმაციით, პირადობის მოწმობის მიხედვით, ამ ამომრჩევლის სახელი და გვარი იყო რამინ ზიადაილევი. საიას დამკვირვებლის მიერ №49 საარჩევნო უბნის სიის გადამოწმების შედეგად, ამ სახელით და გვარით ამომრჩეველი ერთიანი სიის საჯარო ვერსიაში არ მოიძებნა. რამინ ზიადაილევის სახელით და გვარით ინფორმაცია არ მოიძებნა არც პირველი ტურის და არც მეორე ტურის ამომრჩევლის ერთიანი სიის საჯარო ვერსიაში, რომელიც საიამ ცენტრალური საარჩევნო კომისიისგან გამოითხოვა. საიას დამკვირვებლის ინფორმაციით, №49 საარჩევნო უბანზე, 15:25 საათზე, 5 პირს, რომელთაც ხელზე მარკირება აღენიშნებოდათ, არჩევნებში მონაწილეობის მიღება სურდათ. საიას დამკვირვებლის მიერ შენიშვნის დაფიქსირების შემდეგ ამ პირებმა არჩევნებში მონაწილეობა ვერ შეძლეს. აღნიშნულ საარჩევნო უბანზე, სავარაუდოდ, ადგილი ჰქონდა სხვა პირის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით ხმის მიცემის მცდელობას. არჩევნების სავარაუდო გაყალბების ფაქტებთან დაკავშირებით საიამ შსს-ს გამოძიების დაწყების მოთხოვნით მიმართა. შინაგან საქმეთა სამინისტროს 2019 წლის 16 იანვრის წერილის თანახმად, 2019 წლის 10 იანვარს მარნეულის რაიონულ სამმართველოში სსკ-ის 164^2-ე მუხლით გამოძიება დაიწყო.

[212] მარნეულის საოლქო კომისია №49 უბნის დახურვის საჭიროებას ვერ ხედავს, რადიო „მარნეული“, 2018 წლის 28 ნოემბერი. ხელმისაწვდომია: https://marneulifm.ge/ka/marneuli/article/16356-marneulis-saolqo-komisia-49-ubnis-dakhurvis-satciroebas-ver-khedavs განახლებულია: 18.06.2019.